

ლიტერატურული გაზეთი

№9 (169) 6 - 19 მაისი 2016

ბამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

დიანა ანფიმიადი

ბადარჩენილები

ჩვენ გადარჩენილები ვართ — ამბობენ გადარჩენილები.
თუ სადმე კარგი მამაკაცია — ჩვენს სანოლში,
თუ სადმე მორჩილი ბავშვები არიან —
ჩვენს სასადილო მაგიდასთან.

ჩვენ გადარჩენილები ვართ,
უხეშად არასდროს გვეხებიან,
თუ იშვიათად, ისიც გზაზე გადასვლისას,
მანქანამ რომ არ გაგვიტანოს —
ასე მხოლოდ სათუთ სატრფოებს უფროსილდებიან.
მესამე — ზედმეტი არ არსებობს,
ლალატი — გამორიცხულია,
დღესასწაულზე — სუნამო და ყოჩივარდები
აუცილებელი.

ჩვენ გადარჩენილები ვართ, ამბობენ გადარჩენილები,
ჩვენ ეს არასდროს დაგვემართება —
მათ ეტყობა დაიმსახურეს.

ჩვენ გადარჩენილები ვართ, ამბობენ გადარჩენილები,
ბროლის, მინის და ფაიფურის
ფერად ჭურჭელს ფრთხილად რეცხავენ,
პურის დანებს კი უჯრის სიღრმეში
საგულდაგულოდ, კარგად მალავენ...
ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

კატო ჯავახიშვილი

ახსნა

ამიხსენი დღე და ღამე ამიხსენი და
მარტოობა ამიხსენი და შენთან ყოფნა ამიხსენი და
ჩემსიგრძე ვარდების მოტანა ამიხსენი რომლებიც არ მიყვარს
და შენ აუცილებლად მომიტან რადგან გვირილები დაგვიანებებს ვერ უძლებენ
და ქოთნის ყვავილების დაუბადებელი ბავშვებივით გაგუდვა ამიხსენი
და უხმაუროდ სიარული
ისე როგორც სიზმრებიდან თავდახსნილები მიდიან ხოლმე საპირფარეოსკენ
რომ საკუთარი ცხოვრება შარდის ბუშტიდან დაცალონ და
ჩვენი ერთად წოლა ამიხსენი
რადგან როცა ყველაფერი კარგადაა შემოძლია უარესზე ვიფიქრო და
ჩვენი შვილი ამიხსენი
რომელიც ჩვენს შორის სუსტისთვის კედელია და
ჩვენს შორის სუსტი ამ კედელს პირველი მიეყუდება და
ცოტა წელა ლაპარაკიც ამიხსენი შენი სიტყვები შეიძლება ჩაიყლაპოს
რადგან მეზობლის მანქანა ძალიან დიდხანს არ იქოქება და
ლოგინში ზურგშექცევით ძილი ამიხსენი რადგან უცებ შეიძლება მომწყინდე და
უცებ შენ შეიძლება ვერ მიხვდე რომ ეს მოწყენა დაგვიანებული გვირილების მოწყენაა
და სახლში დაგვიანებებიც ამიხსენი რადგან შეიძლება ასევე ვერ მიხვდე
რომ მე ამ დაგვიანებებს თავიდანვე ველოდი და
ჩემი სამსახური ამიხსენი რომელშიც ნახევარი ტანი მრჩება და
ნახევარი ქურჩისკენ გამიბრის

და უსამსახურობაც ამიხსენი რადგან
შენთვის შესანჯავი კარტოფილი ყოველთვის ტაფაზე მაინცდება და
ქურჩა ამიხსენი სადაც მიდიან ფეხები
კედებიანი ფეხები
საქმიანად მიმავალი ფეხები
პაემანზე ქუსლმოქცეულები
ფეხსაცმლიდან დროუიანი ცომივით ამოფუებულები
„ვითომც აქ არაფერი“ ფეხები
„ვითომც აქ ყველაფერი“ ფეხები
უბრალოდ მიდიან

იქით საითაც უთქმელადაც ვიცით —
ასახსნელიც არაფერია.

IV

IV-V



ორკეცი სიყვარული რაღა არის?... ალბათ, ორჯერ ძლიერი სიყვარული... ამაზე დიდი ილია წერდა დაბეჯითებით!.. ეს, ალბათ, ის სიყვარული თუა, თვით ილია რომ გამოასხივებდა...

საქართველოს მინები... როგორი მომჭირნებით და სკრუპულოზურობით შემოუარა დიდმა პავლე ინგოროყვამ – სიტყვით შემოლობა!

მთები ჩემს თვალწინ გაიზარდნენ: კარგად მახსოვს მათი ბავშვობა...

ერთი თვეა, ვკითხულობ ოთარ ჩხეიძის ელუვილიტის „ბერნ მინას“ (უკვე მერამდე ენა). ესეც თვისება დიდი ლიტერატურის: არც მოგებურდება, არც მოგყირჭდება... მოკლედ: ვერ „ძღები“ დიდი ლიტერატურით!

ვირი ყურებით გამოიცნობა... ვირს რად უნდა გამოცნობა... ვირი ხომ ვირია!.. ალბათ, კარგი და ცუდი ხომ ყველგან არის და ის ვირებშიც უსათუოდ დაიძებნება: კარგი ვირი!

სიზარმაცის სენტენცია: დიდი ბედნიერებაა, თავისთავის დამარხვა თვითონ რომ არ გინეცს!..

ეტყობა, გარემამის ილბიანი გვარი თუ იყო ალანი... ეს გვარი შეითვისა საბედნიეროდ და ლიტერატურასაც ამ გვარით შემორჩა დიდი ამერიკელი მწერალი: ედგარ ალან პო.

ასეა: ჩემგან შექმნილი ბევრი რამ არ მომწონს და ეს ყოველივე მისაღება, ოღონდ გული მწყდება, ეს სულისკვეთება ასე გვიან რომ აღმოვაჩინე!.. არ მომწონს ჩემი ჩანაწერები: ხანდახან უბრალოდ არ მომწონს, ხოლო ხანდახან: საშინლად არ მომწონს!.. მახსენდება დიდი ბორხესი. მას ვინმე ახალგაზრდამ ქუჩაში მიაძახა: ბორხეს, თქვენ არ არსებობთ!.. მაშინ თქვა ბორხესმა: დიახ, ეს სიმართლეა, მე არ ვარსებობ, მე ვარ არარა!.. მაშინ, როცა საშინლად არ მომწონს ჩემი ნაწერები, მე დავესესხები დიდ ბორხესს: მე არ ვარსებობ, მე ვარ არარა!

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

მე ვარ სიზიფე. ჩემი ტვირთია უმძიმესი ქართული ენით ნაგროვები და იქიდან გამონურული ლექსი!.. და ეს აღმართიც არა მთავრდება!.. მე ვარ აბსურდის კაცი: მე ვარ სიზიფე!..

ილია ჭავჭავაძის განუხორციელებული სურვილი: „მინდა, შაბათი წიგნის დღედ დავანესო...“ დიდო წინაპარო, ყოველი დღე რომ წიგნისა იყოს, განა რა დაშავდება?

ჩვენს პოეზიას კაიხანია, რაც რითმის კრიზისი დაემართა... იმძლავრა ვერლიბრმა, მეტაპოეზიამ, პროზაულმა ლექსმა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ პოეზიის თვისება შესაშური: ის გზადაგზა არაფერს არ კარგავს მთლიანად და საბოლოოდ, ხელაღებით არაფერს არ უარყოფს: ამ თვისებას უნდა მივანეროთ ისიც, ახლა რითმიან ლექსს რომ „იბრუნებს“, პოეტური ძიებით მიღწეულ ურთულეს რითმას რომ სთავაზობს ტრადიციების მოყვარულ მკითხველს (პაატა ნაცვლიშვილი, დათო მალრაძე და სხვები) არათუ მარტო რითმას, არამედ ფოლკლორულ ფორმებსაც იბრუნებს ქართული ლექსი: შაირსიტყვის მარტივი სირთულის უკვდავ პროცესს აღრმავებს მეტაპოეზიის კვალდაკვალ, რაც სასურველი მრავალფეროვნების უეჭველი საწინდარია... ამ ბუნებითმა პროცესმა ვერლიბრისტიკის ლექსშიც შეაღწია, რაც უდაოდ მისასალმებელია! ვიტყვი: ამ პროცესს ისევე მტრულად არ უნდა შევხვდეთ, როგორც ეს მოხდა ვერლიბრის დამკვიდრების ფაზას: ეს არ დაამშვენებს „ვეფხისტყაოსანის“ მფლობელი ერის მწერლობას...

ფსიქოტროპული მცენარეები... სავარაუდოდ, ზოგი ცხოველიც ასეთია: გველი, ყორანი და... ფსიქოტროპულია ზოგი სიზმარიც: იმას ნახავ და...

ცეცხლს ქალაღში ვინც ინახავს: ცეცხლისნამკიდებელია...

სრულყოფილება შრომა არისო, გვეუბნება პოლ ვალერი, თვითონაც მწერლურ სრულყოფილებას რომ ენია დიდი, დაულა-

ლავი შრომის შედეგად... და შენც შრომაში გაქეზებს, გამხნეებს, გგეზავს!..

გამოსავალი აზროვნების შეწყვეტა-შიაო, მეტყობა არავინაი, ზედმეტ ჩაძიებას და ტვინის გასავსავეებს იმ უფსკრულთან მიყვებარ, რაზეც თვით სიცოცხლე დგას, რაზეც ვდგევართ ჩვენ ყველანი... არავინაის ამ საჭოჭმანო აზრს თუ გაყვებით, აღმოვჩნდებით იქ, სადაც მავანნი სუიციდს ამართლებენ, მაგრამ ეს მკრეხელობა რომ არ ჩაიღინონ, ეფარვიან რწმენის მირაჟებს, ლოცვა-კურთხევას, ეკლესიურობას... და ზოგიც!!!

ვიტყვი: ცრემლი სისხლის ნათესავია, იმასაც ვნებული გული მოიწურავს...

ამაზრუნენ ფიქრებს ნუ მოიხვევ მაშინ, როცა საკმაოდ მათხოვრული ჰონორარებით „განებიერებენ“... გაიხსენე, რომ ედგარ ალან პომ „ყორანში“ სულპირველად 5 დოლარი მიიღო!

შემზარავი ამბავი რევაზ კვერენჩხილაძის პუბლიცისტურ წიგნში: პაოლო იაშვილის ცხოვრების სისხლიანი რომანი... და აქვე: სიკვდილის წინ დაწერილი წერილი-შედეგები პაოლოსი... ვიტყვი: რამდენიმე შესანიშნავი წიგნი უძღვნა რევაზ კვერენჩხილაძემ ქართული მწერლობის სისხლიან ისტორიას: ამხილა მწერლობისადმი მიმართული საბჭოური მზაკვრობანი...

პოეტი: ის, ვინც ტკივილებს ლექსით პასუხობს, ვისთვისაც არაა მიჩქმალული, მივინყებულ ტკივილები და მინისძვრები ამქვეყნიური... ვინც...

ეხლა შენ გეუბნები, პოეტო, რომ პოეზია თუ გამოვიყენეთ, როგორც უნივერსალური იარაღი, როგორც სასწაულის შესაძლებლობა!..

ყივჩალთან მოლაპარაკება დროის დაკარგვაა: ყივჩალს და ყველა სხვა მომხდურს მხოლოდ ხმლით უნდა ელაპარაკო!

ეს ჯერ კიდევ წარსულში გაცხადდა... აბა, წარმოვიდგინოთ ქართველთა ის უკვდავი წინაპარი, ვისაც მუხრანის ბოლოს ყივჩალი შემოეყარა, რომ ამდგარიყო და სამართლის საძებნელად ევროპაში ან ამერიკაში წასულიყო, რა ხეირი დაადგებოდა საქართველოს ან მის ოჯახს, ან მის ცოლს, ვისაც, აგერ, ყივჩალმა უკვე ნაწნავზე მოზიდა?... წარსულის გაკვეთილი უკვდავია: წარსული პასუხობს ჩვენს ტკივილებს... აქ მთავარი იყო ხმალი! ასეა დღესაც!

თუ გახსოვს პირმინდად დაკარგული დრო?

დაიმახსოვრე ამგვარი დასკვნა კლეობულესი: სიამოვნებაზე იბატონე... მაგრამ არც პიტკოს ლესბოსელი დაივინყო. ის გვეუბნება: მოიპოვე, რაც გეკუთვნის...

ისტორიის სიღრმე მის შედეგშია...

ესეც ერთი პარადოქსი: დიდი ვაჟა, დიდი აკაკი – უკიდურესი სილატაკიდან უკვდავებაში... მაგრამ არა მარტო ისინი...

პოეტური პრიმიტივიზმი. ბევრი ვინმე ფიქრობს, რომ ეს არის ხალხური ლექსი, ფოლკლორი. ამ მცდარი აზრის საპირისპიროდ ვიტყვი: პოეტური პრიმიტივიზმი ფოლკლორში არ უნდა ვეძებოთ. ის ფოლკლორის პლაგიატში, ყალბ მიმბაძველობაშია საძებნი. ხალხური ლექსის „გადამღერება“ სწორედ უღონო და უგუნურ პრიმიტივიზმზე მიგვითითებს.

ჩემს ძალს არ მოსწონს, როცა ხელთათმნიანი ხელით ვეფერები – ხელთათმანს უყეფს!

აჰა, ისიც: ებრაელი მკითხავი აინშტაინი! ის მკითხაობს სამყაროს უეჭველი დასასრულის გამო და ესეც ისევე გვჯერა, როგორც გვჯერა ამ გენიოსის სხვა დანარჩენი მკითხაობები!

მეტაპოეზია გულისხმობს ენის პოეტურ ნიაღში მიმალული ხატების, შუქჩრდილებში, ენობრივ ნახეთქებში ჩაძირული პოეტური კონტურების აღმოჩენას, დახატვას სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ენობრივი ქსოვილით... და აქვე თავს იჩენს ლექსში პროზაული კარგახსნილობა, როგორც სიახლის ელემენტი...

ბრწყინვალე კუნძი: „თუკი დილით შეიმეცნებ სწორ გზას, მაშინ საღამოს შეგიძლია სიკვდილი“... ვენდოთ, არ ვენდოთ?! და კიდევ კუნ ძი: „ო, რა ბრძენია ჰუეი! მცირე ჭამადი და წყალი, მცირე სახლაკი, ის, რაც სხვებს მწუხარებაში ჩააგდებდა, მას სულაც არ უცვლის ხასიათს... ო, რა ბრძენია ჰუეი!“

ამ ბოლოს ძალზედ გამოიკვეთა ჩანანერების ჟანრი და ლაკონიურობისა და ემოციურობის გამო მკითხველიც მრავლადა ჰყავს... ჩემი ჩანანერების ორი წიგნი — ერთი უკვე გამოცემული „ფურცლები“ და მეორე, ჯერაც გამოსაცემი „ხელისგულის ანაბეჭდები“ — ჩემს პოეზიას ენათესავება, მეტალექსის ალიკვალია და იგივე შეიძლება, რომ ვთქვა სხვა ავტორების ჩანანერებზეც: იქაც პოეზიის, მეტალექსის მზის ნათელი სჭარბობს, თუმცა ზოგან პროზაული ელემენტის სიჭარბე იგრძნობა და არც ეს არის ურიგო...



რაც ღვთაების მანქანებით...

„ჩვენ გვექონდა სექსი სექსის გარეშე“.
ოთარ ჯირკვალიშვილი

გინახავთ, როგორ ეფერება ქართველი მამაკაცი მერსედესის მარკის ყორნისფრთისფერ მანქანას, რომელიც თხუთმეტი წლის უნახავმა, საბერძნეთში მომუშავე მეუღლემ მარტოობის გასაქარწყლებლად უყიდა? არაფერია ამაზე სუფთა, თეთრი, ეროტიკულად სპექტაკლი. ეს თითქმის იდეალური, სრულყოფილი სექსუალური აქტია, რომელშიც ქართველი მამაკაცისა და მისი ყორნისფრთისფერი მერსედესის სხეულები თითქოს ერთმანეთში უჩინარდებიან და შედეგად იბადება რაცაც მეტაფიზიკური, ყველასა და ყველაფრის მიღმა მყოფი, ის, რისი სიტყვებში გამოკეტვაც შეუძლებელია.

ეს მაგიური რიტუალია, რომლის დროსაც ქართველი მამაკაცის ბატის ბუმბულის ბალიშებით და მეცხრე ცის ღრუბლებით ფაფუკ თითებში მომწყვდეული ყორნისფრთისფერი მერსედესის სხეული ინთება — წამით პლანეტები ბრუნვას წყვეტენ, სამოთხის კარიბჭე ყველა ცოდვილისთვის იხვება, ზეციდან ცენტრებით მანანა იწყებს დენას, მხეცნი კაცებად იქცევიან...

და ყოველ ჯერზე, მამაკაცის თითების მიახლოებით წარმოქმნილი ჰაერის მძლავრი ნაკადის ყოველი შეხებისას, ყორნისფრთისფერი მერსედესის სხეულიც თითქოს ხელახლა განიცდის უბინოებასთან გამომშვიდობების საკრალურ მისტიკას, ზღვის წვეთში დანთქმის პოეზიას და სახეზეც ერთ საშიშ განცდად ესახება ბავშვური ქარაფშუტობაცა და გარყვნილებაც ზუსტად ისე, როგორც ეს კაფკას „პროცესში“...

მადლთაგან უსაშიშესი პოეზია
ნამდვილი ამბავი

ისე მოხდა, რომ ნათლისღების ბოლო დღესასწაულს ბათუმში შევხვდი. ტრადიციული თბილი, წვიმიანი ამინდი იყო.

ამ რელიგიურ დღესასწაულზე ბათუმში, ისევე, როგორც უამრავ ზღვისპირა ქალაქში, ერთი სასიამოვნო ტრადიცია არსებობს: ადამიანები ზღვაში ჩადიან, რათა რამდენიმე საუკუნის შემდეგ, გარკვეული სინერგიული მისტიკით, სიმბოლურად აღასრულონ აქ და ახლა ქრისტეს ნათლობის საკრალური რიტუალი და, ამდენად, ისინი, ვინც თვით ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა, სიცოცხლე არ უმინდებოდათ და რწმენით გახურებულები, თვითკამყოფილი სიჯიუტით ეშვებიან ეკოლოგიურად დაბინძურებულ შავ ზღვაში.

ამჯერადაც ასე მოხდა: ზოგი წყმარითად მძაფრი რწმენით, ზოგიც ახალი საცურაო კოსტიუმის, თუ მასში გამოკეტილი სხეულის გამოსაფენად, ანდა საკუთარი თავისა და სანაპიროზე კენჭებით გამორავლებული მრეკლისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ ღმერთი, თუნდაც შეუმჩნეველად, ჯერ კიდევ არსებობს, ზღვაში თავდავინწყებით გადაეშვა.

ცოდვილთა შორის ცოდვილი მე კი ვდგავარ და სანახაობას უბადრუკი სკეპტიციზმით ვადევნებ თვალს.

ჩემს გვერდით ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც წყალში შესვლა ნაკლები რწმენის გამო ჯერ კიდევ ვერ გაეხედათ, ახალგაზრდა, მაღალი ზეჩი გამოეყო. ელვის სისწრაფით გაიძრო თეთრი მაისური და სამაგალითო, თითქმის ჰეროიკული სულისკვეთებით ჩაეშვა ყინულივით ცივ წყალში, რამაც მიმდებარე ტერიტორიაზე კონცენტრირებულ მორწმუნეთა მასაში ერთსულოვანი აღფრთოვანება გამოიწვია.

ბიჭმა რამდენიმე მეტრი შეუსვენებლად გაცურა. ტალღებს შეუპოვრად და მკაცრად მიაპობდა.

წამით შეჩერდა. ლამპიონებით განათებულ წყლის ზედაპირზე გაურკვეველი ფერის ტივტივასავით ირწეოდა.

უცბად, თვალის დახამხამებაში, სხეული ზემოთ აზიდა და ზღვაზე საბოლოო გამარჯვების ნიშნად ჰაერში ისე დაეკიდა, რომ უნებურად აღმოხდა: carpe diem!

უკან გამობრუნდა, წელამდე წყალში მდგარმა ყორანივით შავი თმა მოხდენილად გაიქნია და ღმერთთან სიახლოვით

ლექსო დორეული

სიშვილის პერიოდის ტექსტები



გამოწვეული მძაფრი რელიგიური ექსტაზის ზემოქმედებით და არამც და არამც — სიცივის გამო — პირჯვრის წერით ნაპირზე მომავალ მშობლიურ ენაზე, რომლითაც, როგორც ცნობილია, მეორედ მოსვლისას ადამიანთა განკითხვა უნდა მოხდეს, აღმოხდა:

„ვაიბე, ბოზიშვილი ვიყო!“

ლიტერატურის პოლიტიკა
და პოლიტიკის ლიტერატურა

სტუდენტურ მანიფესტაციებთან დაკავშირებით, რომელთა მონაწილეც თავად ვარ, უსიამოვნო გაორებული განცდა მაქვს: ერთი მხრივ, მიხარია, რომ ბიუროკრატიულ სისტემასთან ბრძოლა გრძელდება და არ ვაპირებთ, შევურიგდეთ აკადემიურ სივრცეში გაბატონებულ პოლიტიკურ უსამართლობას, ერთგვარ „თელოგიურ კორუფციას“; ამ პროცესებმა ხომ ნათლად აჩვენეს, რომ უნივერსიტეტში მმართველობის წარმომადგენელთა, ადმინისტრაციული როლი გროტესკულად არის გაბერილი, რაც ამ დაწესებულებას მთავარ — საგანმანათლებლო ფუნქციას უკარგავს...

მაგრამ, მეორე მხრივ... არავის უნდა უხაროდეს, რომ არ გაგვანია ჩვენი და უნივერსიტეტის უფლებებისა და იდეების დაცვისთვის ბრძოლის აკადემიური შესაძლებლობები და, სწორედ ამიტომ, გვინვეს მანიფესტაციებს ანუ პროტესტის უკიდურეს ფორმას მივმართოთ აგერ უკვე რამდენი წელია!

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ არ არსებობს პოლიტიკური ნება ამ პრობლემების გადაჭრის და ამ ნების წარმოშობა იძულების გზით უნდა მოხდეს?

მანიფესტაციებს, აქვთ ერთი მეტისმეტად ესთეტიკური საფრთხე, რაზეც ბარტი წერს და რაზეც დაფიქრება ღირს: ზოგჯერ წყმარითება იმდენად გაიფლინება ხოლმე მისთვის გაღებული სისხლით (ამ შემთხვევაში, სიმბოლური სისხლით), რომ ის, ფაქტობრივად, მხატვრულ ტექსტად, თეატრალურ დადგმად იქცევა და რეალური ისტორიიდან სამუხუუმო ისტორიაში გადაინაცვლებს.

ამ შესაძლებლობას ვხედავ იმ ადმინისტრაციის წევრებისა და მყარი ბი-

უროკრატების გამოსვლების პათოსშიც, რომელთა წინააღმდეგაც დაიწყო ეს მოძრაობა და რომლებიც ამ გამოსვლებში ფარისევლური და ამაზრუნე პოლიტიკორექტულობითა და მზრუნველობით, თვითკამყოფილები ამბობენ, რომ „მეცხრეებიან ამ გამოსვლებს“, რომ ეს „დემოკრატიული პროცესის აუცილებელი ნაწილია“ და ასე შემდეგ.

ყველაზე დიდი საფრთხე, რაც პოლიტიკურ და სოციალურ სივრცეში გამოთქმულ აზრს შეიძლება დაემუქროს, სწორედ ის არის, რომ მისი არსებობის ფაქტის (და არა — შინაარსის) მიმართ შეწყნარებულმა და აღიარებულმა დამოკიდებულებამ ის შეიძლება მხატვრულ ლიტერატურად აქციოს...

ლიტერატურა კი ყოველთვის თრგუნავს ეჭვებს ლეგიტიმაციის შესახებ და ქმნის ილუზიას, რომ ტექსტს წართმეული აქვს რეალურ ცხოვრებაში საზეიმო დაბრუნების უფლება...

სწორედ ამგვარ აბსურდულ და ემანსიპაციის ფარისევლობით შეპყრობილ ტოლერანტობას წარმოშობს პროტესტი, რომელიც საკუთარი აუტანელი მუდმივობის გამო ლიტერატურად იქცა.

თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი და მედიის თეორეტიკოსი ნორბერტ ბოლცი ესე-მანიფესტში — „ვის ემინა ფილოსოფიის?“ (მთარგმნელი დათო ბარბაქაძე) — სწორედ ამ საშიშროებაზე მიუთითებს:

„ტოლერანტული ვერ იქნება ის, ვისაც არ გააჩნია საკუთარი ღირებულებები, რომლებიც უნდა დაცვას. ვინც საკუთარ თავში დარწმუნებული არ არის, ის ვერც გახსნილი იქნება. მე ჩემს რწმენას იმიტომ ვიცავ, რომ სრული შეგნებით ვაცნობიერებ ალტერნატიულ რწმენათა არსებობას. შესაბამისად, არ არის აუცილებელი იმის პატივისცემა, რის მიმართაც ტოლერანტული ვარ. ტოლერანტობა სხვა არაფერია, თუ არა — ურთიერთგანსხვავებული რწმენის მქონეთა თანაარსებობის ატმოსფერო. მშვიდობიანი თანაარსებობა მხოლოდ კონსენსუსზე უარის თქმით არის შესაძლებელი“.

მეორე მხრივ, ეს სოციალურ-პოლიტიკური პროცესები უფრო იმყარებენ ლიტერატურულ სტატუსს იმ კომიკური სარკასტულობით, რაც მხოლოდ მხ-

ატვრული ტექსტისთვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი:

რამდენიმე საათიანი ალყის, ძიძგილობის, ღრიალის, „ვნების სიმბურვალეში“ (გალაკტიონი) გადაზრდილი ორგანიზებული ჭყლეტის შემდეგ, დუბინკებით, ნიღბებითა და გეპეის სტუდენტებით (ეს, ამჯერად, მათ ხელთ არსებული ყველაზე ცივი და მომაკვდინებელი იარაღია) შეიარაღებულმა დაიკავე რექტორის კაბინეტი და იქ შიმშილობა გამოაცხადო, ბელორუსიული ცირკის წარმოდგენათა სცენარს წააგავს.

გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ სტუდენტთა აქციაზე პროფესურა არ ჩანს, ადასტურებს, რომ დღეს უნივერსიტეტი აღარ ეკუთვნის მათ კანონიერ და თეოლოგიურ მფლობელებს — სტუდენტებსა და პროფესორებს და ის ადმინისტრაციის საკუთრებად იქცა.

დღევანდელი უნივერსიტეტი, ლიტერატურისა არ იყო, მართლაც გადაიქცა „სპონსორებისა და თავაზიანი ექსპერტული დასკვნების სამყაროდ“.

ბოლცის მიერ დასმული დიაგნოზი მართლაც ძალიან, ძალიან ზუსტია:

„თვითმმართველობის მიზანი ავტონომია იყო, შედეგი კი — ბიუროკრატია. პოლიტიკურ სისტემას ეს სრულიად აწყობს, რადგან ბიუროკრატია „თვითმმართველობის“ სახით უნივერსიტეტებში ის საკონტაქტო პირი შექმნა, ვისთანაც მას უპრობლემო კომუნიკაცია შეუძლია“.

ღვანელი და სასჯელი

მაშინ, როდესაც თვით ახალგაზრდა, 83 წლის ტარიელ ჭანტურია და რეზო გაბრიძე 15 წელია, ჯერ კიდევ ელოდებიან ლიტერატურაში შეტანილი თავიანთი წვლილის აღიარებას, მათ უეცრად ამ საქმეს სამშობლოზე და მათგან გონაშვილზე დაწერილი ლექსების ავტორი, 20-22 წლის მხცოვანი პოეტი, ქეთევან ნათელაძე ასწრებს და სიგელს იღებს „პოეზიაში შეტანილი წვლილისთვის“.

შიგ პოეზიაში რამის შეტანა, და მითუმეტეს წვლილის, ისევეა ლიტერატურის დაუწერელი კოდექსით!

დიანა ანფიმიადი

ახალი ამბავი

როცა ღმერთამდე ხიდებს წვავენ —
— ადამიანებს აფეთქებენ —
ულონო ვარ, რა შემოიძლია —
ერთი ნიჭი მაქვს — სიზმრების ნახვის.
ზურგით გამოწყავს ყველა ბავშვი
ჩემი სიზმრის ბრძოლის ველიდან.
ყოველი ნაღმი, ფრთხილად,
როგორც ყოველი ბავშვი,
ყოველი ბავშვი — ყოველი ნაღმი.

ორი სიტყვა სიყვარულზე

გაკონი, ენის წვერზე სიტყვები კვდებიან,
მინისქვეშ იღვიძებენ მკვდრები.

ორი სიტყვა ლექსის სიყვარულზე

ერთ მდინარეში, ერთ კოცნაში
ორჯერ შევდივარ,
რომ მერამდენედ, სხვის სხეულში მეტკინოს გული —
ლექსიც ესაა.

რეკლამა

ვიბარებთ ნონით,
ვიხდით ნაღმით —
მტვრით და ნაცარით,
სიზმრებს,
რომლებსაც ვილაც ბეჭდავს,
თქვენ ნახულობთ —
ჩვენ კი ვავრცელებთ!

მიკროცირკი

როგორ გავწრთვენი პინგვინები — ფეხის თითები,
ვასწავლე წყალზე სიარული და ცეცხლზე ხტომა,
ცეცხლის რგოლიდან თმას გადმოვფენ
— არ მეშინია,
რკინის საწოლში და მკვდრის ძილში
ისე ღრმად ვყვინთავ,
სუნთქვას, წყლის ბოლო ყლუპის მსგავსად,
პირში ვიგუბებ.
მეადვილება, ცალი ხელით აკენწლო ჩემი
დილის საუზმე —
ყავა, პური,
პური და ყავა,
ორმაგი სალტო — ყოველ დილით
ორ ფეხზე ვდგები,
სულ ერთი წამით
ეს სცენა მაქვს,
ამ სცენას ვყავარ.
ყველა მამხალას ენით ვაქრობ,
რასაც მიტოვებ,
ყველა რატომს ვაიმიტოვებ.
რა ადვილია სიყვარული
და რა რთულია
და ცა თავს ზემოთ
ჩემი სავარძლის ბორბალივით ტრიალებს.

ქილი

ასფალტზე იხატება ჩრდილები ჩიტების,
მზემ ყველა ზურგიდან აკრიფა ხალები,



ქალაქი შრება. ჩამიჩდება, ჩირდება,
ბავშვის ხელისგულში ჩატკება ხვალამდე.
ვაქრობ ძუძუსთავეს — ვარსკვლავებს დილამდე,
ეყოფა ქალაქს რა ხიფათსაც მომწია
მახურავს საბანი — კოპნია, ჭრელ-ჭრელი,
როგორც იეზიდთა ფერადი ქორნილი,
ვიხსნი სამაჯურებს, თუ ვერცხლის ბორკილებს,
ისეთი ლამეა, რომ ყულფიც მძივდება...
გულში მსუბუქდება ყველა დანაკარგი —
ქალაქის ძილი საბანივით მძიმდება.

ლტოლვილი

მარტივი წესი შესაკრებთა გადანაცვლების
არ იცის ქარმა,
არც ორ ზმნას შორის განსხვავება —
„დევენა“ და „ლტოლვა“...
მიაგორებს და მიაგორებს ფოთლების ბორბლებს.
აქ ან მეტი ვარ ან ნაკლები,
არასდროს — ტოლი...

იცი, რა კარგი თამაშია?
მამამ მასწავლა —
— ჩავყვინთე,
ტყვიამ ზედაპირზე გაიზუზუნა,
— ჩავყვინთე,
ტყვიამ ზედაპირზე გაიზუზუნა,
იცი, რა კარგი თამაშია?
დედამ მასწავლა —
მომრგვალდე, როგორც ციქქა ზღარბი,
შენი თმების ჩრდილში რომ ცხოვრობს
და სადაც დგახარ, გაითხარო
საფლავი — სორო.
იცი, რა კარგი თამაშია?
ბებომ მასწავლა —
ერთი შეხედვით გაჭაღარავდე,
ერთი შეხებით დაგიჭკენს კანი.

მეტობისა და ნაკლებობის პირღია ნიშნებს
— მშიერ არწივებს
ჩემს ხორცს ვაჭმევ, იქნებ დამაგდონ,
საიდანაც ერთხელ ამწიეს,
როცა წყალს ვსვამდი დედაჩემის ნოტიო ხმიდან...

არადა, სახლში როგორ უცებ დამაბრუნებდა
ერთი თანხმობა —
ორ ზღვას შუა ტოლობის ხიდი.

სუპი

ერთ გოგოს ვიცნობ,
შუადღისას მოხარშავს წვნიანს,
ქვაბს ყურებზე ხელს წამოავლებს
და მინდორში დააპირქვავეს —
წვენს ისრუტავს მზიანი ხნული.
გოგო ზის, ელის
მოხარული კამის ყვავილებს,
ოთხად გაჭრილი კარტოფილის ვეება ბოლქვებს,
სტაფილოს ნახევარმთვარეებს
და მოშუშული ხახვის რიგებს...
ვინ თქვა, რომ შიმშილს ერთი გემო აქვს?
ის ყოველ ჯერზე სხვადასხვაა —
იმ მინდვრის მოხვნას
სულ სხვადასხვა გუთანს ავალებს...
ერთ გოგოს ვიცნობ,
რახანია ელის და ელის
მოხარული ხორბლის თაველებს.

კატო ჯავახიშვილი

სირცხვილი

წელს არ მოუთოვია, დე.
ვერც სირცხვილი ამოავლეს სახამებელში
ადამიანებმა და
ვერც მონატრება.
მთელი წელი არ თოვდა.
წელს არც დამალვა მიცდია და არც გამოჩენა,
არც დასამალი და არც გამოსაჩენი არაფერი მქონდა
და ალბათ ამიტომ.

წელს გული აღარ მემორჩილებოდა,
რადგან გული ყველაზე უტყუარი ნიშანია
სიფხიზლის გარეთ გასატყუებლად
და თვალბდაქაჩული წოლა ხშირად იმხელა ძილს ჰგავს,
მარტო მდინარეებმა რომ იციან,
როცა ტანზე წყალი შემოუშრებათ და
თვალბს გაქვავებულ გულისჯიბებში იწყობენ.
მაინც არ შემშინებია, დე,
იცი, ძლიერად ყოფნა

ფიზიკის გაკვეთილივით ისწავლება,
თავიდან დაუძღვეველი ამბავი რომ გგონია და
მერე თავისთავადი სიცრუე ხდება,
ყველაზე დაუძღვეველი სიცრუე კი ცხოვრებაა, დე.
ცხოვრება, რომელშიც როგორღაც უნდა გადარჩე,
ოღონდ ისე, რომ ამ შენს გადარჩენაში
სხვა ადამიანი არ მოიყოლო ნანგრევებქვეშ
და მთელი სიცოცხლე მისი დაშლილი კედლების ზიდვამ
არ დაგლალოს.

ხანდახან როგორ ხდება ასე, რომ დრო არ გადის,
არ გადის დრო და შენ კი თითქოს ტრიალებ წრეზე,
რომელსაც თვეებს, წუთებს და წლებს არქმევდი ადრე,
რომელშიც მერე მეთვალად წამისა ჩანდი
და შენთან ერთად სიბნელეში წრიულად ქრება
და შენთან ერთად სიბნელეში კადრივით გარბის
შენი მულტიფილმებს შეფარება, ბავშვობა ანუ
შენი მუხლების გადაყვლეფა
ბავშვობა, — ნუთუ.

დანაშაული უნდა იყოს დროის არგასვლა
და დრო არ იყოს საკმარისი,
რომ ველარ გავძლოთ,
ერთმანეთისთვის
ან პირიქით, —
ერთმანეთს გარეთ,
რომ იყოს თოვლი,
რომ სირცხვილი,
რომ მე
შენ
დალლა.
შენი შეცდომები დაიმახსოვრე,
მარტო შენი,
რადგან სხვისი შეცდომები

სხვისი დამახსოვრებული შეცდომებიდან
ცხოვრების სწავლა ისეთი რთულია,
გაგიჭირდება, გადარჩე.
ადამიანები თავიანთი შეცდომებით მიიღე,
თავიანთი სისუსტეებითა და დაცემებით,
თავიანთი ცოდვებითა და სიკეთეებით,
ნაგავსაყრელებით,
რადგან ერთხელაც,
საკუთარი ნაგვის დაცლა რომ მოგიხდება,

მიხვდები, საით ნახვიდე.
ადამიანები გიყვარდეს,
ბანალურია, მაგრამ
ჯერ არ გამოუგონებიათ ისეთი მანქანა,
რომელსაც შეუძლია საკუთარი თავისთვის კი არა,
შენი თავისთვის უყვარდე.

სხვისთვის სიყვარული ისწავლე,
რადგან ეს ერთადერთია,
რაც სამყაროში არასდროს არ დაიკარგება.

ნუ დაგენანება და გაეცი,
რადგან საკუთარი თავი გაცემაში ისე ივსება,
ხანდახან შეგეშინდება კიდევ,
მაგრამ პოვნები იცის ცხოვრებამ,
მულტიფილმებში როა, ისეთი უცნაური პოვნები,
და გადარჩენებიც იცის ცხოვრებამ, დე,
მოულოდნელი გადარჩენები,
და როცა „საჭიროა“-ს და „მინდა“-ს შორის გაიჭედები,
საჭირო გადადე,
ყოველთვის ხმამალა თქვი შენი „მინდა“ და მოუსმინე,
რომ „მინდა“ გგავდეს შენ,
რომ „მინდა“ იყო შენ
და მერე რა, რომ ხანდახან ცხოვრება ისეთი სულაც არაა,
როგორც წარმოგვედგინა,
და მერე რა, რომ ხანდახან ჩვენს უაივნო სახლში
ერთმანეთს ადგილებს ვუთმობთ,
რომ ხან შენ გამოიყვანო ფორმულები და ხან მე ვწერო,
და მერე რა, რომ გასულ წლებს
გაყოლილი ნაძვის ხის ნაცვლად

ახალი ვერ ვიყიდეთ,
მთავარი ხომ სულ სხვა რამაა,
მთავარი ხომ ისაა, რომ მყავხარ შენ,
და მერე რა, თუ არ მოუთოვია წელს,
რანაირად ჩემხელა ხარ, დე,
ისედაც მრცხვენია.

აკვარიუმი

მე ვყოფნი ჩემ თავს.
 აღარ მახსოვს რატომ მიყვარდი.
 /ხან/ ზამთრიდან როგორ გადმოვჩოჩდი და ასფალტზე ტერფები როგორ გამიხურდა
 /ხან/ ცხოვრებიდან როგორ გადმოვედი და ერთად სიკვდილი ჩავიფიქრე
 /ხან/ სიკვდილი როგორ არ მეყო და სიკვდილის მერე ცხოვრება გავიხსენე
 /ხან/ ცხოვრებაც როგორ არ მეყო და დაბადება თავიდან მოვიგონე
 /ხან/ დაბადებაც როგორ არ მეყო და ცარცით შენს ტანზე დრო შემოვხაზე
 დრო, რომელიც როგორც ამბობენ, გადის ასე სწრაფად და ჩვენ გვიმეტებს
 უხერხული სიბერისათვის,
 დრო, სადაც ჩვენი წილი ცხოვრება ისე ცოტაა, გასავლელი კი ისე ბევრი,
 ჩვენი ნაკლები ტანი გვეზღვევება, რადგან
 /ხან/ ჯერ კიდევ მარადიული ახალგაზრდობის მდინარეში ვწევართ და
 მდინარე კი მოდის და მიდის და არ ჩერდება და ჩვენ,
 მარადიულად ახალგაზრდა ბებრებს, მის ფსკერზე ჩახედვის გვეშინია,
 რადგან /ხან/ ჯერ კიდევ ბევრი საქმეა,
 რადგან ჯერ კიდევ სარეცხია გასაფენი,
 საქმელია მოსამზადებელი,
 შვილიშვილი სკოლიდან გამოსაყვანი,
 ანდა არაფერი საქმეც არაა, ჭერში თვალების შეწყობის და დუმილის დროა,
 დუმილის, რომელიც /ხან/ საუკუნე უნდა გაგრძელდეს.
 მე კი მგონია /ხან/დრო გადის ნელა, ან არ გადის და ან სადღაც დაგვრჩა,
 ან ჩვენთან ერთად მოიწყინა და ის არსებობს,
 /ხან/ ყველაზე სევდიანი არსებობით და და მე ვფიქრობ,
 როდის გავა ეს ცხოვრება,
 როდის გავა ეს ცხოვრება,
 ცხოვრება, სადაც აღარ მახსოვს, რატომ მიყვარდი.

უნდა ვიცოდე, რომ აქ ხარ, ახლოს,
 რომ ნამდვილი ხარ, შემძლია ხელით შეგეხო, — არ დაიმსხვრევი.
 უნდა ვიცოდე, რომ დგახარ სადღაც და ვერც მოდიხარ, ვერც მიდიხარ,
 ვერც ტრიალდები,
 ზურგით, ან კეფით, ანდა იქნებ სულაც ლოდინით
 დაღლილი, სადმე საკუთარ გულს ისინჯავ. — შარშან
 რომ იყო დიდი წვიმა, გულსავსე წვიმა,
 ნელს, მაისური ჩემს საკიდზე არაფრით გაშრა.

მე ვყოფნი ჩემ თავს.
 აღარ მახსოვს როდის ვიყავი.
 /ხან/ დრო რისთვის დაგრძელდა და რატომ აღარ დარჩა იქ ადამიანების ადგილი
 /ხან/ თვალების ირგვლივ ჩამოწოლილი მუქი წრებიდან როგორ გადმოვედი და
 სიცილი ჩავიფიქრე
 /ხან/ სიცილი როგორ არ მეყო და მდინარეები დავამლაშე
 /ხან/ მლაშე მდინარიდან როგორ ამოვიგრაგნე და ჭერში თვალები როგორ შევანყვე
 ჭერში, რომელშიც /ხან/ დიდი, ლურჯი აკვარიუმი ჩნდებოდა,
 აკვარიუმი, რომელშიც ჩემი სახლის ჭერიდან გამუდმებით წვიმდა,
 და წვიმდა და წვიმა ივსებოდა ყველაზე უთავბოლო და მოსაწყენი წვიმით,
 და ყველაზე უთავბოლო და მოსაწყენი წვიმით ივსებოდა აკვარიუმიც,
 აკვარიუმი, რომელშიც დაცურავდნენ ამბები,
 ამბები, რომლებშიც ვიყავით ჩვენ,

ამბები, სადაც ვიცოდი, რატომ მიყვარდი.

ბავშვები უნდა გადავმალოთ.
 საშოში უნდა შევიბრუნოთ და პირი ცხელი ნემსით ამოვიკეროთ.
 ბავშვები უნდა გადავმალოთ.
 თვალებიდან მზეები ამოვუქნდით და გამომშრალ ძვლებზე ცარცი გადავუსვათ.
 ბავშვები უნდა გადავმალოთ.
 ხერხემლიდან სანგრები ავაშენოთ და გულხელდაკრეფილები დავაძინოთ.
 ბავშვები უნდა გადავმალოთ.
 სახეები დავმანჭოთ და დაბადება გადავდოთ.
 ბავშვები უნდა გადავმალოთ.
 წურბელებით გავიბეროთ სისხლით და სიცოცხლე გადავუსხათ.
 დაბადება უნდა გადავდოთ.
 საკუთარი თავები მოვიგონოთ და ბავშვები გადავმალოთ.
 „ნეტარ არიან მორწმუნენი“...
 ღვთის გზაზე მებრძოლნი,
 ღვთის სახელით მებრძოლნი,
 ღვთის სახელით შემოსილნი.
 „ნეტარ არიან მორწმუნენი“...
 ცრუ სახელით მებრძოლნი,
 ცრუ გზაზე მებრძოლნი,
 სიცრუით შემოსილნი.
 „ნეტარ არიან მორწმუნენი“...
 ჯვაროსნური ომების სახელით მებრძოლნი,
 ჯიჰადის სახელით მებრძოლნი,
 ღვთის სახელით ბავშვების მკვლელები.
 „ნეტარ არიან მორწმუნენი“...
 მომხვეჭელობის გამო მებრძოლნი,
 სამოთხის გამო მებრძოლნი,
 სიკვდილის გამო მებრძოლნი...
 „ალაჰ აკბარ!“ — დიდება შენდა, ღმერთო ერთო,
 დიდება შენდა.
 შენ, ვინც მოგვიგონე ჩვენ და მოიგონე ომი და მოიგონე სამოთხე.
 შენც, ვინც აგვასხი იარაღი და მოგვინოდე ჭეშმარიტი რწმენის დასაცავად.
 შენ, ვინც გვიპატრონე მარტო დარჩენილთ და უსასოოდ მიტოვებულთ.
 შენ, ვინც მოგვეცი ძალა და თავგანწირვა და რწმენა და იმედი.
 შენ, ვინც მოგვეცი პური და წყალი და ღვინო და
 აგვასხი ხორცი და ძვალი და შთავებერე სული.
 შენ, ვინც მოგვმადლე სიცოცხლე და სიკვდილი და მორჩილება
 და გვითხარი:
 „ნეტარ არიან მორწმუნენი“...
 — „ალაჰ აკბარ!“ — „დიდება შენდა, ღმერთო ერთო,
 დიდება შენდა.“

და მხოლოდ მაშინ, როცა დაბადებას გადავდებთ და მხოლოდ მაშინ, როცა გადავადებულ დაბადებებში დავბრუნდებით



და მივხვდებით, ეს სხვა ცხოვრებაა,
 არა ისეთი, რომელიც მოგვეცა,
 არამედ ისეთი, რომელიც მოგვიგონეს,
 სადაც მოხუცები და კბილებჩაცვენილები ვერაფრით გავიზარდეთ
 ჩვენ, რომლებმაც სიკვდილი მოვიგონეთ
 და ჩვენ, რომლებმაც სიცოცხლეც მოვიგონეთ, —
 გულ-ხელ-დაკრეფილები უნდა დავდგეთ.
 გულზე ხელი უნდა დავიკრიფოთ და
 ბავშვები გადავმალოთ,
 რადგან არსებობენ სიკვდილები სიყვარულის სახელით
 და არსებობენ დაბადებები სიყვარულის სახელით
 და არსებობენ ომები სიყვარულის სახელით და
 „ნეტარ არიან მორწმუნენი“...

ბიჭები

აი, ბიჭები.
 ჩემი ბავშვობის სათამაშოებში გაფანტული ბორბლებგამომძვრალი მანქანები.
 დედაჩემის ცხოვრების სიმალლე დაგვიანებები.
 მამაჩემის ზურგზე მიშენებული სახლიდან გაქცევის საბაბები.
 უაივნო, გაკვამლული ოთახებით სავსე ბიჭები
 და აივნისანი, გამჭვირვალე ამბებით სავსე გოგოები და
 უმისამართო მოტოციკლის ხმაურით სავსე ნოემბრები
 და დეკემბრები და უსეზონო დღეები
 და მისამართიანი სატელეფონო ზარები,
 სადაც მხოლოდ ხაზის უცნაური შხრიალი ისმოდა და
 რომელიღაცა მაშინდელ რადიოში დატოვებული შეტყობინებები,
 რომლებიც SMS-ზე ბევრად სწრაფად ვრცელდებოდა.

აი, ბიჭები.
 მოტოციკლდამტვრეული და ერთმანეთის პირისპირ მდგარი ქალაქები.
 გულწამოქაჩული და ბაბუების ცხოვრების გასამართლებლად გამოგონილი გმირები.
 უაივნო ამბებით სავსე ბიჭები
 და თვალების დახუჭვის სანაცვლოდ მიტოვებული გოგოები
 და გაუთავებელი დერეფნები და
 დამოკლებული სახლში დაგვიანებები
 და დაბოხებული ხმის გამო ხის ავტომატის გადატენვები
 და დატოვებული შეტყობინებები,
 რომლებიც ხანდახან ჩვენამდე არც კი აღწევდა.

აი, ბიჭები.
 სადღაც წასული უკვე დიდი გოგოების აქ დარჩენილი მოლოდინები.
 ამბებს გარეთ და საზღვარს შიგნით სიყვარულით მშვიდი ბიჭები.
 ჩვენი ომგადაუხდელი ამბები და
 ჩვენი ბორბლებგამომძვრალი მანქანები და
 ერთი ბოთლი ჭაჭის სანაცვლოდ
 ტელევიზორში გაპარული საინფორმაციო გადაცემები,
 რომლებსაც ჩვენი ცხოვრების სიმალლე დარდი დავუტოვეთ
 იმ ყველაფრის დასავინწყებლად,
 რასაც ტელეფონები და შეტყობინებები ვერაფრით იტყვენ
 და სადაც სხედან, უაივნო, გაკვამლული ოთახებით სავსე ბიჭები
 და აივნისანი, გამჭვირვალე ამბებით სავსე გოგოები და
 და სადაც ერთხელ კაცს იავნანა მოუყვები.
 უსმენო, სიტყვებიანი იავნანა.
 ყველაზე ტკივილიანი იავნანა, რაც კი დედამინის ზურგზე უმღერიათ.

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

ნიგნის სათაური: „ჩემი არნივი“... არ-ნივმაც იცის და მკითხველმაც იცოდეს: რომ გველისციხის ყორანია ჩემი არნივი!

მწერალთა კავშირი. ნუთუ მართლა საბჭოური მოვლენა იყო? იმ წყობილების სამართლიანად აღგვამ, ჩვენი გულების გამხარებელი კავშირიც აღგავა სრულიად უსამართლოდ!.. ნუთუ დღეს ჩვენს მწერლებს აღარ უნდათ ურთიერთთანადგომა, ურთიერთდაკვლიანება? ნუთუ დამოუკიდებელ საქართველოს აღარ უნდა მწერლობის ერთიანი სულისკვეთება, შემოქმედებითად აღმავალი ერთიანობა... ნუთუ მართლა საბჭოური მოვლენა იყო?.. მას უფრო ანტისაბჭოური-პატრიოტული მოვლენა ეთქმოდნა და სათავეში ედგა მრავალანტისაბჭოური საქმეს!.. მაშ, რატომ აღიგავა ასე უნუგემოდ, ვინ აღგავა, ანდა რა ხეირი ნახა ამით ჩვენმა ბედკრულმა ქვეყანამ? პასუხი მოკლე და ამომწურავია: ამით ვერანაირი სიკეთე ვერა ნახა ვერც ქვეყანამ და ვერც მწერლობამ... უმწერალთა კავშირად დარჩენილი ქვეყანა და დაქსაქსული მწერლობა ამით რაიმე დიდ სიკეთეს ნურც მომავალში მოელოდება!

მწერალთა კავშირის გაუჩინარებასთან ერთად გაუჩინარდა დიდად წარმატებული გამოცემებიც: „მნათობი“, „საუნჯე“, „პოეზია“ და სხვა...

ჯერ კიდევ მაშინ მწერალთა კავშირი მეტნაკლებად კეთილად მეურვეობდა ქართველ მწერლებს: ცოცხლებსაც და მკვდრებსაც!

ეხლა მწერალი გარიყულია და... შეძრ-ნუნებულნი და მოშიშმულე შემოქმედნი განა რას შექმნის ისეთს, საქართველოს ტკივილებს რომ შეესაბამებოდეს!

ალაღად გეტყვი: გულით მენატრება ჭეშმარიტად სულახალი რითმიანი ლექსი!

მოდის, თვალი გადავავლოთ ვაჟა-ფშაველას შედეგებს, გალაკტიონის შედეგებს, დროის რა მონაკვეთში იქმნებოდა ისინი; ნუ მივანერთ წამიერობას. პოეტები დიდხანს იდგნენ ამ შედეგების ბურუსში. ხოლო შედეგის მომნიშვნისა და ამოთქმის უამრავი, შესაძლოა, სულაც წამიერობა იყოს. ნამამ აღმოხეთქა ეს შედეგები: ტალანტის წამიერმა გაელეგებამ გააცოცხლა...

ასე გავიყავით ენა ქართული: ზოგს გვგონია, რომ შეგვხვდა ძალზე უსახური მონაკვეთი და, შესაძლოა, ასეც არის, რის გამოც გული გვიკვდება, გული მიგვდის... ხოლო ზოგს გვგონია, რომ დღისის წყალობას ენივნენ და, ასეც არის, რის გამოც მადლს შესწირავენ ზეციერს და სინანულით დაგვიტყვიან ჩვენ: ბედისწერის უარყოფილებს!

უხილავი აზრი, გულს რომ მიფლეთს მთელი სიცოცხლე: ვიპოვო, აღმოვაჩინო ის, ვისი გავლენითაც ვნერ, ვის ნახმევრშიც იხლართება ჩემი სიტყვის ფესვები, ვინც უეჭვოდ არის, ვინც უდაოდ იყო... გაიხსენე არავინაი, ვინც მთელი ცხოვრება არკვევდა, ვისი გავლენით ნერდა, მაგრამ ვერ გაერკვა, ვერ ამოხსნა... ბოლოს მისი დასკვნა ასეთი იყო: ჩემივე გავლენითა ვნერო!.. ამდენი ფიქრის და ჭაპანწყვეტის შემდეგ შენც იგივე აზრზე რომ დადგე?! თქვი ასე: ჩემი თავის მიმბაძველი ვარო, თავისთავის პლაგიატორი და არც ის დაიფიქრო, არავინაის გავლენა, რაიც სულ თანა გდევს მთელი ცხოვრება!

ლექსო დორეული

სიმშვიდის პერიოდის ტექსტები

ლიტერატურა გინდარული სტაროტიკაჰის სამსახურში

დღეს, როდესაც ყველა უნებლიე, ბუნებით ინსტინქტურ წამოცდენას სექსიზმად და დისკრიმინაციად ვნათლავთ, რატომ ვდუმვართ იმ ფაქტზე, რომ „ქართველი ქალი პოეტების ანთოლოგია“, თავისი არსით, უკიდურესად უმოტივაციო და უკონცეპტო სექსიზმი?

აქ რატომ დუმან ჩვენი უფლებადამცველები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან ახმეტის რაიონ სოფელ ხორხელში მცხოვრებ, 63 წლის კაკო კახურაშვილს პირზე ხელი ააფარონ, როდესაც ბატონი კაკო ცოლისთვის გადაწყვეტს დაძახებას: „მაიტა, ქალო, ბეჭი მამფხანე.“

არადა, მეგობრებო, ლიტერატურას ისეთი ძალა აქვს, ხშირად ცხოვრებაზე უფრო საშიში და რეალურია.

თუ იმ მერყევი ფემინისტებისთვის, რომლებიც თავადვე აღმოჩნდნენ ამ ანთოლოგიაში, კარიერული წინსვლა იდეებზე და თანასწორობაზე უფრო მნიშვნელოვანია?

ვისი სული გსურს?

მოსკოვში დრეზდენის გალერეის საგანძურის გამოფენა გაიმართა. დიდი რიგი იყო და ამიტომ გარკვეული ხალხისთვის ცალკე დრო გამოეყოთ. ამ ხალხში მოყვა ცნობილი რუსი მსახიობი რანეცკაია.

სიქსტის მადონას წინ დგას ვიღაც ახალგაზრდა კაცი ორდენებით, უყურებს რაფაელის ტილოს და ამბობს: „Ну и что они в них находят? она вовсе мне не нравится!“ (რას ხედავენ ამამ? სულაც არ მომწონს). ასე ხმამაღლა ამბობს, რომ არ მოსწონს რაფაელის მადონა, რას წარმოადგენს და რაზე გიჟდება ხალხიო. უკან რანეცკაია დგას: „Молодой человек, эта дама, на протяжении многих веков, нравилась стольким мужчинам и таким мужчинам, что она сама имеет право выбирать, кому должна нравиться“ (ახალგაზრდა მეგობარო, ეს ქალი უამრავი საუკუნის მანძილზე ისეთ და იმდენ მაკაცს მოსწონდა, რომ ახლა თავად მას აქვს უფლება, აირჩიოს ვის მოსწონდეს).

ლიტერატურაშიც ასეა: არსებობენ ტექსტები, რომლებიც თავად ირჩევენ მკითხველს, ან უარს ამბობენ, რომ კონკრეტულმა ადამიანებმა ისინი წაიკითხო.

ცოდნა, რომელიც ვნებს

ინტერნეტში უმბერტო ეკოს სახლში განთავსებული ბიბლიოთეკის ვიდეორგოლი გამოჩნდა, რომლის ნახვის შემდეგ მაინც გამოჩნდება უამრავი ქართველი მწერალი და ლიტერატორიც კი, რომელსაც სინდისი არ შეუშლის ხელს იმის თქმას და დასაბუთებაში, რომ არ არის აუცილებელი, მწერალი იყოს განათლებული, წაკითხული ჰქონდეს კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ და ასევე გამოჩნდება უამრავი ქართველი მწერალი და ლიტერატორიც კი, რომელიც არ იქნება განათლებული, არ წაკითხავს კანტის „წმინდა გონების კრიტიკას“ და დანერს ამ მწერლის მიერ ხევესურეთში, თუ ლაგოდეხში მდგარ ობოლ ხეზე შემოსკუპებულ ობოლ კატაზე დანერილ პროზაულ ლექსზე რეცენზიას, რომელშიც აღნიშნავს, რომ „აქ უთუოდ პოეტის უნიკალური ცხოვრების ხმის ჰერმეტიულ გამოცდილებად პარადიგმატულ გარდაქმნასა და ტრანსმისიურ მოდალობასთან გვაქვს საქმე“.

ქველმოქმედება: სიკეთე თუ ბოროტება?

„ორი კურდღლის მადევარმა დაიჭირა ორივე“. ვახტანგ ჯავახიძე

ვერც კი შევამჩნიეთ, ისე აღმოვჩნდით ჩაფლულნი ქველმოქმედების ტოტალურ ფროიდულ მარაზშიში. და ამ მარაზშიში — სარამაგუს ამგვარ წინააღმდეგობრივ სინტაგმას თუ დავ-

ესესხები — „საკმაოდ სრულყოფილ“ გამოვლინებას დღეს წავაწყდით სპორტის სასახლის წინ გაკრული დიდი აბრის სახით: „გავერთოთ ივენთ ჰოლში თორნიკეს გადასარჩენად“.

ქველმოქმედებაც დაიძრნენ ივენთ ჰოლისკენ დასაღწევად, საცეკვაოდ, ნაშების დასაქერად, პონტისთვის, შესაძლებელი თუ შეუძლებელი შემთხვევითი სექსის გასახერხებლად. ზოგი ახლახანს 321, 99 ევროდ ნაყიდი მასიმო დუტის ახალი ლურჯი დუტის „ზედის“ გამოსაფენად...

პარალელურად სამოთხის გზასაც იბევებენ — ადამიანი უნდა გადაარჩინონ. ასე რომ, თუ შემთხვევითი კ. კ. სტატისტიკურ ი. ყ.-ს კლუბის ტულეტშივე დაარწმუნებს საკუთარ შესაძლებლობებში, ამით ის ადამიანის სიცოცხლესაც გადაარჩენს...

ტურინის ლაგაზი დასასრული

„ალბათ, ასაკის ბრალია. სულ უფრო მანუხება ფიქრი ლამაზი სიკვდილის შესახებ. ვხედავ, სხვები როგორ კვდებიან. ხან ვიხიბლები, ხანაც — მებრალეებიან. ზოგი ლაზათიანად მიდის, სხვა კი ნებდება, სამარცხვინოდ ან სასაცილოდ. ვოცნებობ მოულოდნელ სიკვდილზე, მოკრძალებულ იუმორთან წილნაყარსა და ბუნების საწყისებთან დაკავშირებულზე. ეს კი ადვილი როდია“.

მიშელ ტურნიე

პირველად ტურნიეს რომანი — „Vendredi ou les Limbes du Pacifique“ — რომ წავიკითხე, ჯერ თავში ყველაფერი აირია, შემდეგ კი საგნების განლაგების ლოგიკა საპირისპირო მიმართულებით შეიცვალა.

სწორედ ამ რომანით ვიგრძენი, რომ „პოსტმოდერნიზმი ნიუსია, რომელიც მოდერნიზმისგან გააკეთეს“ (ლუმანი).

რამდენიმე დღე გავიდა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწერლის გარდაცვალებიდან. კიდევ ერთი მწერლის, რომელიც სწორედ ამ გზით (გარდაცვალებით) შეუერთდა უნოქლო ნობელისპირისგან შთამბეჭდავ სიას...

P. S. ისე, ამ ჩანაწერის ეპიგრაფად გამოტანილ სიტყვებში გამოყენებული ერთი სინტაგმა ხომ არ გახსენებთ ერთი ქართველი პოეტის მიერ გამოყენებულ იმავე სინტაგმას? თუმცა, რა სისულელეს ვამბობ... არ მგონია, მან ტურნიეს შესახებ რაიმე იცოდეს...

ზღვარი, რომლის ნაშლაც სასიფათოა

„საბას“ პრემიაზე რამდენჯერმე მოხდა, როცა კრიტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და „ცუდი დოკუმენტური პროზის“ (ეს უკანასკნელი ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ცალკე ჟანრად ჩამოყალიბდა) ჟანრები როგორღაც ერთმანეთში აირია და ეს ლიტერატურული პრემია კრიტიკის ჟანრის კანონიკის სრული დისკრიმინაციით გაიცა.

იმ სახის კვლევებს, რომლებშიც წარსული წარსულშივე ცოცხლდება და, მათგან განდევნილია ანმყოფი, აქ და ახლა ყოფნის ის უნიკალური სიცოცხლე, რომელიც ამ ჟანრის (კრიტიკის) მთავარი ნიშანია, არაფერი აკავშირებთ თანამედროვე ლიტერატურასთან და, შესაბამისად, კრიტიკულ დისკურსთან.

ცხადია, იმ ტექსტებზე წერა, რომლებშიც ისტორიულად უკვე მოიპოვეს აღიარება, ბევრად ადვილია, რადგან ეს არ მოითხოვს ეჭვის გაბედულებას. კრიტიკას თანამედროვე ტექსტებთან უნდა ჰქონდეს საქმე, ანუ იმ ტექსტებთან, რომლებსაც ლიტერატურულ სივრცეში ისტორიული სტატუსი ჯერ არ მოუპოვებიათ.

ჩვენში კი რა ხდება? კრიტიკის სახელით გამოდის ტექსტების კრებულები, რომლებიც მთლიანად მოწყვეტილია თანამედროვე პროცესს.

იმისათვის, რომ „კრიტიკის დაბადება“ შესაძლებელი გახდეს, ამგვარ ტექსტებს უნდა ავუკრძალოთ, თავი კრიტიკად წარადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდამ ვიქნებით დაკავებული მხოლოდ წარსულის სახელოვანი მწერლების

პიროვნული თვისებებისა და თუნდაც ტექსტების კვლევით და თანამედროვე ლიტერატურას ამით განვითარების და თვითრეფლექსიის ყოველგვარ შანსს მოვუსპობთ.

ასე მოხდა, მაგალითად, 2013 წელსაც. მაშინ კრიტიკის ნომინაციაში წარდგენილი ორი ნიგნიდან მხოლოდ ერთი მათგანი შეესაბამებოდა ამ ჟანრს.

ოქტაი ქაზუმოვის ნიგნი — „129 გვერდი ლიტერატურაზე“ — მართალია, ჩემი აზრით, არ იყო იმ დონის, რა მხატვრულ სიმაღლესაც ამავე ავტორის თარგმანები აწესებენ, მაგრამ ნომინაციაში გამარჯვებული ელგუჯა თავბერიძის „კოლიმ-გრაფისგან“ (რომელიც, უნდა აღვნიშნო, ასევე არ წარმოადგენს ესთეტიკური და ფილოსოფიური გმირობის ნიმუშს) განსხვავებით, ის კრიტიკის ნომინაციისადმი ჟანრულად მეტნაკლებად ადეკვატური და რელევანტური გახლდათ.

იქნებ ღირს დაფიქრება, რატომ იქცა სიტყვა „კრიტიკა“ ერთგვარ იარაღად (რომლის მოსაპოვებლადაც საკმარისია ავტორის სურვილი) და ამგვარი ტექსტების უკანონო თავშესაფრად:

„ასე რომ, ვარლამ შალამოვის პატიმრობამდელი ნაწერები ძალიან ცოტა შემოგვრჩა, მაგრამ რაც შემოგვრჩა, ბევრის მთქმელია. განსაკუთრებით კოლიმადან თავდაღწევის მერე შექმნილი თხზულებებია საინტერესო. თხზულებები, რომლითაც მთელი მსოფლიოსათვის ახლოებული გახდა სახელი და გვარი — ვარლამ შალამოვი. თითქოს ცეცხლი მისდევდა, წერდა, ის შთანთქავდა, ეს მანაც არ ეშვებოდა, წერდა, ხანძრის მინავლების მერე გამალებით, ცეცხლი ხან ყელყელაობდა, ხან ჩაუწყვდებოდა, ხან ბევრი, ხან ცოტა ინვებოდა, ახანძრების დროსაც და ჩანაკვერჩხლებულ ნაღვერდალშიც მიჩრებოდა სიმხურვალე გამოუჩნდებოდა... მაგრამ, ბევრი რამ გადარჩა, რითაც საბჭოთა ლაგერის ნამდვილი სურათი დაიხატა, დაიხატა მართალი მწერლისაგან ნაღდად, შეულამაზებულად. ჩემი მწერლური მანერაა, უნდა ვხედავდე, ხელში მეჭირის, რაზეც ვნერ — ამბობდა ერთგან. მთელი კოლიმა, საბჭოთა ლაგერის კომარული ამბები ხელისგულზე ედო, ხედავდა, წერდა.“

შეიძლება კი მივაკვიროთ კრიტიკის კვალს ციტირებულ ტექსტში? თუ დროა, მისი გაუჩინარების ნაფეხურებს დაეფიქროთ ძებნა?

ხმა, რომელსაც ვერ გააქცევნი

ცოტა ხნის წინათ ერთი ჩემი საყვარელი პოეტის საღამოზე ვიყავი. ძალიან კარგი რამე იყო, უბრალო, სადა (გამომსვლელებს თუ არ ჩავთვლით, რომლებმაც ტრადიციული სადღეგრძელოებით უშედეგოდ სცადეს, საერთო სურათი გაეფუჭებინათ), ნამდვილი პოეზიის სუფს იქ იგრძნობდა.

საღამოს დასაწყისში პატარა ტექნიკური პრობლემა შეიქმნა, რომელშიც აშკარად ღმერთის ხელი ერია: მიკროფონი ცუდად მუშაობდა და ხმა უკანა რიგებამდე ძლივს აღწევდა.

მან თქვა: არ მაქვს მოსაწვეფენი ხმაო. რა ირონიულად ჟღერს, არა? ის ხომ პოეტია, რომლის ხმაც ვერავისში შეგეშლება, რომელსაც ქართულ პოეტურ სივრცეში სრულიად უნიკალური, ერთადერთი ხმა აქვს.

კითხულობდა თავისი ხმით ლექსებს და სულ უფრო და უფრო მიმძაფრდებოდა ის განცდა, რომ შეუძლებელია ამ ხმის ჩანაცვლება: კითხულობ მის ლექსებს და ისინი არანაირ შანსს არ გიტოვებენ, რომ სხვა ხმით, ინტონაციით წაიკითხო, შექმნა მათი საკუთარი რეპრეზენტანტი.

თანაც ეს ხმა იმდენად მძლავრია, მისი დეციბელები რამდენიმე დღესაც კი აღწევს.

რა გასაკვირია, რომ მეც გამომეცა ეს ხმა, ქვეცნობიერში ჩამრჩა და ამეკვიტა, როგორც მუსიკის ნაფლეთი ავეკვიტება ხოლმე, რომელიც მთელს მელოდიას მთელი სისასხით წარმოადგენს (ამას ფილოსოფოსები რეტენციონალურ შემეცნებას ვეძახით).

მთელი დღე დავდივარ ქუჩაში და რაღაც აზრებს ვუყრი თავს, ვალაგებ, მაგრამ შეუძლებელია მათი დახსნა, გამოსხნა მისი ხმისგან! ყველა აზრი, იდეა, შედარება, სიტყვაც კი მის ხმაზე იწყებს ლაპარაკს. თითქოს რაღაც ძალამ ყველა საგანს მისი ხმა ამოუდგა...

2011 წელს კოტე მარჯანიშვილის თეატრში ხელმეორედ დაიდგა „მგზავრის წერილები“, სადაც ილია ჭავჭავაძის როლს თენგიზ არჩვაძე თამაშობს. წარმოდგენის პრემიერა 1982 წელს შედგა, მას „ასი წლის წინათ“ ერქვა და გაერთიანებული იყო „ოთარანთ ქვერვი“, „მგზავრის წერილები“ და „კაცია-ადამიანი“. ეს სპექტაკლი არ მინახავს, მაგრამ განახლებულ წარმოდგენაში თენგიზ არჩვაძის ილია ჭავჭავაძე დიდხანს მემახსოვრება. სწორედ ეს სახე მედგა თვალწინ, როცა როსტომ ჩხეიძის მონტაჟს — „იის სურნელი თოვლში“ — ვკითხულობდი (ჟურნალი „მწვანეყვავილა“, 2015, 1). ორ მოქმედებად და ათ სურათად დაწერილ ნაწარმოებში იაკობ გოგებაშვილთან ერთად ილია ჭავჭავაძე მთავარი პერსონაჟია. ის არის, ასე ვთქვათ, მთავარი ფიგურანტი და დრამატურგის შთაგონების ინსპირაციის წყაროც, როგორც როსტომ ჩხეიძის არაერთ ნაწარმოებში. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ბიოგრაფოსი, ის უფრო გვიანდელ, XX საუკუნის პირველი ნახევრის, ამბებს გვიყვება — სამოციანელთა, თერგდალეულთა თემა მწერლისთვისაც ახლობელია და მისი ერთგული მკითხველისთვისაც...

ამ მონტაჟის (როსტომ ჩხეიძე უწოდებს ასე, თავმდაბლობის გამო, თორემ ყველა ნიშნით პიესას) მკითხველი ვერაფრით მიხვდება, რამხელა უფესკრულია ეპიკურსა და დრამატულ თხრობას შორის, რადგან ავტორი არა მხოლოდ მხატვრულად მოგვითხრობს, დროულად კრავს, ავიტარებს და ხსნის კვანძს, ოსტატურად გვიხატავს ხასიათებს, მოქმედებასა და კონფლიქტს, „სულისა და გულის უდიდეს ძვრას“ ავება ნაწარმოებს. დრამა ურთულესი და უზუსტესი ჟანრია და მხოლოდ მონოლოგებად და დიალოგებად, სცენებად და მოქმედებებად დაყოფა არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად. ჟანრობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, აქ უმთავრესი სიზუსტეა, ერთმა ყალბმა ფრაზამ, არასწორად ნათქვამმა სიტყვამ შესაძლოა ფატალურ შედეგამდე მიიყვანოს... ამასთან უმთავრესია ეპოქის სულში ჩანვითქვამა, რაც როსტომ ჩხეიძის უდავოდ ძლიერი მხარეა. მწერალი ისე ხატავს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ამბებს, თითქოს თავად ყოფილიყო ამ ბოლოქარი მოვლენების მონაწილე. მკითხველიც მთელი არსებით განიცდის დიდი ქართველების ტკივილს, მათთან ერთად იბრძვის ქართული ენის, სკოლის, სულიერების, ზოგადად ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად.

იაკობ გოგებაშვილსა და ილია ჭავჭავაძესთან ერთად, მოქმედი პირები არიან: გაბრიელ ეპისკოპოსი, ნიკო ხიზანიშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სანდრო და ნიკო ცხვედაძეები, კონსტანტინე მამაცაშვილი, მეფისნაცვლი, კანცელარიის უფროსი... პიესა თბილისის სემინარიამ იაკობ გოგებაშვილის ზედამხედველად დაწინაურებით იწყება, რასაც სემინარიელთა დიდი სიხარული, ჟრიაშული და შეძახილები მოჰყვება. ეს შეძახილები დროდადრო მეორდება, თითქოს ფონად გასდევს ნაწარმოებს. დესპოტურ აღზრდას ჰუმანური მეთოდები ენაცვლება, ძალმომრეობას სიყვარული, უნესრიგობას წესრიგი, წიგნები, აზროვნება და არა ზუთხვა.

1863 წელს, როცა იაკობი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად დანიშნეს, სემინარიის ხელმძღვანელი ვინმე კუვინისკი იყო. „იმ წყევლმა ყველაფერი ისე მოაწყო, — წერს ვასილ ბარნოვი, — რომ გულიდან აღმოფხვრა ყოველგვარი ნასახი ქართველობისა. სწავლა — რუსულად, სიმღერა-გალობა — რუსულად... არასოდეს სემინარიის კედლებში სისაძაგლე ისე არ ყოფილა, როგორც მაშინ“.

ვასილ ბარნოვი ამ პიესის ერთ-ერთი პერსონაჟია. ასეთ ვითარებაში მხსნელად და იმედად გამოჩენილი იაკობ გოგებაშვილი, ბუნებრივია, სემინარიელთა ალტაცებასა და სიხარულს იხვევს. პიესაში გოგებაშვილის ძლიერი, თავშენიერი, მტკიცე ხასიათი იხატება, ჩანს ქართული საზოგადოების განსაკუთრებული მონივნებაც მის მიმართ. ილია, როგორც ყოველთვის, აქაც პირველი გმირობს ეროვნულ ძარღვს, ძლიერ ხასიათს, გამორჩეულ პიროვნულ თვისებებს, ამიტომაც დიდ იმედებს ამყარებს თანამებრძოლზე. ცნობილია, რომ იაკობი ილიას ჭეშმარიტი თანამოაზრე და მეგობარი იყო. თუ საქმე პოლიტიკას, მტრისათვის საკადრი-

სი პასუხის გაცემას ეხებოდა, ყველა ილიას შესცქეროდა იმედის თვალით, თუ სწავლა-აღზრდის, ქართული სკოლისა და წიგნების საკითხი ანუხებდათ, მშველელი, რა თქმა უნდა, იაკობი უნდა გამხდარიყო. ქართველთა მოძულე რუსები, მოლაღატე ქართველები, იმპერიის ერთგულები და საქართველოს მტრები იმ ეპოქას არ აკლდა. მეფისნაცვლისა და კანცელარიის უფროსის საუბრები და ქმედებანი პიესაში, მათი მზაკვრული გეგმები კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმპერიის გეგმებზე. კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობა 1844-45 წლებში შემოიღეს, რეზიდენცია თბილისში იყო. იგი კავკასიაში განსაკუთრებული უფლებით სარგებლობდა — უშუალოდ ემორჩილებოდა ყველა უწყებას. მასზე იყო დამოკიდებული მოსამსახურე პირთა დანიშვნა, გათავისუფლება, დაჯილდოება. იგი ამავე დროს კავკასიაში მდგომი ჯარების მთავარსარდალიც იყო. სადავო საკითხები, რომელიც მეფისნაცვლის ფუნქციებს სცილდებოდა, განსახილველად იგზავნებოდა პეტერბურგში „კავკასიის საქმეების კომიტეტში“, კო-


მარინე ტურავა

დაკარგული სატახტო, დაბრუნებული სატახტო

მიტეტის დასკვნას მოახსენებდნენ მეფეს საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის. კავკასიის არცერთ მეფისნაცვალს, 1882 წლიდან კი არცერთ მთავარმართველს არ დაუტავს საქართველოს ინტერესები. ქართულ სკოლასაც ებრძოდნენ და ქართულ აზროვნებასაც: ნაწილი მუნჯური მეთოდით სწავლებას ემხრობოდა, ნაწილი მცირე ერებისა და ენების გადაშენებას ქადაგებდა, ნაწილი ქვეყნის ისტორიასა და კულტურას მიზანმიმართულად აყალბებდა. ერთი მხრივ, ფალსიფიკაციის-ჯანდიერებთან, მეორე მხრივ, კი იმპერიის ჩინოვნიკებთან ბრძოლაში გააერთიანა ილია და იაკობი. ორივე ერთად კი წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსთან მიიყვანა, რაც პიესაშიც ნათლად ჩანს. საქართველოს ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ გაჭირვების ჟამს ერი და ბერი ქვეყნისათვის ბრძოლაში ერთად იყო.

ილია დიდად რომ აფასებდა გოგებაშვილს, ცნობილი ისტორიკოსისა და არაერთი გამოკვლევის ავტორისა ალექსანდრე ფრონელი-ყიფშიძის მოგონებებიდანაც თვალსაჩინოა: „მე და ჩემი ძმა გიგა (იგულისხმება გრიგოლ ყიფშიძე, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე) ერთ საღამოს ილიასთან ვიყავით. შემოიტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი — მრისხანე და უკმეხად დაწერილი. ილია კაბინეტში შევიდა პასუხის დასაწერად. გაიარა ერთმა საათმა, მეორემ. ილია არ გამოდიოდა... ბოლოს, გამოვიდა და ნაგვიკითხა, რაც დაეწერა, სულ რამდენიმე სტრიქონი. პასუხი მეტისმეტად თავაზიანი და მტკიცე იყო. მე და გიგა განვცვიფრდით პასუხის მეტისმეტი თავაზიანი კილოს და პანია ბარათზე დახარჯული დიდი დროის გამო. ილიამ გვიპასუხა: „იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის, ბევრი რამ, რასაც ის მოინერება, ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხედიერ გახდესო.“

ეს განწყობა როსტომ ჩხეიძის პიესაშიც გადმოდის. „თქვენ ის თქვით, თავყრილობებზე ილია ჭავჭავაძე „ბატონოთი“ რომ მიმართავს: ბატონო იაკობო!.. ის თავადი, ეს გლეხი და ბატონო, აბა!..“ ილიასგან, აკაკისა და ნიკო ნიკოლაძისგან ასეთი მიმართვა პერსონაჟებს არ უკვირთ, მაგრამ გრიგოლ ორბელიანისაგან სწორედ იგი რომ მოულოდნელია: „ყველა თავადსაც არ უყადრებს თავს, რაც უნდა იყოს, მეფე ერეკლეს შთამომავალია, დღეს ეგეთი წარჩინებული ერთი-ორი თუ იქნება ჩვენს კეთილშობილთა შორის. და... ბატონო იაკობო“. გრიგოლ ორბელიანის ერთგვარი რეაბილიტაციის მცდელობა მეორედაც გვხვდება პიესაში: მართალია, გრიგოლი ფრთხილია, მაგრამ საერო საქმისთვის ისე აინთება ხოლმე, შესაძლოა სხვა მამულიშვილებიც „უკან მოიტოვოს“, რა თქმა უნდა, თუ ილიამ დაარწმუნა და შეაგონაო, ეუბნება იაკობი დანარჩენებს. გრიგოლ ორბელიანისადმი არერთგვაროვან დამოკიდებულებას ჩვენს ლიტერატურაში როსტომ ჩხეიძე ყოველთვის ამგვარი პოზიციით უპირისპირდება. ეს სოზი-



ცია კი, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა თავად ილიას დამოკიდებულება ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული წარმომადგენლის მიმართ, რაც უზუსტესად სამოციანელთა თავკაცის გამოსათხოვარ სიტყვაში გამოიხატა: „შენ ვანვლე შენის ცხოვრების გზა და აღბეჭდევა ნავალი. შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილს, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყავდა და იმავ დროს იგლოვებს კიდევ, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები.“ ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვა ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშებშია შესული.

დიმიტრი ყიფიანის ილია თავისი თაობის ხუროთმოძღვარს უწოდებდა, მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, მან დიდი როლი შეასრულა ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში. ამიტომაც, მართალია, იგი პიესის პერსონაჟი არ არის, მაგრამ მონაწილეობს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში. ასეა, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება იქმნება, სწორედ ეს საზოგადოება უნდა გახდეს, ქართველ მამულიშვილთა აზრით, რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის პლაცდარმი. მას მომავალში სათავეში სწორედ დიმიტრი ყიფიანი უნდა ჩაუდგეს.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების დამფუძნებელი და თავკაცი — როსტომ ჩხეიძე განსაკუთრებით რომ აფასებს ამ ქართველი მამულიშვილის ღვაწლს, ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ეს პოზიცია პიესაშიც ვლინდება, ილია ჭავჭავაძის რუსები სწორედ ალექსანდრეს საქმეების გამგრძობლებად, მასავე „ამრევად“ მოიხსენიებენ. თავად ილიაც ნოსტალგიით იგონებს ალექსანდრე ორბელიანს, რომლის ერთი გამოჩენაც კი თბილისის ქუჩებში ქალაქს სხვაგვარ ხიბლს ანიჭებდა. „არა, აღარ არის ეს ის ტფილისი, სადაც გაქრა, დაიკარგა ჩვენი სატახტო, ადამიანები ინარჩუნებდნენ წარსულის ხსოვნას, თავისუფლების წლების სუნთქვას“, ეუბნება გულისტკივილით „განდევილის“ ავტორი ნიკო ხიზანიშვილს.

ქართული სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოების შექმნასთან ერთად იაკობ გოგებაშვილის მთავარი საზრუნავი, ბუნებრივია, „დედა ენაა“. ეს თემაც პიესის ტემპორიტმის განმსაზღვრელია და პერიოდულად მეორდება. იაკობს მთელი წიგნი თითქოს ხელისგულზე უდევს, ნათლად ხედავს ყველაფერს, მაგრამ „იმ ძაფის წვერს“ ეძებს „მთელ გორგალს რომ აიხვევს“ და ჩანაფიქრს ბოლომდე მიაყვანინებს. თუმცა დიდხანს ვერ პოულობს, ჯერ გაბრიელ ეპისკოპოსი, შემდეგ ილია და ბოლოს დარო მამაცაშვილი, სრულიად დამოუკიდებლად, მას უფლისთვის ყურისგდება ურჩევენ: „შენისთანა კაცი უფლის მაღლი არ მოაკლდება და მისი იღუმალი სიტყვა გაგიკვლევს გზას“. ილ-

იამ ერთიც დასძინა, ეგებ ყმანვილის პირითაც გიკარნახოს და არ გამოგეპაროსო. დრამატურგმა მკითხველის დაძაბული მოლოდინი ოსტატურად გაამართლა, კვანძიც გახსნა და იაკობს მართლაც უფლის კარნახითა და ბავშვის პირით მიანიშნა ის, რასაც „დედა ენის“ ავტორიცა და ქართველი საზოგადოებაც ამდენ ხანს ელოდა.

აი ია — ქართველის უპირველესი წიგნის საოცარი გასაღები თითქმის 12 წელი ეძია იაკობმა და მიაგნო კიდევ, მართლა უფლის ხელი ურევია ამ საქმეში.

„არაფერი ისე არ აერთიანებს ერსა და სახელმწიფოს, როგორც ენა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და მისი საწყისი — აი ია — მშობელი დედისა და პირველი მასწავლებლის ხმებთან ერთად სამუდამოდ დამკვიდრდა ყოველი ქართველის ცნობიერებაში, ეს წიგნი იყო და არის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთ-ერთი ერთობად განმტკიცების მნიშვნელობადაუკარგველი ფაქტორი, ამ თვალსაზრისით, იაკობი დიდი ქართველების — გრიგოლ ხანძთელის, გიორგი ათონელისა და სულხან-საბა ორბელიანის მაღალსულიერი საქმიანობისა და ღვაწლის ღირსეული გამგრძობლებელია. აი იას წარმოქმნას სულ ერთი წამი უნდა, ეს არის წამი, რომელიც ყოველი ქართველის ცხოვრებაში დგება და არასდროს მთავრდება — საქართველოში შეიძლება ყველაფერზე დაუსრულებლად იკამათონ და ეჭქვეშ დააყენონ, მაგრამ დედაენის პირველ სიტყვებს ეს არასდროს ეხება,“ — წერს გია მურდულია წერილში „ნათლის მეგზური“ (იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი). ამავე წერილში „აი ია“ ღვათებრივი სიმეტრიის მარშირებად არის მიჩნეული.

პიესის კითხვისას ლია სტურუას სონეტი „აი ია“-ც გახსენდება და პირველი წიგნისადმი ქართველთა საოცარი მონივნაც:

*ჯერ კიდევ მაშინ
დედაენას რომ კითხულობდი
და მელნისფერი სახეები
თავს გველებოდნენ,
მამინაც პირში ჩიტი გყავდა
გამოვლებული
და ანბანთქება მოდიოდა
გაზაფხულივით.
თითქოს რვეულში კი არ წერდი
სიტყვას, უცაბედს,
პირდაპირ ტანზე იხატავდი,
როგორც ქსოვილზე
და იების სუნს ინახავდა,
ბოლო თოვლივით,
ბიბლიოთეკის დაფურცლული
თბილი მუცელი.*

სწორედ თოვლში ამოსული ამ იების სურნელმა აპოვნინა გოგებაშვილს უბრალო და გენიალური — აი ია, არც ერთი სახელმძღვანელო არ იწყება, ალბათ, ამ ქვეყნად ასე ჰარმონიულად, მსუბუქად, ლამაზად და არ წარმოითქმის, ისე თითქოს „პირში ჩიტი გყავდეს გამოვლებული“...

იაკობს ჭლექი სჭირდება. ამ სენმა არაერთ მწერალს ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე. მან, მხოლოდ დიდი ნებისყოფისა და სიფრთხილის წყალობით, შეძლო 72 წელი ცეცხორა და დიდხანს ეღვაწა მამულიშვილისათვის. მიიჩნევა, რომ ჭლექი მემკვიდრეობით გადაეცა და ამიტომ ოჯახის შექმნისა და შვილების ყოლის უფლება არ ჰქონდა. ცოლი არასოდეს მოუყვანია, თუმცა თავდავიწყებით უყვარდა იოსებ მამაცაშვილის ასული დარია. პიესაში ეს სასიყვარულო ამბავიც დიდი ზომიერებით არის ასახული, განსაკუთრებით სინტერესოა, რომ ავტორმა პერსონაჟებად იაკობისა და დარიას სულელიც შემოიყვანა, რითაც ხაზი გაუსვა მათ სათუთ, თითქმის არამიწიერ გმირობას. პიესის მიხედვით, იაკობი, სიკვდილის წინ, ნანობს, რომ ასე მოიქცა, რომ ოჯახი არ ჰყოლია...

ცნობილია, რომ გარდაცვალების წინ ახლობელს კიდევ ერთხელ ნააკითხა თავისი ანდერძი, გადაწყვეტილების სისწორეში რომ დარწმუნებულიყო. ანდერძის ნაკითხვის შემდეგ კი უთქვამს: „მოვრჩი ჩემი სამსახური ხალხის საქმისთვის, მისი სიკეთისთვის. რაც რჩება ჩემი სიკვდილის შემდეგ, დიდი ნაწილი ისევ ხალხსვე მოხმარდესო“. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. დიდუბეში, თავისი მეგობრის, ნიკო ლოლობერიძის გვერდით მიაბარეს მინას იაკობ გოგებაშვილი. 1940 წელს მისი ნემსი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს. გადასვენების ერთ-ერთი მონაწილის, პროფესორ იოსებ ბოცვაძის გადმოცემით,

მინამ ჩამიტანოს, მეტი თუ ვინატრო ქონება...
მთელ ქვეყანას გადასწონის, ეს რომ შეიკონება.

გულგის ჭიდილი

ფოტოდან

მუხლი არ აგიკანკალდეს, მეტოქე დააკავე,
აქნილი, აქავებული, რქას დაახვედრე რქავე.

მთვარის ქათქათებს ნიშანი, შუბლზევე გატყობ ჯავარს,
ვინაც რო თვალში მომივა, იმის მხარეზე ვდგავარ.

რა შემახედებს გულგრილად – ლენვას და ლინინ-ლინინს,
ეს შერკინება, უდრეკთა, ძალად მესახვის მინის.

კისრების დახრა, ხარულად, უხდება მინდორს, ტრიალს,
ქშენენ, ბერავენ ნესტოებს და ცეცხლის რგოლებს ყრიან.

გუმანმა, ჩემმა, იცოდეს, ვიხრები საითკენაც,
შეშლილთა, გავეშებულთა, მომწონს რწოლა და რქენა.

ბაჩანას სოფელი

ზმანების ნაფლეთი

ცრემლმორეული, ვნუხვარ, ვიხსენებ —
სიზმარი იყო, არც გავდა სიზმარს...
სხივდაუკრავი და მომწუსხველი,
ახალგაზრდული და უსხველო,
ვარსკვლავი ცისკრის – ასხივდა სხვადა,
სხვა ვარო, მითხრა მისწობამ მისმა,
მისისხინებულს, არხედა რტოებს,
ესხურებოდა ისხარი, ცივი,
ოქროს ნაყოფი დაესხა თითქოს...
გამხელებელი, არგასამხელი,
ეს იყო ხილვა. ვენვალე, ვცადე,
რომ აღმედგინა და დავისაჯე —
რთვილმა დამფარა, წამერთვა გონი,
ბოგანოდ ქცეულს, ლიცლიცა, სავსე,
წამექცა თასი და დაიღვარა...
წითლად განელილს, გავყევი ნაკადს,
ალარ ამომყვა მეთათსედიც.

სააჭვოა გამორჩენა

რეზო ჭეიშვილი მახსენდება

წლევანდელ ღვინის ვერ შეხვდი სეზონს,
მწვანეყვავილას ჰგუობ, მითელილს...
ორმოცი გადაგიხადეს, რეზო,
გულზე დაგადგეს ლოდი წითელი.

მოდებუღია ხავსი და ბაო,
მოგვწყინდა, ამინდებიც ცუდია...
კარგს აღარაფერს მოველით, ძმაო,
უშენოდ ვუცდით ვარსკვლავს, კუდიანს.

არავინ მელოდია

უშნოდ ნაგები სახლების ბოლოს,
როცა თვალს მოგკრავ, მწვანე ბუჩქნარო,
დადლილი სისხლი დაიწყებს ჩქროლას,
მყის მომინდება, ფეხს ავუჩქარო.

დაბრეცილი და ძველი ნაჭედი,
ჩამოვიტოვე რკინის ჭიშკარი;
რახან დავიძარ, აღარ გავჩერდი,
თუმცა არ ვიცი, საით ვიჩქარი.

თავის მოკვლა მოგინდება

ვაზს რქა აქავდა, ხე იცვლის მერქანს,
ვარდისფურცლება, დადგა მირკანი...
არ ვიცი, ამას რა უნდა ერქვას,
გაზაფხულს დაენმინდა პირ-კანი.

ჩასაყლაპია ყოველი წამი,
არ გაგიკვირდეს, ენა დაგებას;
მზე წითლად ბოლავს, შესაფერს ამის —
ვერც ქებას იტყვი და ვერც ძაგებას

ვერაფერს შეცვლის ძაგება, ქება,
ყოველი სიცრუეა და როში...
სიკვდილ-სიცოცხლე, მატება, კლება —
ჩაჭედულია მიჩენილ დროში.

წრიალი, შფოთვა სანამდე გასტანს —
ფოთოლთა, ქარში მოკანკალეთა!..
რა განწყვეტს კავშირს მინისა, ცასთან,
რას მეტყვი — არ მონებდეს კალენდარს?!

საბაზაფხულო ნაღველი

გრილო დღეო აპრილის, ვერცხლისფერო წყაროვ,
დილიდანვე აპირებ — გასხლტე, გამეპარო.

მოსავსავს, დანავსულს, არ გამოთლი ნავსაც,
გათვალული დავრჩები, ცარიელზე დამსვამ.

მინაც არ შეიბრალებ — ნამნასვამი, სველი,
კოჭებშივე გეტყობა — მტოვებ, თავს უშველი.

უჯიათი, წანწალა, ღამეს ვისთან ითევ?!
რითი ველარ გაძეხი, ხარბო, მოჯირითევ?!

წრეში დამატრიალებ, მტვერი დამედება...
არ გამტყუნებ, ნესად გაქვს — გაცლა, გამეტება.

რა მემღერება

ჩხრიალებენ, მწვდენენ, დამახრჩვეს — ურჩხულებმა,
მონსტრებმა.
რალას ვიზამ, უმთავრესი ჩემთვის არის მოსწრება.

კარი ციხე-დარბაზისა თუ არ გადამერაზა,
სიზმარშიაც ვერ ნახავენ, დავახვავებ მე რასაც.

ცას, მალალს რო მივეხლები, მუხად ვაქცევ მე ლოლოს,
სანადელს თუ მივალნიე, ყველა კარგად მეყოლოს.

ქვაზე მინდა ამოვკვეთო ჩემი ჯავრის ჯავარი.
წლები დადნა, ისეც, ასეც — მოსწრებაა მთავარი.

მრისხავს ჟამი:
მწადს ქვესკნელის მრუმე წყლებში გაგრიო,
ბნელ თალებში გაგაქროლებ, გიჯობს, შენვე გაქრო.

შუბი ეპყრა ნამახული, მომელანდა წუხელაც,
ღელე ვერ გადაუვლია, ვისაც იმან უყელა.

ირგვლივ შემომეღებებიან — გვირილები, ასტრები...
გაბანრულ წრეს შემომავლებს,
რაც დამრჩა მოსასწრები.

განდობა

ნაზო ყვავილნო მინდვრის —
ყაყაჩოვ, შუპყავ, დიყო,
მოვკვდე თუ რაიმეთი
სხვაზე ნაკლები ვიყო.

ვერ დავეხსენი სურვილს
მშვენიერ წამთა პარვის,
ბარემ იმასაც გამცნობთ —
არ ვეჯობრები არვის.

**არ ვნებდები ჟამთასვლას
შამოდრომა მამხნევეს**

ამდენი დენა წყალსაც დადლიდა,
არ ცხრება ჟინი დასახატავის,
ხილვა წიაღის მინდა ახლიდან,
ეგების მივალნიო სათავეს.

წრებრუნვა მაშინ რალას დამწენავს,
ფრთებგამოილს, შლამიც ველარ დამფარავს;
სიბერის არ ვიტოვებ ნამცეცხვაც,
დაჭიმულია ტანი — ზამბარა.

ვიგემე ძარცვა ზამთარზეც მეტი,
ტრიალს, წლებისა, ეყოს, რაც ხვეტა;
სამსალის არ შევირჩინე წვეთი,
ძნელია ჩემი წელში განწყვეტა.

ტანის ბანისას ნაფიქრი

ჩემივ ფრჩხილებით დახოკილ, დაქარდულ თავისქალას,
დაუკითხავად შეყუყულ,
დამფრთხალ ზრახვებს რო მალავს —
არცთუ დიდი დრო გაივლის (ვაი, ნერვების გლეჯავ),
ჩატკეპნილს, ჩაქვესკნელებულს, ნესტი და ობი შეჭამს.

რა გულით გინდა ატანა (ჯერ კიდევ ცოცხალს) ამის,
დალარული და მდულარე, ტვინი გამიკედეს ლამის.

რა ვეშას წყალი მიშველის, რომელი წიგნის თარო,
შეშლილმა, გავეშებულმა, სხვა რითი დავანყნარო?

საკმეველის მათრობს სურნელი, დილით,
ტაძარში შევლილს,
სანთლები, ცრემლის დათხევა,
ციმციმი საკურთხეველის...
ნაზარეველის ხათრია, გაჩენას რომ არ ვწყევლი.

ჩინო აბაშიძის დასაფლავება

მონყენილი გიყურებ,
წუთისოფლის რიგო...
აცრემლებულს, რა ვუთხრა —
ჩინოს მამას, გრიგოლს.

სახემზიან ძეს, მისას,
ყოფნა ექცა შხამად;
შვილი, უღვთოდ ნატანჯი,
გადაება მამას.

ჯობს მოხვიდე, ხარობდე —
ვერხვად ანდა იფნად...
სული მისი, რხეული,
ღმერთო, სად განიზნა?!

სახე, მხრები, დამდნარი,
მინას უნდა ანდოს...
პროცესია, მდუმარე,
ზამთრის მოსდევს ჭყანტობს.



პეკლუნი ყვავილს ჰგავს, რაღაც იმდაგვარს, „ჰაჯი მურატში“ რომ დახატა ტოლსტოი. ეს ყვავილი ზოგადად ყვავილთათვის არადახასიათებელ უცნაურ სევედას აღძრავს, თუნდაც თავისი ორბუნებოვნობის გამო. ერთი მხრივ, დაფარული ჯიუტი ფესვებით, უჩინრად რომ იჩნეს კლდის გამძლეობას და მეორე მხრივ, ხილული, გვირგვინოსანი თავით, სიოს ერთ წამოქროლებას რომ შეუძლია ბაბუნაწვერასავით განენოს და მიმოფანტოს მისი დაფურცვლილი ბუსუსები.

არადა, თვით ფილოსოფოსმაც კი არ უნდა ეძებოს ყვავილში აზრი. მისი აგებულების სირთულე (ვარდი) და სიმარტივე (გვირილა) არ უნდა დაამძიმოს გულჩახვეულობისა თუ გულგამპილობის მარტივი პარალელებით. უბრალოდ უნდა მიიღოს იგი. ყვავილი ლამაზია — მორჩა და გათავდა. მისი სუბსტანციის დაგემოვნება, სარგებლად ქცევა ფუტკრის საქმეა, მის უნიკალურ ფორმათა შესწავლაზე მხატვრებმა ივარჯიშონ. მაგრამ მთის ყვავილი „ჰაჯი მურატში“ უკვე იქცა თავისუფლებისმოყვარე კავკასიური ბუნების დაუმორჩილებელ სიმბოლოდ.

არასოდეს დამავინწყდება ზამთრის პირზე, შებინდების ჟამს, „მარშრუტით“ მიმავალმა ავტობუსის გაჩერებაზე როგორ დავინახე შალვა საბაშვილი. ფიქრებში ჩაძირული თავად ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. იდგა ასე ანურული, ოდნავ მოზუზული, ქარისაგან აშლილი თმითა და დიდი თვალებით, მკერდზე მიხუტებული განუყრელი პროფესორის ჩანთით, რომლის სიდრემშიც, დიდი ალბათობით, ახალი ლექსები ინახებოდა.

მის ლექსებში კი ისეთი სივრცეები და ჰორიზონტები ჩანს, სუნთქვაშეკრული რაღაცისათვის ემზადები, რაღაც ისეთისათვის, ასე ადვილად სახელს რომ ვერ დაარქმევ. ოღონდ გრძნობ, რომ ძვირფასი და გასაფრთხილებელია ეს რაღაცა, ასეთი რუდუნებით რომ აშენებ მთელი თავისი ცხოვრება პოეტი. ეს არც ქოხია და არც სასახლე, იოლად რომ მიეახლო და ხელით შეეხო. ეს არც ქვით, არც ხით, არც ლურსმნით, ნებოთი ანდა კირით არ დულაბდება, არ ერთდება, არ შენდება. ეს ერთი შეხედვით შეუვალი, აბსტრაქტული, მოუხელთებელი სახლია სულისა. სახლი, რომელიც გამუდმებით უნდა წვრთნა და აშენო, რათა მის მარადიულ ბინადრებად რწმენა, იმედი და სიყვარული აქციო. თუ ამ შენებით განუწყვეტილად არა ხარ დაკავებული, ეშმაკმა უწყის, მცონარების დემონები მის ჭუჭყურტანებში, სარკმლებში, ნაპრალებში რამდენ მრუმე, ბოროტ და მერყევე აზრს შემოაცურებენ.

იდგა პოეტი ზამთრისპირა ტყვიისფერ ცის ქვეშ გაჩერებაზე შეკრებილი ადამიანების გვერდით, სიღარიბით დაღლილ, მოლოდინით განანამებ თანამემამულეებთან ერთად. იდგა, როგორც პოეტური ერთგულება საკუთარი სამშობლოს უიღბლობის, როგორც „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ მხარეზე“ შეყვარებული, რომლის ბედსა თუ უბედობაზე დასაბამიდან ყველა ნამდვილი პოეტი მღეროდა თუ ტიროდა საქართველოში.

ვიჯექი საცობში მოხვედრილი ყვითელი სამარშრუტო ტაქსის ოთხმოცდაერთ ნომერში. ჩემს თვალწინ ჭაობის სიმდოვრით ფაფხურობდა ყვითელი ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების ალყაში მოქცეული სუპერთანამედროვე, ძვირადღირებული „ჯიპებისა“ თუ მსოფლიოს გზებზე ნათრევი იაფად შექმნილი მანქანების შემადრწუნებელი „ჯოჯი“.

თვალს კი არ ვაპარებდი, გაეხედავდი ხოლმე — მიწოდდა, დავენახე. უფრო ზუსტად, ღრმა ფიქრებიდან ამორთული მისი სახის ნაკეთების შეცვლა მაინტერესებდა — ჩემს დანახვისას. გაუხარდებოდა, ეს-იამოვნებოდა, თუ რაღაც მოუხერხებლო ღიმილით მომესალმებოდა...

სივრცე არ ჩანდა ორი მეფის — თამარისა და დავითის გამზირთა გზაჯვარედინზე. იდგნენ ჯვარცმული, ქვეითად მოსიარულე თბილისელები. ხალხთან ერთად იდგა ფიზიკა-მათემატიკისა და ასტრონომიის ბრწყინვალე მცოდნე მეცნიერი და პოეტი. მისი დაღლილი სხეულიც, რა თქმა უნდა, დასვენებას და სახლში დროზე მისვლას ნატრობდა. თუმცა მჯეროდა, რომ ნებისმიერ განსაცდელს სხვებზე მეტად უძლებდა. რადგან მას მეორე, მეორე კი არა და უპირატესი სახლი გააჩნდა. სახლი, რომლის ნიაღშიც მეფედაც

გრძნობდა თავს და გლახაკადაც, რადგან მხოლოდ სულის სახლში შეიძლებოდა შეფერება ნებისმიერი იერარქიული მდგომარეობისა ისე, რომ არც ხელმწიფობა გაგკვირებოდა და არც გლახაკობა გეთაკილა.

მანქანებისა რა მოგახსენოთ, ურბანიზმი არაა მისი სტიქია. მის ლექსებში ღრუბელთა ფარებია. უცნაურია შალვა საბაშვილის ცა. იგი ისევე ხატავს ზეცას, ისეთივე ახლობელია მისთვის, როგორც ეს მშობლიური მიწა. იქნებ უფრო მეტადაც ახლობელი...

ამ მორიდებული, ჩუმი კაცის ლექსებში იმდენად მშფოთვარე სულია და ისეთი გულწრფელი გაცემა სამყაროს ღვთაებრივი ნესრივით, რომ თითქოს ეს განაპირობებს მისი ხმადაბალი საუბრის მოკრძალებულ კილოს.

იმედისა და ხელმოცარვის გამუდმებული მონაცვლეობაა პოეტის ცხოვრება. შალვა საბაშვილს ამაზე ერთი არაჩვეულებრივი ლექსიცა აქვს დანერვილი გრაფიკული სათაურით — „დილა და საღამო“ — ბედის მარადიულ გამოცნობლობაზე საუბარი ამ ლექსში. აქ ადამიანი

მაკა ჯოხაძე

პირიელისონ — კრიალოსანი

არ არის თავისი ბედის მჭედელი, იგი მეოცნებე და დამკვირვებელია. მეოცნებე ანალიტიკოსია, თუ შეიძლება ასე ითქვას... ეს უცნაური შეჯვარებაა ადამიანური ბუნების. როცა სასტიკი რეალობის განუწყვეტელ სრბოლაში არ კარგავ ოცნების იმედს. ეს რიტმი, ღვთიური რიტმია ადამიანში, რომელიც ათასგზისი ხელმოცარვის, მარცხისა თუ განბილების მიუხედავად მაინც აჩენს სიცოცხლის წყურვილს, მიზნის მისაღწევ ნებელობას... აქ არსადაა მარცხით მოგვირევი გახევება, გაშეშება. აქ ყველაფერი მოძრაობს, მიედინება, ვითარდება, კვდება და თავიდან იბადება.

ესაა სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტა, აღიარება და თვით უაღრესად პესიმისტური განწყობილებების ტყვეობაში ყოფნის ჟამსაც კი, უმოძრაობის, უმოქმედობის მოვალეობის გრძნობით ამოქმედება: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შეილნი სოფლისა...“

*თუმც ყველაფერი
მოიქსოვა წესრიგისაგან,
მაინც მშფოთვარ სულს
კვლავაც ბევრი რამ გადახდება,
დილა ხალხისთ
მრავალ დიად მიზანს გისახავს,
საღამო — გვამცნობს,
რომ ვერ შესძელ მათი ახდენა.
და ვერ გაუგებ ოდეს ჩათქმულ გზებსა
და ვადებს,
საოცარ ნუხილს უშენს შენს ბედს
ცა მიუკვლევო,
ყოველი დილა
აურაცხელ ოცნებებს ბადებს,
ხოლო საღამო —*

*აცამტვერებს ყველას უკლებლივ.
„არსებობს ვილაც“ — ასე ჰქვია შალვა საბაშვილის ერთ ლექსს და, მე ვფიქრობ, რომ ეს „ვილაც“ არა მხოლოდ ამ ლექსის, არამედ ზოგადად მისი პოეზიის მფარველი ანგელოზია. ჩვენ ვხედავთ ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტი ქრონოლოგიური თვალმიდევნებით თანდათან, მუდმივი ძიებების, კვლევისა და მწველი გარჯის შედეგად, როგორ უფასდება პრობლემა, რამდენი დახურული კარი იღება მის წინაშე. ოღონდ ცნობის ნადილი არასოდეს გადადის ზღვარს. ამ ზღვარს თითქოს ტანით, სხეულით გრძნობს, თითქოს უფრთხილდება სამყაროს იდუმალებას. მისი, როგორც პოეტისა და, როგორც ადამიანის საოცრად არაეგოისტური ბუნებისათვის სრულიად საკმარისია სამყაროს ის ღვთიური გამოვლინებები, რომელშიც ადამიანი ყოველდღიურად ცხოვრობს. უბრალოდ, ისეა ჩაფლული ყოფიერების ამოა ფუსფუსში, რომ დაკარგული აქვს დაკვირვებისა და აღმოჩენის ნიჭი:*

*არსებობს ვილაც —
უსაზღვრობის მზერით მშოსველი,
დიდი საჭისთვის მძღავრი ხელი
მას წაუვლია
და რაც კი სუფევს,
ერთ მაგიურ წრეში იტაცებს:
სასწაულია! უეჭველად სასწაულია!
ამ სასწაულს დანახვა უნდა. ამიტომაც
საოცარია პოეტის ხედვის მივი, რომელ-*

შიც პისაროსა თუ დავით კაკაბაძის ფერდობებზე მიხატული ხეხილისა თუ ბოსტანის უჯრედულა კვლები მარცვლებადაა ასხმული, ძვირფასი თვლებივით ანათებენ — მინდვრები, ტბები, მდინარეები, მთები, ხეები, ჭალაკები...

*დამცავ ზოლს
შეფრვით აჰკვრია მგოსანი,
მარცვალთ მომკრეფელი მაქვს
კრიალოსანი...*

როცა ხილულით ასეთი აღტაცება შეგიძლია, როცა ასე გესმის ბუნების ყოველგვარი ჩქამი და კრთომა, როცა წრფელი და უანგაროა შენი აღტაცება ღმერთის მიერ ჩვენთვის გადაშლილი „უთვალავი ფერით“, მაშინ შენი განცდები, ემოციები, აღტაცება თუ განცვიფრება შენივე აღმაფრენის ექოებად უკანვე გიბრუნდება, შენივე შთაგონების წყარო ხდება, მშვენიერების ათასნაირ გამოვლინებას ასობგერებით აკრისტალბენ, სიტყვათა ჯადოსნური კარკასებით გარშემოწერენ. წარმოსახვიდან ამოტყორცნილი სხვადასხვა ფერის, ზომის, გემოს მატარებელი კრიალოსანივით მიჯრით, საოცარი სიმეტრიითა და სიმსუბუქით გაჯილდოვე-



ბენ და იქმნება ნამდვილი ლექსთწყობა, ლექსი, როგორც შალვა საბაშვილის კრიალოსანი (კრიალოსანი, კირიელიელისონ — უფალო შეგვიწყალენ).

შალვას ლექსთა უმეტესობა საიდუმლოს მატარებელია, რომელიც უნდა ამოხსნა, გაშიფრო, გაიგო; უნდა აღმოაჩინო, ამოიცნო — ვისზეა, რაზეა მასში საუბარი. მშვენიერების ცახცახებს გარსი, ტყდება, ირხევა ზღვა მოლიცილიცე, — მშვენიერების ცახცახებს გარსი, სამაგიეროდ — გარსი აქვს მტკიცე. მისი მარადი გულის თუ ბირთვის მცირე შეცვლაც კი ვერავინ ნახოს, თუნდ მილიარდი დაატყდეს ზვირთი, თუნდ ვეებერთელა კლდე შეეჯახოს... ეს ამოხსნა, გაგება მკითხველის რწმენისა და ფანტაზიის, წარმოსახვის თუ იმ კითხვაზე პასუხის გაცემა სულაც არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება აღმოაჩინო...

„ანგელოსს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ — კითხულობ და, მიუხედავად იმისა, რომ გჯერა, ერთადერთმა გალაკტიონმა ჩაიხედა პერგამენტში, შენ, როგორც მკითხველს, გტანჯავს წყურვილი იმისი ცოდნის, თუ რა ენერა ამ პერგამენტზე. შალვა საბაშვილის ლექსებში არსებულმა მსგავსმა საიდუმლომ, მოუხელთებელმა სივრცეებმა, დაუკონკრეტებელმა ადგილებმა თუ პეიზაჟებმა კიდევ უფრო გაამკვეთრა იმის შეგრძნება, რომ ეს ნამდვილი, მაღალი პოეზიის ვრცელი ჰორიზონტებია. ისინი თავისი განათებით, ამომავალი თუ ჩამავალი მზის ფერადონებით, რიჟარაჟის სუსხითა თუ ჟრუანტელთა, თქემითა თუ ბურუსებით თავს გვესხმიან და ჩვენთან ათასნაირი შეფერილობისა თუ ხარისხის მქონე განცდას, ემოციას, ფიქრს აღძრავენ, მაგრამ საკუთრივ ჩვენი, როგორც ადამიანის სულიერების ხარისხი, ასევე არანაკლები ფერითა და ძალით აღავსებს გარემოს, შთაგონებს და ასულიერებს მას. ასე რომ, ეს ორმხრივი სიყვარულია:

*სული სამყაროს მინდვრებიდან
ბევრ ფერს შეიძენს,
მაგრამ მრავალჯერ მეტ ფერს
ის მათ შემატებს თვითონ.*

ეს სულიწმინდის აღიარებაა. მხოლოდ მორწმუნე ადამიანს შეუძლია, ასე დაბეჯითებით თქვას ეს სიტყვები.

არაჩვეულებრივი ტექნიკა აქვს შალვა საბაშვილს. როგორც თვეზი წყალში, ისე დაცურავს რიტმის, რითმების საუფლოში. ზოგჯერ გიჩნდება განცდა, რომ თამაშობს ისე ლაღად და ბუნებრივად, ისე ერთობა და ისეთი სიამოვნებით, როგორც კენჭებზე გადავლილი მოჩუხჩუხე წყაროები, როგორც მნათობის შუქ-ჩრდილები, როგორც კამარაშეკრული მერცხლების შურდულივით მოულოდნელი დაშვებები თუ ზეაჭრები...

ეს ოსტატობაა, რომელსაც წინ უძღოდა შეგივრდობის ჟამს ადამიანის ჯიუტი რწმენა, რომ სრულყოფილ ფრენას საკუთარი ფრთებით მალე მიაღწევდა. მიაღწია კიდევ. ქრონოლოგიურად დალაგებული ამ ლექსებისათვის თვალმიდევნებაც საკმარისია იმის დასანახად, თუ თანდათანობით კარგი ლექსები როგორ იქცა ნამდვილ პოეზიად. კიდევ ერთი ნიშანდობლივი თვისება ამ შემოქმედის. რაც არ უნდა უშთაგონებოდ იყოს შალვას ლექსი დანერვილი, მხოლოდ მათემატიკური სიზუსტით გათვლილი და გეომეტრიულად უზადო ფიგურებითა თუ წრენიებით (წრეებრივებით) შესრულებული, იმდენად ძლიერი ტექნიკა აქვს, რომ გონებას უფასდება ეს „პოეტური პრაგმატიზმი“, მაინც მოაქვს მკითხველამდე სიტყვით ერთგვარი ტკობა. ეს თამაშით გაჩენილი ტკობაა, ოსტატობით მიღწეული სიამოვნება და არა, ვთქვათ, ლექსში ჩაძირული თითოეული სიტყვის დვრიტა, არსი, რომელთა ფონეტიკური ჟღერადობითაც იქსოვება აზრის მუსიკალური გამოსხივება. აზრისა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, პოეზიის ლოგიკას უფრო ემორჩილება, ვიდრე ადამიანურ გონებას, განსჯას.

საბედნიეროდ, ასეთია ამ ლექსთა უმრავლესობა.

შალვა საბაშვილის ექსპერიმენტებზე, როცა ზოგიერთი ლექსიდან სწორედ ამგვარი „ექსპლუატაციითაა“ გამოწერილი რიგი ესთეტიკური განწყობილებებისა, მახსენდება ბნელ ოთახში მომუშავე პიკასო, ტექნიკის დასახვეწად სწორედ ამგვარად რომ ირჯებოდა... იგი სრულ სიბნელეში ხატავდა, რადგან უნდოდა მიეღწია ოსტატობის იმ ხარისხამდე, როდესაც გაუჭირდებოდა ეთქვა, რა ხატავდა — ხელი, თვალი თუ გონება.

და მაინც სიტყვის მაგია, სიტყვის ძალა პოეტისათვის უმთავრესია.

*ჩნდება სიტყვათ სინოდი
აზრის ასაყვავებლად.*

ასე რომ, აზრები შალვა საბაშვილისათვის მთელი სამყაროა თავისი სეზონებით, აყვავებული რტოებით, მსხმოიარე ნაყოფით, შეთვალული და სიმწიფეში გადასული. თითქოს სიტყვათ ხელოვნება ბუნების ციკლს იმერუნებს, სიტყვებით ყვავილობს, მნიფობის ხანას განიცდის და მონეულ ჭირნახულს ელოლიავება.

*„გასრულდა ესე ამბავი,
ვითა სიზმარი ღამისა...“*

*„ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,*

ჩიტვივით გაგვიფრინდება...“

შალვა საბაშვილი იგივეს ამბობს სრულიად სხვა ფორმითა და ინტონაციით. საერთოდ, მისი, როგორც შემოქმედის, ფორმაქმნადობა, კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ არ არსებობს ზღვარი, რომ ფორმა უსასრულოდ შეიძლება ცვალო, აწვალო, ძერწო, როგორც მოქანდაკემ თიხა.

*მთავარს არავინ შეხებია,
თასები ისე გამოცალეს,
ხოლო საგნები მხევევიან
და უფრო ჰგვანან გამოცანებს.
ყოფა შუქია დანაფენი,
სხლტება სარკმლითაც, კარებითაც,
არ გადარჩება არაფერი*

შეფასებათა სკალებიდან!
სიზმარ-ცხადის მიღმა არსებული რაღაც სხვა ნაპირი თუ განზომილება არაერთი დიდი ხელოვანის ძიების საგნად ქცეულა. ქართულ სინამდვილეში ამ ძიების გამთანგველი წყურვილითაა აღსავსე გალაკტიონისა თუ გრანელის მუდმივი „კვლევა“, გაუხელბელი ლტოლვა მხოლოდ

„სხვა“ ნაპირზე არსებული სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად. ამ განზომილებაში შექრის, მასში შეღწევის თუნდაც მცდელობის დაფიქსირებაც კი, ჩემი აზრით, უკვე შემოქმედებითი გამბედაობაა. და ამაში აშკარად დაგარწმუნებთ შალვა საბაშვილის ეს სტრიქონები:

და სული თუმცაღა
 ნეტარად მიწებდა ჟამს,
 ავიღოს უთვალავ წამიერ ქმნილებით,
 ვერცერთი ნაპირი
 ვერ მაგრძობინებდა იმას,
 რაც მწყუროდა,
 სრულ ძალმობილებით.
 მახსოვს კი: თავს მადგა
 ვარსკვლავთა ხომლი და
 ნავი მისცემოდა ნებიერ ბორიასს,
 და ვიყავ იმნაირ მხარეში, რომლიდან
 ცხადიც და სიზმარიც

თანაბრად შორია.
 ლექსში „**აცდენა დედასთან**“ ჩანს, როდენ მძაფრი განცდები გამოიწვია პოეტში დედასთან განშორებამ. ასეთი გადაძვლები სევდა ყოველგვარი კონკრეტული გამოვლინებებისა და პერსონიფიკირების გარეშე, იშვიათად მინახავს. სევდა, როგორც ნისლი, როგორც ბურუსი ფულინის ფილმებში.

ჟამი სევდის მთოველ წამებს
 მოასწავიდა,
 მე დედასთან მოველ, იგი —
 შორეთს წავიდა.

არ უშველის კემსვა,
 მყარს ვერ შექმნის ზმანება,
 დიდხანს, დიდხანს გვეწყვსა,
 ბოლოს ჟამს მიგვანება.

თვალს თითქოსდა
 ცივი სამყარო გადაუხსნეს,
 შეერჩება ტივი რალაც უცხოდა აუხსნელს.
 მისი ლექსების საერთო მახასიათებელი: ერთგვარი უწინადაობა, თითქოს სიმყარე აკლიათ, როგორც იტყვიან, ფეხქვეშ ნიადაგი არ იგრძნობა. უფრო ცის პოეტია, სივრცეების, ჟამის, ჰორიზონტების, გალაქტიკის, ვარსკვლავების, ტყეების, ტბების... ვიდრე ხმელეთის, ვიდრე მიწის. უფრო სამყაროს პოეტია, ვიდრე ქვეყნის, მხარის, კუთხის.

„მინა ხარ და მინადვე იქცევი“, თითქოს პოეტი არ ეხება, მისი ლირიკული გმირი (ან იქნებ ალტერ-ეგო) თითქოს სხეულისგან, ძვალხორცისაგან კი არაა ნაშენები, არამედ სხივებისაგან მოქსოვილი, ქარებისა და წვიმებისაგან დამაშრული. ეს პოეზია უსხეულოა და მინც ასე გულშირამწვდომი. უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მას არ ახასიათებს კონკრეტული — იქნება ეს ადამიანი, გეოგრაფიული ადგილი, ისტორიული ამბები. მისი პოეზია აბსოლუტურად უსიუფეტოა. იგი რომ პროზა ნერდეს, ეს იქნებოდა ცნობიერების ნაკადით სვლა. და მანაც ლექსი — **შეღამება შავ ზღვაზე** — მოულოდნელი გამოჩენა შალვა საბაშვილის პოეტურ გალაქტიკაში. სამყაროს უსასრულობაში ჩაძირულმა თითქოს ოკეანის სიღრმიდან ამოყვინთა სამშობლოს განცდამ, „გასაკვირველმა“. ლექსი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანია, როცა ხდება დაკონკრეტება. მასში ჩუმი განგაშით ფეთქავს ფრთხილად გამხეილი შეკითხვები — როგორი იქნება კოლხეთის მომავალი, ან იქნება კი საერთოდ, როგორ ამოვა მზე, ან ამოვა კი საერთოდ...

მჭვირვალი გახდა ახლა წყალი,
 ჰგავს ფსკერი რიყეს,
 ხოლო სიღრმიდან
 ისევ ჩუმი სიბნელე გიყევს.
 დაკარგული, წართქეული,
 ჩაძირული დიოსკურია გახსენდება...
 ლექსი „**მიმწრაფი ცისკენ**“ საოცარია არა მხოლოდ ექოების გადაძახილით, რეფრენებით, არამედ იმითაც, რომ შეკითხვები, რომლებიც თავის თავში დიდ საიდუმლოს დაატარებენ, ხმოვანდება, როგორც ჩვენი უმთავრესი ცოდვების ანარეკლი:
 მინას რად ახურავს
 უცხო გვირგვინი ცის —
 ვინ იცის! ვინ იცის! ვინ იცის! ვინ იცის!
 თვით ცაც რას ნატრობს,
 სხვა ნაყმებად მისაქსოვს —
 ვის ახსოვს! ვის ახსოვს! ვის ახსოვს!
 ვის ახსოვს!
 ბევრჯერ უეცარი სით
 მოგვევლინა ხსნა —
 ვინ ახსნა? ვინ ახსნა? ვინ ახსნა?
 ვინ ახსნა?

ან თავსხმა რად ერჩის
 ვენახებს მისეტყვილს —
 ვის ეტყვის? ვის ეტყვის? ვის ეტყვის?
 ო, მწრაფი ცისკენ, ძირს დაუნუნარი —
 ვინ არი? ვინ არი? ვინ არი? ვინ არი?
 „**მზის ყოველ ჩასვლის წამს**“ ეძღვნება ლექსი, რომლის ინფორმაციულობაც შეგზარავს თავისი გრანდიოზულობითა და სისადავით, სიმრავლით, სისრულით, სიმრგვალით, უზადო წრიულობით, სრულყოფილებით, თითქოს რალაც წამში შენს თვალწინ ღმერთის ხელისგულზე დადებული ზღაპრისა და ქვეყნისა დედამიწამ ჩამოიარა და ისე დაგანახა მისი სფერული სიმყიფე და სიმსუბუქე უსასრულო გალაქტიკებში. ერთად შეკრებილი ფირუზისფერ-ზურმუხტოვანი ტბები, ზღვები, ოკეანეები, მთები როგორ შეაცურა სისხლმდენი ჰორიზონტის მენამულ სხივებში, როგორ გადაანთლა, ჩამაშვიდა, როგორ წაართვა მწველზე მწველი გამოსხივება. როგორ აქცია „მკედრის მზედ“ და ჩვენსკენ ზურმუხტეული პოეზიის მეფის ჩუმი, ნეტარი ამოხვრა გაგვაგონა. ეს ალტაცება სრულად, სრულყოფილად მზეს ეკუთვნოდა, მხოლოდ მას, „ჩამავალ მზეს, ჩამავალს“.

უიშვიათესად, მაგრამ მინც ერთგვარი პუბლიცისტური თუ გრაფიკული სიმკვეთრით იხატება, ჩვენი, როგორც ცივილიზაციის სულიერ-ზნეობრივი კარდიოგრამა, შალვა საბაშვილის ლექსებში... დიდი სიმართლით, ცოდნით, ერთგვარი სიმკაცრითაა დაწერილი ლექსი „**დედამიწელებს**“, რომელიც ამხელს კაცის დამანგრეველ ბუნებას, სულმდაბლობას... ესაა მწარე საყვედური იმის გამო, რომ სული ბურუსშია ჩანთქმული, სული, რომელიც ყველაზე გამჭვირვალე უნდა ჰქონდეს ადამიანს. ფიქრი შეიძლება იყოს ბურუსით მოცული, მრუმე, ბუნდოვანი, განცდაც, ემოციაც, მაგრამ სული, სული მთის ბროლივით გამჭვირვალე უნდა იყოს. „სული გვექმდეს უსპეტაკეს თოვლისა...“ აი, ამას მოითხოვს დღევანდელი პოეტიც. ამას ითხოვს ზოგადად პოეზია.

შალვა საბაშვილის პოეზია თითქოს უსხეულოა, დაუმიწებელია. სული, რომელიც დამძიმდა მიწიერებით, წუხს და ცხოვავს. მისი ხედვა, ინტერესი მუდამ ცისაკენ მიიწევს. იგი მუდამ სივრცეს გაჰყურებს, ჰორიზონტის შეფერილობას ადევნებს თვალს. ღამეც მისია, ვარსკვლავებით მოჭედილი ციხა და მთვარით. დიდი ოსტატობით უფსკრულზე გაულაა საჭირო, რომ პოეზიის ეს „ბანალური“, უძველესი ატრიბუტები, ეს არქაული ჰოზა ცისაკენ მაცქერალი კაცისა და მისი შეგრძნებები მოსაწყენ აბსტრაქციად არ იქცეს.

შალვა საბაშვილი, როგორც უკვე ვთქვით, ვირტუოზულად ფლობს ლექსის წერის ტექნიკას და შეუძლია, ყველაფერზე წეროს, ყველაფერში რითმის ათინათი მოიხელთოს, რიტმით გახსნას, დაადგინოს ლექსის მაჯისცემა. მაგრამ მას, როგორც ხელოვანს, ფრაგმენტებზე მეტად, დეკლარებზე უფრო სამყარო მთლიანობაში აინტერესებს და არა მის წვრილმან გამოვლინებებში.

რიყრას გამოძერწავ
 ყველა დაისიდან.
 ეს მისი პათოსია. ეს მისი ძალა და მიზანია. ასეა მისი ბუნება მონყობილი. თუკი საჭიროა ამ ლექსებში ოპტიმიზმის ძიება, მთელი მისი შემოქმედების საწყისი და სასრული სწორედ ამ სტრიქონებში მჟღავნდება... ისე კი შალვა საბაშვილის პოეზია არ ემორჩილება ისეთ ოპოზიციურ დაწყვილებებს, როგორცაა ოპტიმიზმი და პესიმიზმი, ბოროტი და კეთილი, თეთრი და შავი. იგი ისევე ძერწავს სულის რიყრას, როგორც მოქანდაკე თიხის ფიგურებს...

მისი ფერწერა მონუმენტურია, სივრცე უნაპირო, დრო მარადმდენი ე.ი. მარადიული, თავისი მარადიული შეცდომებზე. ზოგჯერ ისეთი განცდაც ჩნდება, რომ ეს-ესაა უნდა ჩამოდგეს ცოდვით გაჩენილი დიდი და საშიში სიცარიელე.
 დაილალა ბალახი და
 ფარა მისი მოველი,
 დაილალა არაფერი, დაილალა ყოველი,
 დაილალენ ატომები,
 დაილალენ ცნებანი,

 თუმც არც ბრძოლა მოუვიათ,
 არც დაიდო ზავები,

დაილალენ,
 აღარ შესწევთ ძალა მამოდრავები.
 სამყაროს ტოტალური დაღლილობით შემფოთებული პოეტი წერს ურთიერთობებზე, ურთიერთ განუყოფლობაზე, როცა ყველას და ყველაფერს სამყაროში, ყველა სილამაზეს, ხმას, აზრს, ინტონაციას, აღმქმელის გარეშე ფასი ეკარგება. ისეთი შეგრძნებაა, რომ სამყარო თანდათან კარგავს დამნახავ თვალს, გამგონეს, მოჯადოებულს, მონუსხულს, მადლიერებით მთრთოლვარე ადამიანს. აი, ეს საფრთხე დაკარგული ერთობის, დაკარგული ინტიმის სახით ასე გლობალურად განზოგადდება არაჩვეულებრივ ლექსში, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება:
 ჩემი ყველა გაოცება

თვითონ მოვიტარეშე,
 ერთი არსი არას ნიშნავს სხვის —
 მეორის გარეშე.
 ცოდვით შეკუმშული დროის სწრაფმავალ დინებაზე მუდმივად ერთი წმინდა მამის წინასწარმეტყველება ჩამესმის —
 დღე იქნება როგორც საათი, კვირა როგორც დღე, თვე როგორც კვირა და წელიწადი როგორც თვე. რამეთუ კაცის მზაკერობის გამო მოხდება ისე, რომ სტიქიონებიც კი დაიძაბება და დაიჭიმებაო...

ალბათ, ამიტომაცაა XXI საუკუნის პოეტურ ტექსტში „ჟამის მშვიდ ყურეში შემთხვევით მოხვედრილ პოეტებს“ (შალვა საბაშვილი) წააწყდები თუ არა, წმინდაებით სავსე ხომალდი გაგახსენდება, ბობოქარი ზღვის ტალღებს რომ მიაპოზს.
 ზღვა — ცხოვრების მარადიული სიმბოლო.

ხომალდი კი რწმენას განასახიერებს, რომლის გარეშეც ყოველგვარი დაცულობა ეფემერაა, ისეთივე ილუზია, როგორც სინათლის სიჩქარეს ადევნებული გონების იმპულსური გამონათება, გულუბრყვილო ამბიციურობით რომ მოიხელთებს დროისა და სივრცის ფრაგმენტებს და დარწმუნებულია, რომ ამაოებზე გაიმარჯვავს.

შალვა საბაშვილის პოეტურ ხილვებში ვერსად წააწყდებით მსგავს უხერხულ პათოსს. ეს შეგრძნება როგორღაც ძალიან ბუნებრივად, უშუალოდ და დამაჯერებლად გადმოდის მკითხველში. ყოფიერთობის „ამაო ფუსფუსს“ განრიდებული, სივრცისა და დროის, ქარებისა და შუქ-ჩრდილების მუდმივი მიმოქცევის ერთგული დარაჯია პოეტი. თითქოს იმიტომ მოვიდა ქვეყნად, რომ მეცნიერული თვალთა და ანალიტიკური გონებით აღნუსხოს სამყაროს თუნდაც ამგვარი საოცრებანი: **„თვალის სულ ერთი დახამხამებით გადაიქროლებს მილიონი თაობის ეტლი და ისე მჭიდროდ დალაგება მოვლენათ წყება, რომ შეიძლება ბავშვის ცრემლის ერთი კურცხალი სიცოცხლის ბოლოს, მის საუკუნო განსასვენებელს თრთოლით დაეცეს“**.

ცრემლის მეტაფორა, ბროლის გამჭვირვალე ყვავილივით რომ მიემსხვრევა საფლავის ქვას, გულის პოეტური მონაპოვარია. მსგავსი ხატები ძუნწად, მაგრამ უაღრესად შთამბეჭდავად გაკრთება ხოლმე შალვა საბაშვილის მიერ დანახულ კოსმოსში, საცა უელი ვარსკვლავითი ანათებს თითოეული ჩვენგანის მარტოობა:
 ის მარტო ზიდავს საკუთარ წარსულს,
 თვითონ განაგებს თავის
 უსაზღვრო მეხსიერებას,
 არცერთი ცოდვა,
 რაც ოდესმე ჩაუდენია,
 არ შეუძლია, გაახსვისოს
 თუნდ ერთი წამით.

ეს არაა მხოლოდ დაკვირვება, ეს მსოფლალქმაა, პოეტის მრწამსი და მისი შეხედვით — ზოგად, უსაზღვრო სამყაროში, სიამოვნებით ეგებები კონკრეტული სახელდებით გაჩენილი იდილიის ხიბლს, — იქნება ეს მეექვსე სართულის აივნიდან შუალამისად დანახული მოქვიფების მთვრალი ბარბაცი თუ ხეების ხობტა, რომელთა განეტყვიაც, ჩვენი არ იყოს, კონკრეტული გემოს, ფერის, სურნელის, კონკრეტული ზომისა და თვისებების ნაყოფებს ისხამს.

ეს უცნაური „ხილთა ქება“ და სამყაროთი მუდმივი გაოცება იმის გარანტი, რომ ლექსის წერის სურვილი არასოდეს მიატოვებს პოეტს. ისევე როგორც ასორმოცდამეორე ფსალმუნი რომ მოვიძველიოთ, პირადად ჩემთვის, წარმოუდგენელია — შალვა საბაშვილის კეთილ სულს შალვა საბაშვილთან ყოფნა მიეწყინოს.

მარინე ტურავა დაკარგული სატახტო...

დასასრული
 მიცვალებულს დაკრებული ფეხსაცმელი სცმია... არადა ნღების მანძილზე მატერი-ალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, სისტემატურად უგზავნიდა ფულს ქართველ სტუდენტებს რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს. სიკვდილის წინ კი მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა.

იაკობ გოგებაშვილმა ასკეტურად იცხოვრა, ზნეობისა და ასკეზის, სამშობლოს მსახურების შერწყმა ქმნის მის პიროვნებას. დაძლეული ვერცხლისა თუ გემოთმოყვარეობა, თავმოყვარეობა პატივმოყვარეობის ნაცვლად, მუდმივი მსახურება — სამშობლოსი და ადამიანისა იაკობ გოგებაშვილს წმინდანის თვისებებს სძენს... ქართული ცნობიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, მართლაც, გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მთაწმინდელის შრომას ენევა მიცხრამეტე საუკუნეში და ვალ-მოხდელი მისი იმქვეყნად... ეს პორტრეტი პიესაში უმთავრესად მსხვილი და ფართო ხედების, პირადისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მონაცვლეობით იქმნება. თუმცა იაკობივით ქურუმებს ნაკლებად აქვთ რამე პირადული, ყველაფერს საზოგადოებრივ ინტერესებს, სამშობლოს სწირავენ.

მხოლოდ მოქმედება არ არის საკმარისი დრამატული ნაწარმოების შესაქმნელად. როგორც ხელოვნების ნებისმიერ დარგში, დრამატურგიის მთავარი ობიექტიც არის ადამიანი, თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი შინაგანი სამყაროთი. პერსონაჟის ხასიათთა ერთობლიობა ქმნის სიუჟეტს, მოქმედებას. ადრეული გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ნარმომადგენლის ნოვალისის სიტყვებით — „ხასიათი არის ბედისწერა“. ერთი და იგივე დრამა შესაძლოა სხვადასხვა რეჟისორმა განსხვავებულად დადგას, პერსონაჟის ხასიათიც საკუთარი შეხედულების შესაბამისად წარმოვიდგინოს. დეზდემონა შეიძლება იყოს ნაზი და თავნება, ფაქიზი და კაპრიზული ასული, მაგრამ შეიძლება იყოს ძლიერი ქალი, რომელიც უპირისპირდება მთელ სამყაროს, საკუთარ მამასაც კი, მავრისადმი თავისი სიყვარულის დასაცავად (ასეთი იყო მარინა ჯანაშიას დეზდემონა, თემურ ჩხეიძის სპექტაკლში, რომელიც კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა). ბუნებრივია, ბევრი რამ არის დამოკიდებული რეჟისორისა და მსახიობის მიერ შექმნილ სახეზე. თუმცა რეჟისურაც და მსახიობის ოსტატობაც გარკვეულწილად გამოყენებითი ხელოვნებაა, რომელიც საკუთარ კონსტრუქციებს მყარ დრამატურგიულ საფუძველზე აშენებს. დრამატული ხასიათი ტიპურისა და ინდივიდუალურის შერწყმით იქმნება, ასეა როსტომ ჩხეიძის იაკობ გოგებაშვილის შემთხვევაშიც: მისი ბრძოლა, მიზანსწრაფულობა ჰგავს სამოციანელთა ბრძოლას, მაგრამ გამოკვეთილი პიროვნული თვისებები სხვებისგანაც გამოარჩევს და მოქმედების განვითარებასაც უწყობს ხელს და კონფლიქტის მომწიფებასაც.

პიესის ავტორმა თავისი საქმე გააკეთა, სწორედაც რომ მყარი დრამატურგიული საფუძველი შექმნა. ახლა მთავარია მოიძებნოს ეროვნული ცნობიერების მქონე რეჟისორი, რომელიც ამ პიესას სცენაზე გააცოცხლებს და ჩვენ დიდ წინაპრებს ახალ სიცოცხლეს შესძენს XXI საუკუნის ქართულ სცენაზე.
 ცნობილი შეედი თეატრალური და კინორეჟისორი ინგმარ ბერგმანი ამბობს, თეატრი თემა და მსახიობიაო. ქართული ცნობიერებაც და სახელმწიფოც ისევე საფრთხეშია, ამიტომ თემა მარადიულად აქტუალური და მტკივნეულია.
 ახლა მთავარია მოიძებნოს ქართული ცნობიერების მქონე არაერთი მსახიობიც...
 თენგიზ არჩვაძის ილია მართლაც შეუდარებელი იყო...

ვარლამ შალამოვი (1907-1982) ჩვიდმეტი წელიწადი გაატარა „არქიპელაგ გულაგის“ ყველაზე უღმრთეს კუნძულზე, კოლიმის ნახევარკუნძული რომ ჰქვია და სადაც, ერთი რუსული შაირის თანახმად, „თორმეტი თვე ზამთარია, დანარჩენი — ზაფხული“.

მწერალმა თავისი ცხოვრების მწარე გამოცდილება და კოლიმურ-ჯოჯობითური შთაბეჭდილებანი აქცია დიდ ლიტერატურად. ცხოვრებისეული დრამები თამაშდება იქ, სადაც ყველაფერი უკიდურესობამდე არის მიხული და ხასიათები თუ იდეები რელიეფურად გამოკვეთილია. ექსტრემალურ ვითარებაში ყველაფერი უფრო იოლად მელაგნდება, ყველაფერი უფრო გამჭვირვალეა. ლაგერი წააგავს ლაკმუსის ქალაქს ანდა რენტგენის აპარატს.

თავად შალამოვი ასე ამბობდა: „მე იმდენადვე ვწერ ლაგერზე, რამდენადც ევზიუბერი — ცაზე და მელვილი — ზღვაზე“.

და განა შეიძლება ვუწოდოთ პირველს — მემატინე საპაერო ფლოტისა და მეორეს — საზღვაო ფლოტისა? ასეთივე გაუბრალოება იქნებოდა, რომ შალამოვისათვის კონცლაგერის მემატინე გვენოდებინა. მის შემოქმედებაში ლაგერი გახლავთ დეკორაცია. მისი არაერთი მოთხრობა უცვლელად შეიძლება გადმოვიტანოთ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ გარემოში.

ვარლამ შალამოვი გეოლოგები

პრინსტი ლამით გააღვიძეს და მორიგე ზედამხედველმა უსასრულო ჩაბნელებული ტალანების გავლით მიიყვანა საავადმყოფოს უფროსის კაბინეტში. სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს ჯერ არ ეძინა. „ემვედეს“ რწმუნებული ლეოვი იჯდა უფროსის მაგიდასთან და ქალაქის ფურცელზე რაღაც უღიმღამო ჩიტებს ხატავდა.

— მოქალაქე უფროსო, ქსენონის ფერ-შალი კრისტი, თქვენი განკარგულებისამებრ, გამოცხადდა.

პოდპოლკოვნიკმა ხელი აიქნია და კრისტთან ერთად მოსული მორიგე ზედამხედველი გაუჩინარდა.

— მისმინე, კრისტ, — თქვა უფროსმა, — შენთან სტუმრებს მოიყვანენ.

— ეტაპი მოვა, — თქვა რწმუნებულმა. კრისტი მოთმინებით დუმდა.

— აბანავებ იმათ. დეზინფექცია და სხვა ყველაფერი.

— მესმის.

— ამ ხალხზე კაციშვილმა არაფერი უნდა იცოდეს. არავითარი ურთიერთობა.

— გენდობით, — განუმარტა რწმუნებულმა და ჩაახველა.

— მოქალაქე უფროსო, მარტო ვერ გავართმევ თავს დეზკამერას, — თქვა კრისტმა, — იქ კამერის მართვა შორსაა ცხელი და ცივი წყლის შემრევიდან. ორთქლი და წყალი ცალ-ცალკეა.

— მაშასადამე... — სანიტარია საჭირო, მოქალაქე უფროსო.

— უფროსებმა ერთიმეორეს გადახედეს.

— კაი, იყოს სანიტარი, — თქვა რწმუნებულმა.

— ხომ გაიგე. ერთი სიტყვაც არ უნდა წამოგცდეს.

კრისტი და რწმუნებული ოთახიდან გავიდნენ. უფროსი წაოღდა, ზედა შუქი ჩააქრო და ფარაჯის ჩაცმა დაიწყო.

— საიდან ასეთი ეტაპი? — ხმადაბლა ჰკითხა კრისტმა რწმუნებულს, როდესაც კაბინეტის ღრმა ტამბურს გაჰყვინენ — მოსკოვურ მოდას ყველგან ჰბაძავდნენ, სადაც კი კაბინეტები იყო უფროსებისა — სამოქალაქო თუ სამხედრო უფროსებისა — სულერთია.

— საიდანო? — რწმუნებული ახარხარდა, — ეჰ, კრისტ, კრისტ, ვერაფრით ვერ ვიფიქრებდი, რომ შენ ჩემთვის ასეთი შე-

კითხვის დასმა შეგეძლო... — და ცივად წარმოთქვა, — საიდან და მოსკოვიდან, თვითმფრინავით.

— მაშ ლაგერი არ ეცოდინებათ. ციხე, გამოძიება და სხვა ყველაფერი. პირველი ჭურჭრუტანა სუფთა ჰაერზე, როგორცა ჰგონიათ მაგათ — ყველას, ვისაც ლაგერი არ უგემია. მოსკოვიდან თვითმფრინავით...

მომდევნო ღამით გუგუნა, ვრცელი, დიდი ვესტიბული უცხო ხალხით გაივსო — ოფიცრებით, ოფიცრებით, სულ ოფიცრებით. მაიორები, პოდპოლკოვნიკები, პოლკოვნიკები. ერთი გენერალიც კი იყო — ტანმორჩილი, ახალგაზრდა, შავთვალა.

ბადრაგში ერთი ჯარისკაციც არ ჭაჭანებდა.

ხმელ-ხმელი და ახოვანი მოხუცებული, საავადმყოფოს უფროსი, წელში გაჭირვებით მოხრილიყო, როდესაც ჩია გენერალს უპატაკებდა.

— ყველაფერი მზადაა მიღებისათვის.

— კეთილი, კეთილი.

— აბანო!

უფროსმა ხელი აუქნია კრისტს და ქსენონის კარი გაიღო.

ოფიცერთა ფარაჯების ჯგრო მიწმონია. პაგონების ოქროსფერ ვარსკვლავთა ბრჭყვიანი გახუნდა — მომხდურთა და დამხედურთა მთელი ყურადღება მიიპყრო ტურტლიან ადამიანთა პატარა ჯგუფმა, დაფლეთილი ძონძები რომ ეცვათ — ოღონდ ეს სახაზინო არ ყოფილა, არა — ჯერ ისევ თავისი, გამოძიების დროს ციხის საკანში იატაკზე, საფენებზე შელახულ-გაცვეთილი ტანსაცმელი იყო.

თორმეტი კაცი და ერთი ქალი.

— ანა პეტროვნა, მიბრძანდით, გეთაყვა, — ჩიალაპარაკა ერთმა პატიმარმა და ქალს გზა დაუთმო.

— რას ბრძანებთ, მიბრძანდით და იბანავეთ. მე ჯერჯერობით აქ ჩამოვჯდები, დავისვენებ.

ქსენონის კარი დაიხურა.

ცხრა კაცი გარს შემომერტყა. ხარბად მომჩერებოდნენ და ლამობდნენ გამოეცნოთ რაღაც, ვიდრე შეკითხვებს დამაყრიდნენ.

— დიდი ხანია, რაც კოლიმაზე ხართ? — მკითხა ყველაზე გამბედავმა, „ივან ივანოვიჩად“ რომ შემეცნო.

— ოცდაჩვიდმეტიდან.

— ოცდაჩვიდმეტიმ ჩვენ ყველანი ჯერ კიდევ ვიყავით...

— გაჩუმდი, — ჩაერია მეორე, უფრო ასაკოვანი.

შემოვიდა ჩვენი ზედამხედველი, საა-



ვადმყოფოს პარტორგანიზაციის მდივანი ხაბიბულინი, უფროსის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი. ხაბიბულინი ჩამოსულეხსაც და მეც გვითვალთვალებდა.

— გაპარსვა?

— გამოძახებულია დალაქი, — თქვა ხაბიბულინი, — სპარსელია, ბლატარებიდან, იურკა ჰქვია.

სპარსელი ბლატარი იურკა მალე გამოცხადდა თავისი ინსტრუმენტით. ვახტზე მიედო ინსტრუქციები და მხოლოდ დუდღუნებდა.

ჩამოსულთა ყურადღება ისევ კრისტმა მიიპყრო.

— ჩვენ ხომ არ დაგაღალატებთ?

— თქვენ რანაირად უნდა დამაღალატოთ, ბატონო ინჟინერებო — ეტყობა ეგენი ხართ, არა?

— გეოლოგები ვართ.

— ჰოდა, ბატონო გეოლოგებო...

— სად ვიმყოფებით?

— კოლიმაზე. მაგადანიდან ხუთას კილომეტრში.

— აბა, მშვიდობით. კარგი რამ არის ეს აბანო.

გეოლოგები იყვნენ ყველანი! საზღვარგარეთ, უცხოეთში ნამუშევარი. დაირტყეს სროკები — 15-დან 25-მდე. და მათ ბედიღბალს განაგებდა საგანგებო სამმართველო, სადაც ასე ცოტანი იყვნენ ჯარისკაცები და ასე ბლომად — ოფიცრები და გენერლები.

ამ გენერალთა „მეურნეობა“ არ ემორჩილებოდა კოლიმასა და დალსტროის. კოლიმა იძლეოდა მხოლოდ მთის ჰაერს გისოსებთან ფანჯრებიდან, მსუყე ულუფას, თვეში სამჯერ აბანოს, უტილებიანო ქვეშაგებსა და საცვლებს, ჭერს. სეირნობასა და კინოზე ჯერჯერობით არაფერი თქმულა. მოსკოვმა გეოლოგებს აგარაკი შეურჩია იმიერპოლარეთში.

რაღაც დიდი სამუშაოს შესრულება შესთავაზეს ამ გეოლოგებმა უფროსობას თავიანთი სპეციალობის მიხედვით — მორიგი ვარიაცია რამზინისეული პირდაპირი დინების ქვაბისა.

შემოქმედებითი ცეცხლის ნაპერწკალი შეიძლება გააჩინო ჩვეულებრივი ჯოხით — ეს კარგადაა ცნობილი „გადანართობისა“ და უამრავი ბელომორკანალების შემდეგ. საკვები „ნახალისებისა და ჯარიმების“ მოძრავი სკალა, სამუშაო დღეთა ჩათვლები და იმედი — და აი, მონური შრომა გადაიქცევა კურთხეულ შრომად.

ერთი თვის შემდეგ ჩამოვიდა ჩია გენერალი. გეოლოგებმა მოისურვეს სიარული კინოში. ჩია გენერალმა საკითხი „შეუთანხმე“ მოსკოვს და გეოლოგებს კინოს ნებართვა მისცა. ლოჟა, სადაც ადრე უფროსობა იჯდა, გადატვირთეს, ციხის გისოსებით გაამარეს. კინოსეანსებზე უფროსობის მეზობლად გეოლოგები მოათავსეს.

გეოლოგებს ლაგერის ბიბლიოთეკიდან წიგნებს არ აძლევდნენ. მხოლოდ — ტექნიკურ ლიტერატურას.

პარტორგანიზაციის მდივანი, ძველი და დასწეული დალსტროელი ხაბიბულინი, პირველად თავის ზედამხედველურ სიცოცხლეში საკუთარი ხელებით მიათრევდა სამრეცხაოში ბოხჩებს გეოლოგთა თეთრეულით. ამქვეყნად ყველაფერზე მეტად სწორედ ეს თრგუნავდა ზედამხედველს.

ჩია გენერალი ისევ ჩამოვიდა ერთი თვის შემდეგ და გეოლოგებმა ფანჯრის ფარდები სთხვეს.

— ფარდები, — ნაღვლიანად ამბობდა

ხაბიბულინი, — ფარდები ინებეს მაგათ.

ჩია გენერალი კმაყოფილი იყო. გეოლოგთა სამუშაო წინ მიიწევდა. ათ დღეში ერთხელ, ღამით იღებოდა ქსენონი და გეოლოგები ბანაობდნენ აბანოში.

კრისტი მათ იშვიათად ელაპარაკებოდა. ანკი რა უნდა ეთქვათ გამოძიებულ გეოლოგებს ისეთი, რაც კრისტს არ ენახა თავის ლაგერულ ცხოვრებაში.

მაშინ გეოლოგთა ყურადღება მიიპყრო სპარსელმა დალაქმა.

— იურკა, შენ ბევრს ნუ ილაპარაკებ მაგათთან, — უთხრა ერთხელაც კრისტმა.

— ესა მაკლდა, არიფი ჭკუას მასწავლის, — და სპარსელმა რუსული დედის გინება დაახუჭუჭა.

კიდევ ერთმა აბანომ ჩაიარა; სპარსელი აშკარად ნასვამი მოვიდა და, ეგებ, „დაჩიფირებულიც“ იყო ანდა „კოდინჩიკი ეყლაპა“.

ეს კია, ძალზე თამამად ეჭირა თავი, შინ ნასვლას ეშურებოდა, ლაგერში გამცილებელს აღარ დაელოდა და ვახტიდან გიჟივით გავარდა გარეთ. ღია ფანჯრიდან კრისტს მოესმა რევოლვერის გასროლის ყრუ ტკაცუნა. სპარსელი მოეკლა ზედამხედველს, სწორედ იმას, რომელიც ის-ის იყო, გაპარსა. მოკრუნჩხული სხეული კართანასთან ეგდო. მორიგე ექიმმა პულსი გაუსინჯა, აქტს ხელი მოაწერა. მოვიდა სხვა დალაქი, სახელად აშოტი — სომეხი ტერორისტი სომეხ ესერთა სწორედ იმ საბრძოლო ჯგუფიდან, რომელმაც 1926 წელს იმქვეყნად გაისტუმრა სამი თურქი მინისტრი — თალათბეის თავკაცობით — ვისაც ბრალად ედება სომეხთა ხოცვა-ჟლეტა 1915 წელს, როდესაც დაიღუპა მილიონი სომეხი... სა-

გამომძიებლო ნაწილმა შეამონა აშოტის „პირადი საქმე“ და გეოლოგთა პარსევა აღარ მოუწია. ვიღაც იპოვეს ბლატარებში და თავად პრინციპიც შეცვლილ იქნა — ყოველ ჯერზე ახალი დალაქი პარსავდა. ასე უფრო უსაფრთხოდ მიიწინეს — კავშირს ვერ გააბამენო. ბუტირკის ციხეში ასე ცვლიან გუშაგებს პოსტების მცოცავი ისტემით.

გეოლოგებს არც სპარსელ დალაქზე და არც აშოტზე არაფერი შეუტყვიათ. მათი მუშაობა წარმატებით გრძელდებოდა და კიდევ ერთხელ ჩამოსულმა ჩია გენერალმა ნახევარსაათიანი სეირნობის ნება დართო. ესეც ნაღდი დამცირება გამოდგა ძველისძველ ზედამხედველ ხაბიბულინისათვის. მორჩილ, მშობარა, უფლებდაკარგულ ადამიანთა ლაგერში ზედამხედველი დიდი უფროსი გახლავთ. აქ კი ზედამხედველის სამსახური თავისი შეურყვინელი სახით აღარ ეჭაშინიკა ხაბიბულინს.

თვალეში უფრო და უფრო უნაღვლიანდებოდა, ცხვირი უფრო და უფრო უნილდებოდა — ხაბიბულინი სმას მიჰყო ხელი. ერთხელაც ხიდიდან მდინარეში თავდაყირა გადავარდა, მაგრამ გადაარჩინეს და თავისი სამსახური ზედამხედველისა არ შეუნყვეტია. მორჩილად მიათრევდა თეთრეულის ბოხჩებს სამრეცხაოში, მორჩილად ჰგვიდა ოთახს, უდრტვინველად ცვლიდა ფანჯრის ფარდებს.

— ჰო, როგორ მიღის ცხოვრება? — ეკითხებოდა ხაბიბულინი კრისტს — რაც უნდა იყოს, წელიწადზე მეტხანს აქ ხომ ერთად მორიგობდნენ.

— ესეც თუ ცხოვრებაა, — ამოიხვნეშა ხაბიბულინი.

ჩამოვიდა ჩია გენერალი. გეოლოგთა მუშაობა ჩინებულად მიდიოდა. გახარებულმა და მომღიმარე გენერალმა შემოიარა გეოლოგთა სატუსალო. გენერალს ჯილდო ელოდა მათი მუშაობისათვის.

ზღურბლთან შოლტივით გაჭიმული ხაბიბულინი აცილებდა გენერალს.

— კეთილი, კეთილი. ვხედავ, რომ ამიტყუნეთ, — მხიარულად ამბობდა ჩია გენერალი, — თქვენ კი, — გენერალმა მზეერა გადაიტანა ზღურბლთან ატუზულ ზედამხედველებზე, — თქვენ ზრდილობიანად მოექეცით ამათ. თორემ, თქვე ძაღლიშვილებო, ყველას კუბოში ჩაგტენით!

და გენერალი წაბრძანდა.

ხაბიბულინი ბარბაცით მიადგა ქსენონს, კრისტთან ვალერიანის ორმაგი პორცია გადაყლურნა და პატაკი დაწერა, სხვა ნებისმიერ სამუშაოზე დაუყოვნებლივ გადაამყვანეთო. აჩვენა პატაკი კრისტს, თანაგრძობას ეძიებდა. კრისტი ცდილობდა, აეხსნა ზედამხედველისათვის, რომ გენერალი ამ გეოლოგებს ასობით ხაბიბუ-



ლინებზე მეტად აფასებდა, მაგრამ თავის გრძობებში შეურაცხყოფილმა ხაბიბუ-ლინმა ამ მარტივი ჭეშმარიტების გაგება არ ისურვა.

ერთ მშვენიერ ღამეს გეოლოგები გაუჩინარდნენ.

ივნისი

ანდრეევი გამოვიდა ნოლხვრელიდან და სალამპეში წავიდა, თავისი ჩამქრალი „ვოლფა“ რომ ჩაებარებინა.

„ისევ ჩამაცივდებიან, ვიცი, — დუნედ ფიქრობდა იგი უშიშროების სამსახურის თაობაზე, — მავთული ხომ ჩამოგლეჯილია...“

შახტში, თუმცა აკრძალული იყო, თამბაქოს ეწეოდნენ. მწველებს „სროკი“ ემუქრებოდათ, მაგრამ ჯერ არავინ ჩავარდნილა.

ქანების ტერიკონიკის შორიხლოს ანდრეევს შემოეყარა სტუპნიცი, არტილერიის აკადემიის პროფესორი. შახტში სტუპნიცი, მიუხედავად თავისი 58-ე მუხლისა, მუშაობდა მინისზედა ათისთავად. კაცი სამსახურისთვის იყო გაჩენილი, მარჯვე, ბევრით, მკვირცხლი — მიუხედავად ნლოვანებისა; შახტის უფროსობას ასეთი ათისთავები ვერც კი დაესიზმრებოდა.

— გესმით, — თქვა სტუპნიციმ, — გერმანელებს დაუბოძავეთ სევასტოპოლი, კიევი, ოდესა.

ანდრეევი თავაზიანად უსმენდა. ახალი ამბავი ესმოდა, როგორც ცნობა ომისა პარაგვაიში ან ბოლივიაში. ანდრეევს ამასთან რა ესაქმება? სტუპნიცი მძღარია, ის ხომ ათისთავი ბრძანდება — ჰოდა, მაგას აინტერესებს ომი და ასეთი რამერუმეები.

მიუახლოვდათ გრიშა გრეკი, ქურდი.

— ავტომატები ნეტავი რაღაა? — არ ვიცი. ალბათ ტყვიამფრქვევით რაღაც იქნება.

— დანა ყველა ტყვიაზე საშიშარია, — დამრიგებლური კილოთი წარმოთქვა გრიშამ.

— სწორია, — თქვა ბორის ივანოვიჩმა, ქირურგმა ტუსალთაგან, — დანა მუცელში ნაღდი ინფექციაა, მუდამ საფრთხეა პერიტონიტისა. ცეცხლსასროლი ჭრილობა სჯობს, უფრო სუფთაა...

— ყველაზე უკეთესია ლურსმანი, — თქვა გრიშა გრეკმა.

— დადექით!

მწყობრში რიგებდა ჩადგნენ და შახტიდან ლაგერისაკენ გასწიეს. ბადრაგი ცხვირს არასდროს ყოფდა შახტში — მინისქვეშა წყვილიანი ზოგავდა ტუსალებს ცემა-ტყეპისგან. იქაურობას თავისუფალი ათისთავებიც უფროსობდნენ. ღმერთმა ნუ ქნას და „ლუმელიდან“ ქვანახშირის ბელტი რომ დაგეცეს... ძალიან ემარჯვებოდა ხელის გამოღება ნიკალაი ანტონოვიჩს, „უფროსოს“, მაგრამ ისიც თითქმის გადაეჩვია თავის ძველ ჩვეულებას. ჩხუბობდა მხოლოდ მიშკა ტიმოშენკო, ახალგაზრდა ზედამხედველი ტუსალთაგან, „კარიერას“ რომ იკვარახებდა.

მიაბიჯებდა მიშკა ტიმოშენკო და ფიქრობდა: „განცხადებას წარვადგენ, ფრონტზე გამიშვით-მეთქი. ვაგზავნი არ გამგზავნიან, ხეირი კი იქნება. თორემ იჩხუბებ თუ არ იჩხუბებ — გარდა სროკისა ვერაფერსაც ვერ ელირსები“.

დღითვე ეახლა უფროსს. კოსარენკო, ლაგუნიტის უფროსი, ურიგო კაცი როდი იყო. მიშკა გაეჭიმა, როგორც წესი და რიგია.

— მოქალაქე უფროსო, აი, განცხადება ფრონტზე წასვლისა.

— ერთი ამას დამიხედეთ... კაი, მოიტა, მოიტა. პირველი იქნები... ოღონდ შენ არ წაგიყვანენ...

— მოქალაქე უფროსო, ჩემი მუხლის გამო?

— აბა, რა.

— მაშ რა ვუყოთ ამ მუხლს? — თქვა მიშკამ.

— არ დაიკარგები. დიდი გაქნილი ვინმე ხარ, — ჩაიხრინა კოსარენკომ, — დაუძახე-ერთი ანდრეევს.

გამოძახებამ გააკვირვა ანდრეევი. თვით ლაგუნიტის უფროსის ზენათვალთა წინაშე არასოდეს გამოუძახიათ. მაგრამ ჩვეული უნდობა, უშიშობა, გულგრილობა დაუფლებოდა. ანდრეევმა კაბინე-

ტის ფანერის კარზე დააკაკუნა:

— გამოცხადდი თქვენი ბრძანების-სამებრ. ტუსალი ანდრეევი.

— შენა ხარ ანდრეევი? — თქვა კოსარენკომ და ცნობისმოყვარე მზერით შეათვალიერა მომსვლელი.

— დიახ, ანდრეევი გახლავართ, მოქალაქე უფროსო.

კოსარენკომ მაგიდაზე გაშლილი ქალღებები მოჩხრიკა, რაღაც იპოვა, თავისთვის კითხვას შეუდგა. ანდრეევი ელოდა.

— სამუშაო მაქვს შენთვის.

— მე მზიდავად ვმუშაობ მესამე უბანზე...

— ვისთან მუშაობ?

— კორიაგინთან.

— ხვალ შინ დარჩები. ლაგერში იმუშავე. გაუძლებს კორიაგინი უშენობას.

კოსარენკო წამოდგა, ქალღებს ჰაერში აქნევდა და წამოიხრინა:

— ზონას მოანგრეე. მავთულს დაგრაგნი. თქვენს ზონას.

ანდრეევი მიხვდა, რომ იგულისხმებოდა 58-ე მუხლის ზონა — მრავალ ლაგერთაგან განსხვავებით ბარაკი, სადაც „ხალხის მტრები“ ცხოვრობდნენ, თავად ლაგერის ზონის შიგნით გარშემოცემული იყო მავთულხლართებით.



— მარტო მე?

— არა, მასლაკოვთან ერთად.

„ომია, — გაიფიქრა ანდრეევმა, — ალბათ მობჰლანის მიხედვით...“

— მოქალაქე უფროსო, შეიძლება წავიდე?

— ჰო. ჩემთან ორი პატაკია შენზე.

— სხვებზე უარესად არა ვმუშაობ, მოქალაქე უფროსო...

— კაი, წადი...

ჟანგთან ლურსმნებს ასწორებდნენ და მოხსნილ მავთულხლართებს ჯოხზე ახვევდნენ. ათი რიგი, ათი რკინის ძაფი და კიდევ განივი მრუდე ძაფები — ეს სამუშაო მთელი დღე გაუჭიანურდათ ანდრეევსა და მასლაკოვს. ეს სამუშაო არაფრით იყო უკეთესი სხვა ნებისმიერ სამუშაოზე. კოსარენკო შეცდა — ტუსალებს გრძობები გატლანქებოდათ.

სადილობისას ანდრეევმა კიდევ ერთი ახალი ამბავი შეიტყო: პურის ულუფა ერთი კილოგრამიდან ხუთას გრამამდე შეამცირეს — ეს საზარელი რამ იყო, რამეთუ სათოხლავი ვერაფერს გიშველიდა ლაგერში. გშველოდა მხოლოდ პური.

მომდევნო დღეს ანდრეევი შახტში დაბრუნდა.

შახტში, როგორც ყოველთვის, ციოდა და და, როგორც ყოველთვის, ბნელოდა. ანდრეევი დაეშვა სულიერთა სავალით ქვედა შრეკზე. ზემოდან ცარიელი ვაგონები ჯერ არ მოენოდებინათ და კუზნეცოვი, მეორე მზიდავი ცვლისა, ქვედა ფილასთან შორიხლოს იჯდა სინათლეში და ვაგონებს ელოდა.

ანდრეევი გვერდით მიუჯდა. კუზნეცოვი „ბიტოვიკი“ იყო, სოფლელი კაცისმკვლელი.

— ყური მიგდე, — თქვა კუზნეცოვმა, — გამომიძახეს.

— სად?

— იქა, ხიდს მიღმა.

— მერე რაო?

— მიბრძანეს, განცხადება შევიტანო შენზე.

— ჩემზე?

— ჰო.

— და რა ქენი?

— შევიტანე. აბა, რა უნდა ქნა?

„მართლაცდა, — გაიფიქრა ანდრეევმა, — აბა რა უნდა ქნა?“

— მერე რა დანერე იქა?

— რაც მითხრეს, მეც ის დავნერე. რომ აქებდ ჰიტლერს...

„არამზადა კი არ არი, — ფიქრობდა ანდრეევი, — უბრალოდ უბედური ადამიანია...“

— ახლა კი რას მიზამენ? — ჰკითხა ანდრეევმა.

— რა ვიცი. რწმუნებულმა თქვა: ეს ისე, წესი და რიგიაო.

— აბა რა, — თქვა ანდრეევმა, — რა თქმა უნდა, წესრიგისთვისაა. მე ხომ ვადა წლეულს მითავებდა. ახლის აკიდებას მოასწრებენ.

ვაგონები გრიალებდნენ დაღმართში.

— ეი, თქვენა! — დაიყვირა უფროსმა მეფილემ, — შეზღაპრებო! დაიჭით ცარიელა ვაგონი!

— მე მგონი, უარს ვიტყვი შენთან მუშაობაზე, — თქვა კუზნეცოვმა, — ხომ ისევ გამომიძახებენ, მე კი ვეცდები: არ ვიცი, მე მაგასთან აღარა ვმუშაობ-მეთქი. აი, ასე...

— ჰო, ყველაფერს ევა სჯობს, — დაეთანხმა ანდრეევი.

შემდეგი ცვლიდან ანდრეევის მენყვილე გახდა ჩუდაკოვი. ისიც „ბიტოვიკი“ იყო. ენატარტალა კუზნეცოვისგან განსხვავებით სულ ღუმდა. ან დაბადებიდანვე სიტყვაძვირი იყო ანდა „ხიდს მიღმა“ გააფრთხილეს.

რამდენიმე ცვლის შემდეგ ანდრეევი და ჩუდაკოვი დააყენეს სავენტილაციო შტრეკში ზედა ფილაზე — დაღმართში ოცდაათი მეტრით უნდა დაეშვათ ცარიელი ვაგონეტები და ამოეზიდათ დატვირთულნი. ვაგონეტს მოატრიალებდნენ ფილაზე, ბორბლებს მორაგებდნენ დაღმართში მიმავალ რელსებზე, ვაგონეტს მიამაგრებდნენ ფოლადის ტროსს, „ბარაბანჩიკს“ მოსჭიდებდნენ ჯალამბრის ტროსს და ვაგონეტს ქვევით ჩააგორებდნენ. მორიგეობით აკეთებდნენ ამას. ახლა ჩუდაკოვის ჯერი იყო.

ვაგონეტები ერთიმეორის მიყოლებით მიექანებოდნენ და მიექანებოდნენ ქვევით. მუშაობა გახურებული იყო, როდესაც უეცრად ჩუდაკოვი შეცდა — ხელი ჰკრა ვაგონეტს ქვევით, ოღონდ არ მიუბია ტროსზე. „ააააა!“ — საშახტო ავარია! გაისმა ყრუ გრუხუნი, რკინის ღრჭიალი, ბიგების ჭახა-ჭუხი; თეთრი მტვრის სვეტებმა აავსეს დაღმართი.

ჩუდაკოვი მაშინვე დააპატიმრეს, ანდრეევი კი ბარაკში დაბრუნდა. საღამოს გამოიძახეს უფროსთან, კოსარენკოსთან.

კოსარენკო კედლებს აწყობდა კაბინეტში.

— ეს რა ქენი? მე შენ გეკითხები, რა ქენი-მეთქი? შე მაგნებელი!

— ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ, მოქალაქე უფროსო, — თქვა ანდრეევმა, — ჩუდაკოვმა ეს ხომ შემთხვევით...

— ეს შენ ასწავლე, გველის წინილო! მაგნებელი! შენ ხომ შახტი გააჩერე!

— მე რა შუაში ვარ? და შახტი არავისაც არ გაუჩერებია — მუშაობს შახტი... ნეტავი რასა ღრიალებთ?

— არაფერი ვიციო! აი, კორიაგინი კი წერს... პარტიის წევრია.

დიდი პატაკი, დაწერილი კორიაგინის წერილი ხელწერით, მართლაც ილო უფროსის მაგიდაზე.

— პასუხს აგებ!

— თქვენი ნებაა!

— წადი, შე გველის წინილო!

ანდრეევი წავიდა. ბარაკში, ათისთავთა „კაბინეტში“ ხმამალლა ლაპარაკობდნენ. ანდრეევის გამოჩენისთანავე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვინ გინდა?

— თქვენთან მოვედი, ნიკალაი ანტონოვიჩ, — მიმართა ანდრეევმა უფროსს, — ხვალ სად უნდა გავიდე სამუშაოდ?

— ჯერ ხვალამდე გააღწიე, — თქვა

მიშკა ტიმოშენკომ.

— ეგ შენ ნუ გედარდება.

— აი, ასეთმა ნიგნის ჭიებმა ამკიდეს სროკი, სინდისს გეფიცებით, ანტონიჩ, — თქვა მიშკამ, — აი, ამ ივან ივანოვიჩების წყალობით.

— მიშკასთან ნახვალ, — თქვა ნიკალაი ანტონოვიჩმა, — ასე გვიბრძანა კორიაგინმა. თუკი არ დაგაპატიმრებენ. მიშკა კი გამოგინურავს ნაღველს.

— უნდა იცოდე, სად იმყოფები, — მკაცრად თქვა ტიმოშენკომ, — წყეულო ფაშისტო!

— შენ თვითონა ხარ ფაშისტი, შე ტუტუცო, — თქვა ანდრეევმა და წავიდა ამხანაგებისათვის რაღაც ნივთები რომ გადაეცა — სათადარიგო პორტიანკები, ძველი, მაგრამ ჯერ კიდევ ვარგისი ქალღების შარფი. როცა დააპატიმრებდნენ, ნივთებიდან ზედმეტი აღარაფერი ექნებოდა.

ანდრეევის მეზობელ ნარებზე ინვა სამთო ფაკულტეტის ყოფილი დეკანი ტინომიროვი. მეზობედ მუშაობდა შახტში. მთავარი ინჟინერი ლამობდა, რომ პროფესორი ათისთავად მაინც „დაენიშაურებინა“, მაგრამ ქვანახშირის რაიონის უფროსმა გადაჭრით იუარა და თავის მოადგილეს ავად შეხედა.

— თუკი ტინომიროვს დავაყენებთ, — უთხრა სვიშჩევმა მთავარ ინჟინერს, — მაშინ თქვენ აღარაფერი გესაქმებათ შახტში. გამიგეთ? და ასეთი ლაპარაკი მეტი აღარ გავიგონო.

ტინომიროვი ანდრეევს ელოდა.

— მაშ რაო?

— ამასაც გადავიტანთ, — თქვა ანდრეევმა, — ომია.

ლიტერატორი

პაატა ჩხეიძე

ვინც პაატა ჩხეიძეს იცნობს, ვისაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ლექციები მოუსმენია, ვინც მის საჯარო ლექციებს დასწრებას, ვისაც მისი ლიტერატურული წერილები, ესეები წაუკითხავს, მის მიერ თარგმნილი ბეოვულფის, ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა ესეების, კურტ ვონეგუტის, ჯოზეფ კონრადის, ლორდ ბაირონის, ვირჯინია ვულფისა და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებების კითხვა უყვარს, ვინც ილიას სახელობის პრემია „საგურამოს“ გადაცემისას წარმოთქმულ მის სიტყვას გაცნობია, ამ მოკლე წარდგენის მიღმა ბატონი პაატა ჩხეიძის საინტერესო და სავეცხოვრებლად დაინახავს — ცხოვრებას ლიტერატურით და ლიტერატურაში, „დედა ენით“ და ბიძის, ოთარ ჩხეიძის საბჭოთა მანქანის მისტიური კაკუნის ხმით რომ იწყება. ეს ინტერვიუ გადასაკითხად რომ გადავუგზავნე, მომწერა, შესავალში აუცილებლად აღნიშნეთ, რომ ყოველთვის როსტომ ჩხეიძესთან ერთად ვთარგმნი. მაშ, ასე — თარგმანებზე, მთარგმნელობით ტანდემსა და, ზოგადად, ლიტერატურაზე პაატა ჩხეიძე გვესაუბრება.

— როგორ დაიწყო თქვენი ცხოვრება ლიტერატურაში? პირველი წიგნები, გამომცემი რომ გაიხსენოთ, მხატვრული სიტყვის პირველი ზემოქმედება.

— ცხოვრება ლიტერატურაში თუ ცხოვრება ლიტერატურით? ლიტერატურასთან სიახლოვე ყრმობიდან დაიწყო. ალბათ, ხუთი წლისამ უკვე ვიცოდი, რომ ძია მწერალი იყო (ყოველთვის ძიას ვეძახდი, სახელის ხსენების გარეშე, ასე მასწავლეს). არ ვიცოდი, რას ნიშნავს მწერალი, მაგრამ ვიცოდი, რომ ძია მწერალია. იყო მისი ოთახი ყელქცეულში, ოთახი, სადაც შესვლა არ შეიძლებოდა, დედა მიკრძალავდა და შორით ვუვლიდი; იქ იყო წიგნები, იქიდან ისმოდა საბჭოთა მანქანის მისტიური კაკუნი, რაც ყოველდღიურობას აღემატებოდა. თუ მოვახერხებდი და ღია კარში შევიხედავდი, ძია დამინახავდა, აუცილებლად დამეხმაურებოდა, ამდგარა კიდეც და ხუმრობანარევი სერიოზულობით მომსალმებია, ხელი ჩამოურთმევია. ნაშუადღევს გამოვიდოდა ოთახიდან და კარ-მიდამოზე დატრილდებოდა, ფიზიკურად შრომობდა, მუშაობდა, როგორც გამრჯე, მეურნე კაცი, ემარჯვებოდა კიდეც და ღონეც მოსდევდა, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ მწერალი იყო, სხვებს არ ჰგავდა. ვამაყობდი და საიდუმლოდ ვინახავდი. მერეც, სკოლაში, ქართულის მასწავლებელი თუ ახსენებდა, თანაკლასელები შემომხედავდნენ, ვნითლდებოდი, მეამაყებოდა და ვბრაზობდი, რომ ჩემი საიდუმლო გაიგეს.

თუ ქართველს შეუძლია, იგრძნოს მხატვრული სიტყვის ზემოქმედება, „დედა ენიდან“ უნდა იგრძნოს. „დედა ენა“ ყველაზე დიდი წიგნია. მისი დამსახურებაა, რომ დღეს ქართულად ვწერთ და ვკითხულობთ.

წიგნების კითხვა მეოთხე კლასში დავიწყე, ჩემი უფროსი ძმა და მამიდაშვილები კითხულობდნენ და მეც მივბაძე. მაშინ არ მიგრძნია მხატვრული სიტყვის ზემოქმედება, მაშინ სათავგადასავლო ისტორიები, უცხო ქვეყნები, ზღვები, ოკეანეები, პრერიები, ფიულ ვერნისა და მან რიდი სამყარო მიტაცებდა; და მერე კი, უეცრად, მგონი, მეხუთე კლასში, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ რომ წავიკითხე — ის იყო მხატვრული სიტყვის ზემოქმედება, მარკ ტვენის სიტყვისა და გრიგოლ ყიფშიძის სიტყვისა. ალბათ, ცოტა მოგვიანებით, ზაფხულში, სოფელ ფხვენისში, დიდდაჩემის ნათესავეებში ყოფნისას, წავიკითხე ალექსანდრე ყაზბეგი და მას მერე უწიგნოდ აღარც მიცხოვრია. უფროს კლასებში ვწერდი ლექსებს, ჩანახატებს; ცუდად ვწერდი. ძია ხშირად იყო ჩვენთან, ჩაუხედავს, არაფერი უთქვამს, არ უთქვამს — წერეო; მერე ვთარგმნიდი და მითხრა — თარგმნეო. მერე როსტომიც წამომენია (ოთხი წლითაა ჩემზე უმცროსი) და სერიოზულად შემაბა თარგმანის უღელში; ის წლები რომ არა, პოლიტიკისაკენ რომ გადავუხვიე, მართლაც ბევრი რამ გვექმნებოდა თარგმნილი.

— როგორც ევროპული და ამერიკული ლიტერატურის მცოდნეს, მინდა გთხოვოთ, ისაუბროთ იმ ძირითად განსხვავებასა და მსგავსებაზე, რაც ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურას, მწერლებს შორისაა.


— ეს ორი, ინგლისური და ამერიკული, ლიტერატურა ერთ ენაზე იქმნება და ამიტომ ერთი უნდა იყოს, რადგან ლიტერატურა ენაში ცოცხლობს, მაგრამ მაინც განსხვავდა და განსხვავდა მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებელ ერად და სახელმწიფოდ გამოაცხადა თავი. ლიტერატურა ჩამორჩა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცეს-

ებს, მაგრამ ნახევარ საუკუნეში, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსოფლიო პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის პრეტენზია განაცხადა, ამერიკულმა ლიტერატურამაც მოითხოვა და დაიკავა თავისი ადგილი. ინგლისური ლიტერატურა საგმირო ეპოსით იწყება, რაც სასულიერო ლიტერატურის პარალელურად ვითარდება, ჩნდება სარაინდო რომანი, ეპოსში ჩნდება რენესანსული ტენდენციები, ერთის მხრივ, უფრო ადამიანური და მინიერი ხდება, მეორეს



მხრივ ჯადოსნურ ელფერს იძენს; შემდეგ იწყება დრამატურგიის დიდი წინსვლა და ლირიკული, სასულიერო და საერო პოეზიის დახვეწა; მერე ინგლისური რომანი გამოდის ასპარეზზე, ინგლისურ ჟურნალისტიკასა და კრიტიკასთან ერთად და ყველაფერი მეოცე საუკუნემდე მიდის, როცა იწყება განვლილის შეფასება და გადაფასება, უარყოფა და განმეორება.

თუ ჯონ სმიტის სამოგზაურო, აღწერილობითსა და ინდიელთაგან გაქცევის ჩანაწერებს საგმირო ეპოსად მივიჩნევთ, ამერიკული ლიტერატურაც იმავე გზას გაივლის, სასულიერო ლიტერატურას ჩრდილოური, პურიტანული მწერლობა ჩაენაცვლებს, საგმირო რომანებს კი — ჯენტლმენური, სამხრეთული ქრონიკები. პოეზია ინგლისურ პოეზიას მისდევს და პროზა კი ინგლისურ პროზას; თუმცა სამოგზაურო ჩანაწერები მხატვრულ პროზაში გადაინაცვლებს, პურიტანული ლიტერატურა კი — სატირულ რეალიზმში. ფენიმორ კუპერი უოლტერ სკოტს შორს



ვერ გაექცა, მაგრამ შეეცადა, ამერიკული უსაზღვრო სივრცეები, პრერიები დაეხატა და ვესტერნულ ლიტერატურას დაუდო სათავე. დრამატურგიის განვითარება მოდერნიზმის ეპოქისათვის გადაიდება. ნათანიელ ჰოთორნი და ჰერმან მელვილი უკვე სხვა, ამერიკული თვალთ უყურებენ ზნეობისა და ადამიანის სულის საკითხებს. მერე ორი გოლიათი გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე — მარკ ტვენისა და უოლტ უიტმენის შემდგომ იწყება ორიგინალური ამერიკული ლიტერატურა: შემოდის ამერიკული განსაკუთრებულობის თემა, ამოგზაურობის მიმართულება, ვესტერნი, ამერიკული ოცნება, ურბანისტიკა და, თუ მანამდე ევროპისაგან ელოდნენ ბექდის დასმას საკუთარ გამოცემებზე, უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ამერიკელები ევროპაში ჩადიან და ჰენრი ჯეიმზი, ეზრა პაუნდი, ტომას სტერნზ ელიოტი ინგლისური პროზისა და პოეზიის გეზს განსაზღვრავენ.

განსხვავება დღეისათვის დიდია და მაინც, ეს ერთენოვანი ლიტერატურა და საუნივერსიტეტო კურსებზე ერთი სახელით — English — ისწავლება. ჰენრი ჯეიმზმა და ტომას სტერნზ ელიოტმა ინგლისის მოქალაქეობა მიიღეს. ჰენრი ჯეიმზი

ლიტერატურა ენაში ცოცხლობს

ინგლისში გარდაიცვალა, თუმცა მისი ფერფლი ამერიკაში გადაასვენეს და იქ დაკრძალეს. აი, ტომას ელიოტმა კი მოიხსურა ინგლისში დაემარხათ, სოფელ ისთ კოკერში, საიდანაც, თავის დროზე, ელიოტები გაემგზავრნენ ამერიკისაკენ. In my beginning is my end — ჩემს დასაწყისში ჩემი დასასრულიაო — წერდა იგი. ეზრა პაუნდი ვენეციაშია დაკრძალული.

— რამდენად არის ლიტერატურა მგრძობიარე ისტორიული მოვლენებისა და პოლიტიკის მიმართ, რამდენად აირეკლავს იგი ამ კონტექსტებს? თქვენს წერილში „ომის შემდგომი პერიოდის ინგლისური ლიტერატურა“, ზოგადად მიმოიხილავთ მწერალთა იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც აისახა ის უმძაფრესი შთაბეჭდილებები, ემოცია, შინაგანი განცდები, რაც მოიტანა მეორე მსოფლიო ომმა. საგულეხმოა, ასევე, თქვენი წერილი ტომას ელიოტსა და ჯორჯ ორუელზე, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში

გამოქვეყნებულ პუბლიკაციას მოჰყვა.

— ლიტერატურა ასახავს ხასიათებს გმირებისა, პერსონაჟებისა, ადამიანებისა. ასახავს იქ, სადაც ეს გმირები ცხოვრობენ, საქმიანობენ, იბადებიან, იბრძვიან, იხოცებიან. ლიტერატურა ისტორიულ მოვლენებსა და პოლიტიკას უყურადღებოდ ვერ დატოვებს. გილგამეშის ეპოსიც პოლიტიკას ეხება, „ილიადაც“, „ოდისეაც“ და „ვეფხისტყაოსანიც“, და რაც კი ღირებულად დაწერილია მას შემდეგ. პირველმა მსოფლიო ომმა არა მარტო ევროპა დაანგრია, არამედ ადამიანიც, პიროვნება გაანადგურა და მძაფრად წარმოაჩინა დასავლური ცივილიზაციის კრიზისი. მაღალი მოდერნისტული ლიტერატურა იმიტომ კი არ უარყოფს წარსულს, რომ ახირებულობამ მოუარა, არამედ იმიტომ, რომ გამოსავალს ვეღარ ხედავს ლიტერატურის უახლეს წარსულში, უკვე არსებული ფორმები ვერ გამოხატავს ადამიანის ზნეობრივ კრიზისს, ამიტომ მოდერნიზმი ღრმად მიდის წარსულში და ცდილობს მის გაცოცხლებას, რათა საკუთარ ფსევებს ჩასწვდეს, იგრძნოს და სიცოცხლე დაიბრუნოს სიკვდილის გავლით, გადარჩეს, გადაარჩინოს ზნეობა ადამიანისა, პიროვნებისა. ტომას ელიოტი არა მხოლოდ ფორმალისტური ძიებებითაა საინტერესო, არამედ დამოკიდებულებით ტრადიციისადმი. მისი აზრით, ტრადიცია შემკვიდრებით არ გადაეცემა ადამიანს და თუ ტრადიციის დაუფლება გასურს, ძალზე მძიმე შრომით უნდა მოიპოვო. ცოცხლად უნდა გაიშინაგანო მთელი შენი ისტორია და მძიმედ იშრომო, რომ მოიპოვო შენი ტრადიცია, ლიტერატურული იქნება, პოლიტიკური თუ სამეურნეო. ჩვენში ტრადიციას ქელებსა და ქორწილს უწოდებენ და დღესაც გბრძვიან, როგორც მავნეს. ტრადიცია არ შეიძლება იყოს მავნე. როგორ შეიძლება ქართული ლიტერატურული ტრადიცია მავნე იყოს? აბა, სცადე და დაეუფლე! ვინ ცხოვრობს დღეს ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში, ანუ ვინ იცის ქართული ლიტერატურა უხსოვარი დროიდან დღემდე? ორიოდ კაცმა. და ჩვენ როგორ ვიქცევით? ვუფრთხილებით მათ? ვუჯერებთ?

ვინ იცის ქართული სამეურნეო ტრადიცია უხსოვარი დროიდან დღემდე? ან რა გადარჩა, რომ ტრადიცია ვუწოდოთ? ვაზის ჯიშები. ხილის ჯიშები. ფუტკარი. ცხვარი. ცხენი და ვეკარგეთ. თუშური ცხენი გადარჩა, მეგრულიც. არის საქართველოში სახელმწიფო პროგრამა ცხენის ჯიშის აღსადგენად და გადასარჩენად? არ არის! ორიოდ ფერმერი თუ წვალობს და კაცმა არ იცის, რა სამეცნიერო მეთოდები აქვთ. გვაქვს საბრძოლო ხელოვნების ისტორია და შემორჩენილი სახეობები. მახსოვს, თავდაცვის სამინისტრო იაპონურ კარატეს ნერგავდა ჯარში. შევძლებთ ტრადიციის გაგრძელებას?


მოდერნისტი ელიოტი ტრადიციის მოპოვებისა და შენაჩუნების საჭიროებას ასაბუთებდა!

თქვენ მიერ ნახსენებ პუბლიკაციაში ელიოტი ორუელს აქებს, მისი სატირული ნიჭი მოსწონს, მაგრამ საყვედურობს, სტალინიზმის კრიტიკა თუ გასურდა, რაღა ტროცკიზმს გამოუსარჩლე, აღმოსავლეთ ევროპის მცირე ერების დათრგუნვა გემხილებინაო.

ისე, ეს ქართული სუფრის წესი რამ შეაძულათ ნეტავ, რომ არც კომუნისტებს უყვარდათ და რადიკალ ლიბერალებს ხომ თვალთ არ დაენახებოდა?

— სამშობლოს განცდა ლიტერატურაში — თქვენ ამაზე წერთ ძალიან საინტერესოდ ესეებში „რეაქცია უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში“ და „საით მიდის გაბრიელ კონროი“.

— სამშობლოს ბედს ის მწერალი განიცდის მტკივნეულად, ვისი სამშობლოც გასაჭირშია. უილიამ ფოლკნერი მიიჩნევდა, რომ მისი სამშობლო, სამხრეთის შტატები, კონფედერალური ამერიკა ომში დამარცხდა ჩრდილოეთის შტატებთან, დაქვეითდა და გადაგვარდა. ამიტომ, უილიამ ფოლკნერი რეაქციონერი მწერალია და მისი რეაქცია მიმართულია ზოგადად პროგრესისაკენ და კონკრეტულად, ჩრდილოეთის კომერციული და ვაჭრული სულსაკენ, რამაც შეარყია სამხრეთის ზნეობა.



ჯეიმზ ჯოისი ნებაყოფლობით სამშობლოდაკარგული მწერალია და ამიტომ მისი შემოქმედება კიდევ უფრო რთულია, მისი განცდები — მტკივნეული.

ალექსანდრე ყაზბეგისა და ვასილ ბარნოვის მწერლობაც და შემდგომი მაღალი პროზა ქართულ ლიტერატურაში რეაქციულია და მიმართულია რუსი დამპყრობლისა და მის მიერ მოტანილი „პროგრესის“ წინააღმდეგ.

— **ოთარ ჩხეიძის „სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა“ იქცა თუ არა ინსპირაციად თქვენი ესსეების „საით მიდის გაბრიელ კონროი“?**

— ინსპირაცია? ესე იგი, შთამაგონებს თუ არა ოთარ ჩხეიძის შემოქმედება? რა თქმა უნდა, შთამაგონებს! ხომ გითხარით, ლიტერატურაში მის წყალობით მოვედი, მისი ნებართვით. ისე, ცხოვრებაშიც ორი კაცის ანდერძით ვმოქმედებ, მამაჩემის, ავთანდილისა და ბიძაჩემის, ოთარის. ცოტა პათეტიკურად უღერს, მაგრამ ჩემთვის არაა პათეტიკა — ცხოვრებაა.

— **ფიქრობ, ჯოისის მიმართ თქვენი დამოკიდებულება განსაკუთრებულია. კიდევ ვინ არიან თქვენი ავტორები?**

— ჩემი ავტორები ისინი არიან, ვისაც ამჟამად ვთარგმნი ან უკვე ვთარგმნე და დღე-დღეზე გამოიცემა — ლორდ ბაირონი და ჯოზეფ კონრადი. ხვალ სხვები იქნებიან.

— **თქვენი წიგნი „რას ეუბნება ჰამლეტი ჰორაციოს და სხვა ესეები“ საესეა საინტერესო ტექსტებით — მწერალთა მთელი გალერეაა წარმოდგენილი, შექსპირით ცენტრში. შექსპირს არაერთი ესე, არაერთი საჯარო ლექცია მიუძღვნით და ფიქრობ, ამოუწურავია თემები, რაზეც შეიძლება დაგაფიქროს, დაგანერინოს, გალაპარაკოს შექსპირმა. ორიოდ სიტყვით გვითხარით თქვენს გამოცდილებაზე.**

— მე არ ვწერ შექსპირზე. შექსპირზე ინგლისელებმა უნდა წერონ. აბა, მე რა ვიცი შექსპირისა?! მე შემიძლია პოპულარიზაცია გაუწიო იმას, რასაც ინგლისელები, ვთქვათ, კოლრიჯი ან ელიოტი, წერენ შექსპირზე. შარშან პიტერ აკროიდის მშვენიერი წიგნი გამოიცა — „შექსპირი“, თავი კოლაძის მიერ თარგმნილი. ახლა ამ წიგნით ვასწავლი სტუდენტებს. მე ვწერ შექსპირის ქართულ თარგმანებზე, ქართულ შექსპირიანაზე, ივანე მაჩაბელზე, ვახტანგ ჭელიძეზე, სხვა ქართველ მთარგმნელებზე; სხვათა შორის, 23 აპრილს შესრულდა ოთხასი წელი უილიამ შექსპირის გარდაცვალებიდან, მსოფლიოს კულტურული საზოგადოება ამ თარიღის აღსანიშნავად ფაციფუცობს, უამრავი კონფერენცია და საზეიმო ღონისძიებები ტარდება.

უილიამ შექსპირმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ ლიტერატურას; უფრო სწორად, იმ მთარგმნელებმა, ვინც შექსპირი ქართულად თარგმნეს და ქართული ლიტერატურა გაამდიდრეს.

— **ვიქტორიანული ეპოქა ლიტერატურაში ალბათ ცალკე საუბრის თემაა, თქვენ იმ პერიოდის მწერლობას არაერთი ესე მიუძღვნით, არაერთი ვიქტორიანული ავტორი თარგმნეთ. შემდეგ კი მოვიდნენ მოდერნისტები და მოიტანეს ახალი სუნთქვა, სრულებით სხვა სტილი ლიტერატურაში.**

— ვიქტორიანული ეპოქის ინგლისური ლიტერატურა ძალზე დიდი თემაა საიმი-სოდ, რომ ერთ ინტერვიუში ჩაეტიოს. ერთი კი უნდა ითქვას, რომ არ ყოფილიყვნენ ვიქტორიანული მწერლები — ამჟამად პროზაიკოსები გამოვარჩიოთ — არც მოდერნისტები იქნებოდნენ. აბა, ვისთვის უნდა შეექცია ზურგი ჯეიმზ ჯოისს, ან ვისთვის უნდა აეზიკა ცხვირი ვირჯინია ვულფს თუ არა ვიქტორიანული მწერლებ-ისათვის? მაგრამ მოდერნისტები ვიქტორიანულთაგანაც იკვებებოდნენ, ისევე, როგორც მთელი ინგლისური სამწერლო გამოცდილებიდან და აღიარებდნენ კიდევ ვიქტორიანელთა ღვაწლს; მაგრამ არაო, ასე აღარ დაეწერათ, განაცხადეს და დაშალეს რომანის ფორმა, ნოველის ფორმაც დაშალეს, დაანაწევრეს, რადგან ხედავდნენ, რომ ადამიანის სული და გული დაიშალა და მოღვადა მსოფლიო ომების შემდგომ. თუმცა დროდადრო და გამოუდგებიან, მაინც უბრუნდებოდნენ ვიქტორიანელების დიად რეალიზმს, რადგან რეალიზმი დიდია, დამტკიცია, მოდერნისტულ

ექსპერიმენტებსაც ჰგუობს და პოსტმოდერნისტულ სუბიექტივიზმსა თუ რელიატივიზმსაც.

ალბათ, ყველაზე დიდი ინგლისელი პროზაიკოსი ცოცხალთა შორის — მხოლოდ ჩემი აზრი არ გახლავთ — პიტერ აკროიდი თავის პროზაში სწორედ ვიქტორიანულ ნარატივს უბრუნდება და ასევე იქცევინა სხვა პოსტ-პოსტმოდერნისტი მწერლებიც, ნეტავ ახალი ტერმინი თუ გაჩნდა უახლესი ლიტერატურის მოსანათლად? მე ჯერ არ მსმენია.

— **სწორედ პირველ მოდერნისტებს შორის იყო ჯოზეფ კონრადი, რომლის სამი ნოველა როსტომ ჩხეიძესთან ერთად გადმოაქართულეთ, მის „დუელს“ ოპუსიც მიუძღვნით, როგორც თქვით, მალე გამოვა კიდევ ერთი თარგმანი. ფიქრობ, ამ ავტორს ჩვენში ნაკლებად კითხულობენ, თუმცა მისმა შემოქმედებამ არაერთი დიდი მწერალი ასაზრდოვა.**

— ჯოზეფ კონრადი ძალზე დიდი მწერალია და დიდი გავლენაც მოახდინა მსოფლიო პროზაზე. მის ექსპერიმენტებს პროზაში, რაც ძველი მწერლობიდან მოდიოდა, დაენაფნენ ინგლისელი და ამერიკელი მოდერნისტები. არ ვიცი, რატომ ვერ მოიპოვა ფართო აღიარება ჩვენში; მისი რომანი — „ლორდი ჯიმი“ — ხომ ორჯერ ითარგმნა ქართულად; თუ არ ვცდები, წინა საუკუნის ოთხმოციან წლებში, ზაურ კილაძის თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „საუნჯეში“, 2013-ში კი წინო ჯაყელის თარგმანი გამოიცა.

ეგებ ჩვენი თარგმანიც წაადგეს მისი სახელის დამკვიდრებასაც და ქართულ ლიტერატურასაც.

— **როგორია კარგი თარგმანი, „ორიგინალის ბადალი“ თარგმანი, რა მოთხოვნებია, რასაც, ვთქვათ, თქვენ უყენებთ როგორც მთარგმნელი, საკუთარ თავსა და სხვებსაც? თქვენი წერილები დავით წერეთლიანზე, ასევე, უოლტ უიტმენის თამაზ ჩხენკელისეულ თარგმანზე და გამომხატურება მურმან ლეზინიძის მიერ თარგმნილ კიბლესთან ნაწარმოებზე — „ბალადა დასავლეთსა და აღმოსავლეთზე“ — ერთგვარად, პასუხია ამ კითხვაზე, მაგრამ ორიოდ სიტყვა აქაც გვითხარით.**

— ახლახან ვლადიმერ ნაბოკოვის წერილი წავიკითხე ჟურნალ „არილი“ — თარგმანის ხელოვნება. მოკლე და საგულისხმო წერილი, რა თქმა უნდა, თარგმანის მთელ ხელოვნებას ვერ მოიცავს, მაგრამ რამდენიმე საყურადღებო აზრია გამოთქმული. ის, რომ პოეზიის მთარგმნელი კარგი პოეტი უნდა იყოს და პროზის მთარგმნელმა წერა უნდა იცოდეს, რომ მთარგმნელი სათარგმნი თხზულების ენას კარგად უნდა ფლობდეს და ქვეყანასა და კულტურას უნდა იცნობდეს — საყოველთაოდ მიღებული აზრია და მეც ვეთანხმები, მაგრამ ნაბოკოვი ისეთ რამეს ავალბებს პოეზიის მთარგმნელს, რომ არა მგონია, თვითონ შეძლებდეს მიღწევა. იგი მოითხოვს, თარგმანი სრულყოფილად იმეორებდეს ორიგინალს აზრს, ინტონაციას, პროსოდიას, ფონეტიკას. ეს შეუძლებელია!

თარგმანი ახალ ენაზე იქმნება, ახალ კულტურულ გარემოში, ახალ სახლში. ამიტომ ახალ ფორმაში უნდა ჩაჯდეს, ახალი ჟღერადობა მიიღოს, ახალ აკომპანიმენტზე ამღერდეს. თარგმანი ლალატობს ორიგინალს, მაგრამ კარგი თარგმანი ერთგულეებს მშობლიურ ენას.

ვლადიმერ ნაბოკოვი ორენოვანი მწერალი გახლდათ, თავის რომანებს ინგლისურად წერდა და რუსულად თარგმნიდა, ანდა პირიქით. იგი ორივე ენობრივსა და კულტურულ სახლში შინაურულად გრძნობდა თავს და ალბათ ამიტომ უყენებს თარგმანს ასეთ მიუღწეველ მოთხოვნებს. ან იქნებ ეგონა, რომ გლობალისტურ სამყაროში ენები, დასავლური ენები მაინც, ძალზედ დაუახლოვდებიან ერთმანეთს. მაგრამ მგონია, რომ რაც უფრო მეტს დააძალებ, მით უფრო მეტად დაშორდებიან. თუმცა, ეს სხვა თემაა.

— **ახლა თუ მუშაობთ რაიმე ახალ თემაზე ან თარგმანზე?**

— ვმუშაობ, მაშ! ბევრს ვმუშაობ, სამოცი წლისა გავხდი, რაღაც ხომ უნდა მოვასწრო.

ესაუბრა თამარ ჟურული

ვარლამ შალამოვი

იხვისი

დასასრული

ანდრეევი არ დაუპატიმრებიათ. გაირკვა, რომ ჩუდაკოვს არ სურდა, ეცრუა. მთელი თვე აყურყურტეს კარცერის ულუფაზე — ერთი ტოლჩა წყალი და სამასი გრამი პური, მაგრამ ვერავითარ განცხადებაზე ვერ დაიყოლიეს — ჩუდაკოვი პირველად როდი იყო პატიმრობაში და ყველაფრის ნაღდი ფასი იცოდა.

— შენ რას მასწავლი ერთი? — უთხრა გამომძიებელს, — ანდრეევს ჩემთვის არაფერი დაუშავებია. წესი და რიგი ვიცი. თქვენ ჩემი გასამართლება როდი გაინტერესებთ. თქვენ გინდათ, რომ ანდრეევს დასდოთ ბრალი. ოლონდ, ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერაფერს გაანყობთ, ლაგერის ფაფა ჯერ ცოტა გიჭამიათ.

— აბა, — უთხრა კორიაგინმა მიშკა ტიმოშენკოს, — შენს იმედზელა ვართ. შენ თავს გაართმევ.

— არის, გასაგებია, — თქვა ტიმოშენკომ, — ჯერ კუჭზე შევუტოთ — ულუფას შევუმცირებთ. ჰოდა, თუნდაც წამოცდეს...

— ყვეყნო, — თქვა კორიაგინმა, — რა შუაშია აქ წამოცდენა? ამქვეყნად დღეს გაჩნდი თუ რა?

კორიაგინმა ანდრეევი მინისქვეშა სამუშაოდან მოხსნა. ზამთრობით შახტში სიცოცხლე მხოლოდ ოც გრადუსს აღწევს ქვედა ჰორიზონტებზე, გარეთ კი — სამოციან. ანდრეევი ღამის ცვლაში იდგა მაღალ ტერიკონიკზე, სადაც აჩხორებულყოფიანი ვაგონტებს დროდადრო იქ ამოჰქონდათ ქანი და ანდრეევს ისინი უნდა დაეცალა. ვაგონტები ცოტა იყო, საშინლად ციოდა და სუსტი ქარიც კი დამესჯოჯოხეთად აქცევდა. სწორედ მაშინ, კოლიმის მინა-წყალზე პირველად ატირდა ანდრეევი — ადრე ეს არასოდეს მოსვლია, ახალგაზრდობის წლებს თუ არ ჩავუთვლით, როდესაც დედის წერილები მოსდიოდა და ანდრეევს უჭირდა, რომ უცრემლოდ წაეკითხა და უცრემლოდ გაესენებინა ისინი. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო. აქ კი რატომღა ტიროდა? უმწიბობა, მარტოობა, სიცოცხლე — ანდრეევი შეეწვია, განეწყო, რომ ლაგერში ლექსები გაესენებინა, წაეწურებინა, უწმირად გაემეორებინა — ყინვაში ფიქრი არ შეიძლებოდა. ადამიანის ტვინს არ ძალუძს იმუშაოს ყინვაში.

რამდენიმე ყინულოვანი ცვლა და ანდრეევი ისევ შახტშია, კვლავ გადაზიდვაზე და მისი მენჯილე — კუზნეცოვია.

— კარგია, შენ რომ აქ ხარ! — უხაროდა ანდრეევს, — და მეც ისევ შახტში დამაყენეს. კორიაგინს რა დაემართა?

— ჰო, ამბობენ, რომ მასალები შენზე უკვე შეაგროვეს. საკმარისად, — ამბობდა კუზნეცოვი, — მეტი არაა საჭირო. ჰოდა, დავბრუნდი. შენთან მუშაობა კარგია. ჩუდაკოვიც გამოუშვეს. იზოლატორი მიუხაჯეს. ცარიელა ჩონჩხია. ჯერჯერობით მეაბანოვებ იქნება. შახტში მეტს აღარ იმუშავენ.

ახალი ამბები მნიშვნელოვანი იყო. ათისთავები ტუსალთაგან, თავის საანგარიშო მოვალეობებს რომ შეასრულებდნენ, ლაგერში უბადრაგოდ დადიოდნენ. მიშკა ტიმოშენკომ აბანოში წასვლა გადაწყვიტა, როგორც ყოველთვის, ლაგერიდან მუშების მოსვლამდე.

უცნობმა ძვალტყავა მეაბანოემ რაზა გახსნა და კარი გააღო.

— შენ — საით?

— მე ტიმოშენკო ვარ.

— ვხედავ, რომ ტიმოშენკო ხარ.

— გიჯობს ნაკლები ილაპარაკო, — თქვა ათისთავმა, — ჯერ არ გამოგიცდია ჩემი თერმომეტრი — გამოგაცდევინებ. გასწი, ორთქლი მოუშვი, — ტიმოშენკომ მეაბანოეს ხელი ჰკრა და აბანოში შეაბიჯა. შავსა და ნესტიან წყვიდად გაეცხო მეშახტეთა აბანო. შავი, გაჭყვარტლული ქერი, შავი კუტალები, შავი მერხები კედლების გასწვრივ, შავი ფანჯრები. აბანოში სიბნელე და სიმშრალე იყო, როგორც შახტში და მეშახტის ლამპა „ვოლოფა“, გაბზარული შუშით, ეკიდა კავით ჩარჭობილი აბანოს შუაგულში აღმართულ ბოძში, როგორც შახტის ბიჭვი.

მიშკამ სწრაფად გაიხადა, ამოარჩია ნაკლები კასრი ცივი წყლით, იქ მოათა-



ესა ორთქლის მილი — აბანოს სადგომში იყო ბოილერი და ცხელი ორთქლით აცხელებდნენ წყალს.

ძვალტყავა მეაბანოე ზღურბლიდან შეჰყურებდა ტიმოშენკოს ვარდისფერ, ფუმფულა ტანს და დღმდა.

— აი, მე ასე მიყვარს, — თქვა ტიმოშენკომ, — ორთქლი ცოცხლად რომ მოდიოდეს. წყალს ცოტაზე გააცხელებ, მე კასრში ჩაეძვრები, შენ კი ორთქლს პანაპანა გამოუშვებ. კარგად რომ იქნება, მიღზე დაგეკაულებ, შენ კი ორთქლს გამოორთავ. წინანდელმა მეაბანოემ ჩემი ყველა ჩვეულება იცოდა. ახლა სად არის?

— არ ვიცი, — მიუგო ძვალტყავამ. ლავინები გიმნასტურას უჭიმავდნენ.

— აქ საიდან გაჩნდი?

— იზოლატორიდან.

— დაიცა, შენ ჩუდაკოვი ხომ არა ხარ?

— დიახ, ჩუდაკოვი ვარ.

— ვერ გიცანი. გამდიდრდები, — ჩაიცინა ათისთავმა.

— იზოლატორში დამერხა ასე — ჰოდა, ვერცა მცნობ! გესმის, მიშკა, — თქვა ჩუდაკოვმა, — იცი, მე რომ დაგინახე...

— სად დამინახე?

— ხიდს გაღმა. მესმოდა, რასაც რწმუნებულს ეჭიკჭიკებოდი...

— ყველამ თვითონ უნდა გადაიჩინოს თავი, — თქვა ტიმოშენკომ, — ტაიგის კანონია. ომი. შენ კი სულელი ხარ. გესმის, სულელი ხარ-მეთქი, ჩუდაკოვი. სულელი ხარ და ჭკუათხელი. რა დღეში ჩავარდი ამ წყეული ანდრეევის გულისთვის.

— აბა, ეგ უკვე ჩემი საქმეა, — თქვა მეაბანოემ და გავიდა.

ორთქლი აგრუხუნდა, ათუხთუხდა კასრში, წყალი გაცხელდა. მიშკამ დაუკაუნა — ჩუდაკოვმა გამორთო ორთქლი.

მიშკა მერხზე აძვრა და მერხიდან გადაგორდა ვინრო და მაღალ კასრში... უფრო განიერი და დაბალი კასრებიც იყო, მაგრამ ათისთავს სწორედ ამ კასრში უყვარდა ორთქლის აბანო. წყალი ყელამდე სწვდებოდა მიშკას. ათისთავმა სიამოვნებისგან თვალები მოჭუტა და მიღზე დააკაუნა. ორთქლი მაშინვე ათუხთუხდა. დათბა. მიშკამ დაუსიგნალა მეაბანოეს, მაგრამ ცხელი ორთქლი ისევ თქრიალებდა მილში. ორთქლი უთუთქავდა სხეულს და ტიმოშენკო დაფრთხა, ლამობდა დასსლტომას, გადმოხტომას კასრიდან, მაგრამ კასრი ვინრო იყო, რკინის მილი ხელს უშლიდა, რომ ამომქვრალიყო — აბანოში აღარაფერი ჩანდა თეთრი, აბუჭყუყუბული, გასქელებული ორთქლის გამოისობით და მიშკამ ველური ხმით დაიყვირა.

იმ დღეს აბანო გაუშქმდათ მუშებს.

როდესაც კარი და ფანჯრები გააღეს, სქელი, მღვრიე თეთრი ფერის ნისლი გაიფანტა — მოვიდა ლაგერის ექიმი. მიშკა ტიმოშენკო უკვე აღარ სუნთქავდა — ცოცხლად იყო მოხარშული.

ჩუდაკოვი აბანოდან სადღაც გადაიყვანეს. დაბრუნდა ცალთვალა — ის არავის მოუხსნია სამუშაოდან, უბრალოდ ერთი დღით იყო „დე“ ჯგუფში — დროებით განთავისუფლებული სამუშაოდან ავადმყოფობის გამო. „ტემპერატურა“ ჰქონდა.

თარგმანი თამაზ ნატროშვილმა



„ლიტერა“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის ერთობლივი ინიციატივით დაფუძნდა. პირველსავე კონკურსში გამოცემლობების ჩართულობა მაღალი იყო. სულ 99 კონკურსანტი მონაწილეობდა, შეირჩა — 20 წიგნი, გამარჯვებულები გამოვლინდნენ 5 ნომინაციაში. ამ მხრივ „ლიტერამ“ ერთგვარი სიახლე შესთავაზა საზოგადოებას — გამარჯვებისთვის იბრძოდნენ წლის საუკეთესო საბავშვო წიგნისა და წლის საუკეთესო გამოცემის დიზაინის ავტორებიც, რომლებსაც სხვა ლიტერატურულ კონკურსებზე მონაწილეობის საშუალება ჯერჯერობით არ ეძლევათ. ნომინაციებისა და, ზოგადად, კონკურსის მასშტაბის გაზრდის თვალსაზრისით „ლიტერას“ დიდი გეგმები აქვს.

სალამო მწერალთა სახლის დირექტორმა, ნატა ლომოურმა გახსნა. მან პრემიის დაფუძნების ისტორია გაიხსენა, ისაუბრა პირველი კონკურსის სამუშაო პროცესზე და წარადგინა ჟიურის წევრები — მანანა კვაჭანტირაძე, მანანა დუმბაძე, ხათუნა ცხადაძე, თეონა ბექიშვილი და შოთა იათაშვილი.

„ალბათ სიმბოლურია, რომ დაჯილდოება აქ, დავით სარაჯიშვილის სახლში ტარდება. მან ბევრი იღვანა, ზოგადად, ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისთვის. იმედი მაქვს, „ლიტერა“ პრესტიჟული ლიტერატურული პრემია გახდება და ბევრად უფრო მეტი გამოცემლობა და ავტორი მიიღებს მონაწილეობას. გილოცავთ“.

საზოგადოებას მიესალმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე: „პრემია „ლიტერას“ დაფუძნებას საფუძვლად უდევს ჩვენი მცდელობა



სტარტი აღებულია...

20 აპრილს მწერალთა სახლში ლიტერატურული პრემია „ლიტერას“ პირველი დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ამიერიდან, მწერლებს შემოქმედებითი საქმიანობისთვის მეტი მოტივაცია აქვთ — კიდევ ერთი ლიტერატურული პრემიის დაფუძნება, სხვა მნიშვნელოვან ლიტერატურულ პროექტებთან ერთობლიობაში, აუცილებლად მოიტანს მნიშვნელოვან შედეგებს ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარების გზაზე.

ბა, უფრო მეტად შევუწყობ ხელი ლიტერატურული პროცესების განვითარებას, გავზარდოთ თანამედროვე ავტორების მოტივაცია, დავხმაროთ მათ შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოვლენაში. ის, რომ პირველსავე კონკურსში 99 ავტორი მონაწილეობდა, ვფიქრობ, ბევრ რამეზე მეტყველებს. სამომავლოდ ნომინაციების რაოდენობას გავზარდოთ და კონკურსი წლიდან წლამდე დაიხვეწება. დიდ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა. ჩვენთვის ლიტერატურა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამას ადასტურებს საგამომცემლო თუ მთარგმნელობითი პროექტები, დიდი მზადება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის, პროექტი „ცოცხალი წიგნები“ და ასე შემდეგ. მხარდაჭერა მომავალში უფრო მეტად გაიზრდება“.

შემდეგ ნატა ლომოურმა პირველი ნომინაცია დაასახელა და ჟიურის წევრთა ბექიშვილს სთხოვა გამარჯვებულის გამოვლენა.

ნომინაციაში წლის საუკეთესო დებიუტი სამი ფინალისტი ელოდა ჯილდოს: ნანა ექვთიმიშვილი („მსხლების მინდორი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“), იუნონა გურული („დიაგნოზი“, გამომცემლობა „საუნჯე“) და დავით ჭოჭუა („ალდენორი“, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“). თეონა ბექიშვილის თქმით, ჟიურის არჩევანი შეჩერდა წიგნზე, რომელშიც „მონიშნულია საწყისი წერტილი იმ მიმდებარეობისა, რომელიც გვერგო და ძალიან მძიმედ, ხშირად ნატურალისტურადაა აღწერილი ყოფა, სატიკვარი იმ ადამიანების, იმ თემისა, რომელთა ხმაც თითქმის ვერ აღწევს ჩვენამდე“. „მსხლების მინდორი“ — პირველი „ლიტერა“ ნანა ექვთიმიშვილს გადაეცა.

წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი — ამ ნომინაციაში გამარჯვებისთვის იბრძოდა ოთხი კონკურსანტი: კოტე სულაბერიძე („ქართული ლექსი XX საუკუნე“, გამომცემლობა „დიოგენე“, ყდის დიზაინი), გია ეძგვერაძე („პარტიზანების სტრატეგიები ხრიკ ლანდშაფტში“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, ყდის დიზაინი), თამუნა თათელაძე (მიშელ უელბეკის „კუნძულის შესაძლებლობა“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, ყდის დიზაინი) და ბესიკ დანელია (სერია „ამერიკელები“, გამოცემლობა „დიოგენე“, ყდის დიზაინი). გამარჯვებული ხათუნა ცხადაძე

დაასახელა: „წლის საუკეთესო წიგნის დიზაინის კატეგორიაში რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი გამოვლინდა, არჩევანი ადვილი არ იყო. ჩვენ მოვიწვიეთ სპეციალისტი, პროფესიონალი, რომელმაც დეტალური კონსულტაცია გაგვინია მუშაობის პროცესში. სწორედ ჩვენი მოსაზრებების, შთაბეჭდილებებისა და მისი კონსულტაციის შედეგების საფუძველზე მივიღეთ გადაწყვეტილება, ჯილდო გადაგვეცა ბესიკ დანელიასთვის“. მამასე, სერია „ამერიკელები“ დიზაინი წლის საუკეთესო ნამუშევრად დასახელდა.

წლის საუკეთესო საბავშვო წიგნად მანანა დუმბაძემ ნინო სადლობელაშვილის „განძის თეატრი“ დაასახელა (გამომცემლობა „ინტელექტი“). ქალბატონმა მანანამ საინტერესოდ ისაუბრა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ ნომინაციის არსებობა თანამედროვე საბავშვო მწერლობისათვის და რამდენად სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება და ხელშეწყობა მწერლობის ამ დარგს. „ნინო სადლობელაშვილის წიგნში ჟანრობრივი მრავალფეროვნებაა, ოსტატურად არის შერწყმული ფენტეზი, მითი, ზღაპარი, თავგადასავალი. გარდა ამისა, მას გამოარჩევს არაჩვეულებრივი იუმორი. თუ „განძის თეატრი“ უცხო ენაზე ითარგმნა, საერთაშორისო მკითხველი ქართულ კულტურაზე, ტრადიციებზე, ზნე-ჩვეულებებზე ბევრს შეიტყობს“.

წლის საუკეთესო პროზაული კრებული და რომანი ამჯერად ერთ ნომინაციადა იყო წარმოდგენილი, ფინალისტები იყვნენ გიორგი კეკელიძე („ორი თავგადასავალი“, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“), დათო ქარდავა („ესაეის ხელები“, გამომცემლობა „ინტელექტი“), თამაზ მელაშვილი („ალმოსავლეთი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“), მარიკა მამალაძე („უცვეთი ანრი“, გამომცემლობა „ინტელექტი“) და ზაზა ბურჭულაძე („ტურისტის საუზმე“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“).

პრიზი დათო ქარდავას ერგო. გამარჯვებულ კრებულზე მანანა კვაჭანტირაძემ ისაუბრა: „ეს არის მწარე მოთხრობების კრებული, სადაც ლაპარაკია ჩვენი სოციალისტური, ჩვენი საზოგადოების უამრავ ნაკლოვან მხარეზე. თუმცა, არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ პიროვნებისაც. წიგნში წარმოჩენილია ნამდვილი ქართული პრობლემატიკა, რომელზეც არც ყველა იტყობს, არც ტელევიზია და არც არასამთავრობო ორგანიზაციები საუ-

ბრობენ. ავტორს ღრმად აქვს განცდილი ის, რაზეც წერს. ჩანს ცხოვრების ღრმა ცოდნა და პასუხისმგებლობა“.

წლის საუკეთესო პოეტური კრებულის კატეგორიაში, ჟიურის გადაწყვეტილებით, პრემია გაიყო და ორი გამარჯვებული გამოვლინდა.

„ლიტერას“ ლაურეატები შოთა იათაშვილი და დასახელდა: „უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში პოეზიის საზღვრების მუდმივი გაფართოებისათვის, ჟანრს მიღმა მდგომი ისეთი ლიტერატურული ტექსტების შექმნისათვის, სადაც წარმართველი მაინც მუდამ მისი უნიკალური პოეტური ენა რჩება, ქართულ ლიტერატურაში ცნობიერების ძალიან მძლავრი, გამბული ნაკადის შემოტანისათვის და, თუ ავტორისეულ ფორმულირებას მოვიშველებთ, ყველაზე გრძელი მონოლოგის შექმნისათვის წიგნში „ყვავი ხის წვერზე ისალამოებს“ პრემია „ლიტერა“ ენიჭება ბესიკ ხარანაულს!

და საკუთარი გამორჩეული პოეტური სტილის მუდმივი განახლებისათვის, მისი ლაკონიზაციისათვის, ცხოვრებისეული, ადამიანური ვნებების ძალიან ზუსტ, თვითკმარ და დასამახსოვრებელ პოეტურ სურათებში, აქსიომატურ ფორმულირებებში, ლოგიკურ პარადოქსებში მოქცევის განსაკუთრებული უნარისათვის, პოეტური კრებულისათვის „შენთვის შეიძლება“, პრემია ენიჭება ზვიად რატინს“.

გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო 5 000 ლარის ოდენობით და პრიზი „ლიტერა“, რომლის ავტორიც მხატვარი მანანა არაბულია.

მომზადა თამარ ჟურულმა



ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტი თამარ ჟურული
 მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
 9 772346 1794004